პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 თებერვალი **პარასკევი** 2013
№043 (13 959) ფასი 80 თეთრი



საქართველოს სუპერთასი
LIVE პირ[illegible]
22 თებერვალი. 17:00. თბილისი. მ. მესხი
დილა-ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს სეზონი განახლდება





3-4

დილა და ზესტაფონი დღევანდელი მატჩისთვის ემზადებიან, მთავარმა მწვრთნელებმა ვალდას ივანაუსკასმა და კახა კაჭარავამ გუშინ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

# ახალწვეულები დინამომ წარადგინა




DINAMO TBILISI
1925



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

დუშან უჰრინი




2




## ფაჩულია სასტარტოში
## ზაზა VS ლებრონი

რა დაავალა მწვრთნელმა ქართველ ცენტრს?

11

● წარდგენა



დინამოს ახალწვეულები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დინამომ ახალწვეულებს ფორმები გადასცა

## დუშან უჰრინი: რეხვიაშვილი პროფესიონალურად ვერ იქცეოდა

სეზონის განახლებას თბილისის "დინამო" სახეცვლილი შემადგენლობით ხვდება. გუშინ, "დინამო-არენაზე" გუნდის დირექტორმა **სანდრო შახოვმა**, სპორტულმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** პრესკონფერენციაზე მოსამზადებელი ეტაპი შეაჯამეს და ახალწვეულები წარადგინეს.

პრესკონფერენციის დაწყებამდე "დინამოს" ახალ მოთამაშეებს მუდმივნომრიანი ფორმები გადასცეს: 33 წლის მცველი **გიორგი შაშიაშვილი**, რომელიც "დინამოს" წლების მანძილზე კაპიტნობდა, 37 ნომრით ითამაშებს, გუნდში დაუბრუნებული 29 წლის თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილი** – 18-ით, 20 წლის შემტევი **ლაშა შინდაგორიძე** – 29-ით.

რაც შეეხებათ უცხოელებს: 20 ნომერს მოირგებს "ლივერპულის" დუბლშემადგენლობაში ნათამაშები 22 წლის სენეგალელი ფლანგის მცველი **ემანუელ მენდი**; 29 წლის გერმანელი ფლანგის ფეხბურთელი **პატრიკ მილხრაუმი** – 26-ს, ბილბაოს "ატლეტიკის" ყოფილი მცველი, 30 წლის **უსტარიცი** "დინამოს" 4-ნომრიანი ფორმით დაიცავს; 27 ნომერი კი გადაეცა 29 წლის სლოვაკ ნახევარმცველს **პეტერ გრაიციარს**, რომელიც ბოლოს პრაღის "სლავიაში" თამაშობდა.

**დუშან უჰრინი:** - გუნდში მოსვლის შემდეგ, ბევრი რამ გაკეთდა "დინამო" რომ გაძლიერებულიყო. გადავხედეთ პირველი ეტაპის თამაშებს, გავაანალიზეთ ნაკლი და მოსამზადებელ ეტაპზე მათი გამოსწორება ვცადეთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ადგილზე ვართ, ბევრი შეცდომა დავუშვით და სუსტი პოზიციებიც გვქონდა.

ახლა ჩვენგან ყველა ჩემპიონობას ელის და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. სულ ორი თურქული შეკრება გავიარეთ: პირველზე აქცენტი ფიზმომზადებაზე გავაკეთეთ, მეორეზე - ტაქტიკურ სამუშაოებზე. შვიდი სპარინგი გვქონდა, სადაც ჩვენი ნაკლი კიდევ ერთხელ გამოჩნდა. თამაშის დახვეწა ვცადეთ, შედეგზე მნიშვნელოვანი კი სათანადო მომზადება იყო. მიმაჩნია, რომ საგაზაფხულო ეტაპისთვის საკმაოდ კარგი შევსება მივიღეთ.

მეორე წრეში უმძიმესი მატჩები გველის და შევეცდებით, რომ შინ და გასვლაზე ყველა შეხვედრა მოვიგოთ.

**- ახალწვეულებში რატომ არ არის "ბათუმიდან" გადმოსული ნიკა დიასამიძე?**

- გუნდში 27 მოთამაშეა, მაგრამ ძირითადში ყველა ვერ მოხვდება. დიასამიძე პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესი ფიზიკური მომზადება სჭირდება და მეორე გუნდთან ერთად მოემზადება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთავარ გუნდში ვარჯიში და თამაში არ მოუწევს. კიდევ არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, პაპავა, ხოჭოლავა, შინდაგორიძე. ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და ევროთასებზე ღირსეული თამაშია. გამომდინარე აქედან, აქცენტს გამოცდილ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ.

**- თბილისში გუნდთან აღარ ვარჯიშობენ ძარია, ხმალაძე და რეხვიაშვილი. ისინი სად ითამაშებენ?**

- ხმალაძე და ძარია ინდივიდუალურად ვარჯიშობენ, რეხვიაშვილი კი გუნდში აღარ იქნება. ის გუნდმა ტრანსფერზე დააყენა, რადგან ვერ ხვდება, როგორია საქმისადმი პროფესიონალის დამოკიდებულება.

**ბუბა ტყავაძე:** *"შეკრებამდე დავგეგმეთ, სად დავბინავდებოდით, ვის შევხვდებოდით და რა პირობებში მოვემზადებოდით. საორგანიზაციო კუთხით ყველაფერი კარგად იყო მომზადებული და ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. დანარჩენი მწვრთნელის საქმეა".*

**სანდრო შახოვი:** *"მიმაჩნია, რომ პრობლემატურ პოზიციებზე გაძლიერება მოვახერხეთ. "დინამოს" მიზანი საქართველოს ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა, შემდეგ კი - ევროთასებზე წარმატებული გამოსვლა. დასკვნითი ეტაპისთვის ნაყოფიერად ვემზადებით და ვფიქრობ, ჩემპიონობის მოპოვების უნარი შეგვწევს".*

პრესკონფერენციის შემდეგ კი ფეხბურთელებმა მოედანზე გადაინაცვლეს, სადაც "დინამოს" ფან-კლუბის, "გლადიატორების" წევრებმა გულთბილი დახვედრა მოუწყვეს და საკლუბო ატრიბუტიკა გადასცეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● მსაჯთა საფიხვნო

# მსაჯებიც სრულ მზადყოფნაში არიან

სეზონისმეორე ნახევრისთვის კლუბების მსგავსად, მსაჯებიც მოემზადნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით, 6-13 თებერვალს ქობულეთში წინასასეზონო საწვრთნელი შეკრება გამართეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მსაჯებმა. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, შეკრებაზე იმყოფებოდა დაახლოებით 40 მსაჯი და ასისტენტი.

მანამდე თბილისში, „დინამო არენაზე" ჩატარდა მსაჯთა მორიგი ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, რაც მსაჯების აბსოლუტურმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა. თუმცა რამდენიმე მსაჯმა სხვადასხვა მიზეზის გამო ტესტირება ვერ გაიარა. მათ 25 თებერვალს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ტესტი პირველი ლიგის მსაჯებთან ერთად ჩააბარონ.

რაც შეეხება ქობულეთურ შეკრებას, ერთი კვირის განმავლობაში ქართველმა მსაჯებმა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსი გაიარეს. ქობულეთის სტადიონის ხელმძღვანელობამ კი, მსაჯებს საშუალება მისცა „ჩელე არენაზე" პრაქტიკული ინტეგრირებული მეცადინეობები ჩაეტარებინათ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კატეგორიების მქონე ქართველი მსაჯები უკვე დაინიშნენ სხვადასხვა საერთაშორისო მატჩებზე:

**არსენ ნონიკაშვილი** მიემგზავრება ფუტსალის სანაკრებო შესარჩევ მინი-ტურნირზე სერბეთში.

აპრილის ბოლოს, არბიტრი **ლაშა სილაგავა** და ასისტენტი **ზაზა მენთეშაშვილი** ლიტვაში, "რეგიონთა თასზე" არიან დანიშნულები.

არბიტრი **თორნიკე გვანცელაძე** და ასისტენტი **დავით ჩიგოგიძე** მარტის ბოლოს შვეიცარიაში გაემგზავრებიან, სადაც 17-წლამდელთა ნაკრებების ელიტრაუნდის მატჩებს იმსაჯებენ.

ამას გარდა, ქართველი მსაჯები წლეულს არაერთ საერთაშორისო სემინარში მიიღებენ მონაწილეობას.

5-8 მარტს ტარდება უეფას ყოველწლიური კურსი ნაციონალური ფედერაციების სამსაჯო ინსტრუქტორებისთვის, სადაც **ლევან ფანიაშვილი** და **მერაბ მალაღურაძე** გაემგზავრებიან.

9-12 მარტს კი, მსაჯების ფიტნეს-ინსტრუქტორებისთვის განკუთვნილ კურსებს დაესწრება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მსაჯების ფიზმომზადების ინსტრუქტორი - **დავით ილარიანი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ბენდელას თასი

# ტორპედო-2 ფინალშია

**ტორპედო-2 – ვიტ ჯორჯია-2 1:1 (დ.დ) 2:2 (პენ.4:2)**

0:1 ლობჯანიძე (30), 1:1 ჩიხლაძე(89), 1:2 ლობჯანიძე (104) , 2:2 კაკუშაძე (118.პენ)

პენალტების სერია: 0:0 კალანდია (მეკარე), 1:0 ლობჟანიძე, 1:1 ლობჯანიძე, 2:1 კანდელაკი, 2:1 ხვისტანი (ძელი), 3:1 პეტავა, 3::2 ტეტუნაშვილი, 4:2 კილაძე

ტორპედო-2: ქვილითაია, მამასახლისი, სანდოხაძე (78. ლობჟანიძე), გელაშვილი (76. ჩიხლაძე), კუსიანი (116. კილაძე), ქიქავა (109. გოგუაძე), მარგველაშვილი (46. კანდელაკი), ახვლედიანი (58. ტვილდიანი), მარკოზაშვილი, გოგიჩაიშვილი(65. კაკუშაძე), გავაშელაშვილი (46. პეტავა)

ვიტ ჯორჯია-2: რეჭია, იაშვილი, კალანდია, ტეტუნაშვილი, ბუაჩიძე, გახარია (70. კვირკვია, 98. ხვისტანი), უბილავა, კურდღელაშვილი (58. ბუნტური), გაგნიძე (65. დადიანი, 100. უდუმაშვილი), სოფრომაძე, ლობჯანიძე

გაფრთხილება: გელაშვილი, კუსიანი, მარკოზაშვილი; სოფრომაძე, ბუნტური, კვირკვაია

გაძევება: მარკოზაშვილი (102)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა „ბენდელას თასის" ნახევარფინალური მატჩი ქუთაისში, სადაც „ტორპედო-2" ცენტრალურ სტადიონზე „ვიტ ჯორჯია-2"–ს დაუპირისპირდა. შეხვედრა ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო, მასპინძლები საწყისი ნახევარი საათის განმავლობაში უკეთ გამოიყურებოდნენ და ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ, მაგრამ **ნიკა ახვლედიანის** ძლიერი დარტყმა ვიტელთა მეკარე **ჯინო რეჭიამ** აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ტორპედოელთაგან განსაკუთრებით **თეიმურაზ მარკოზაშვილისა და გოგი გოგიჩაიშვილის** კარგი თამაშია გამოსარჩევი, რომლებიც ქუთაისელთა შეტევებს კარგად წარმართავდნენ. ყრუ დაცვაში სტუმრებიც არ გამაგრებულად და სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდნენ მეტოქის გამწარებას. ახალგაზრდა ვიტელთა პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დაგვირგვინდა: თავი **ელგუჯა ლობჯანიძემ** გამოიჩინა, რომელმაც მცველებთან ჭიდილში შეძლო **მაქსიმე ქვილითაიას** კარის დალაშქვრა. გოლის შემდეგ უპირატესობა თბილისელთა მხარეს გადავიდა, ქვილითაიას რამდენჯერმე მოუხდა თამაშში ჩართვა. მეორე ტაიმის დასაწყისში მარკოზაშვილმა და **გაგნიძემ** გაცვალეს სახიფათო მომენტები. შემდეგ შეცვლაზე შემოსულ **კანდელაკს** გაუცუდდა კარგი ეპიზოდი. ვიტელები ბურთს აკონტროლებდნენ და შეხვედრა ლოგიკური დასასრულისკენ მიჰყავდათ, მაგრამ მასპინძლები არ დანებდნენ, ბოლომდე იბრძოლეს და გაუმართლათ კიდეც. ბოლოსწინა წუთზე მარკოზაშვილის დარტყმის შემდეგ მცველებისგან გამოვარდნილ ბურთს **ლაშა ჩიხლაძემ** დაამატა და საკუთარ გუნდს ფინალში გასვლის შანსი დაუბრუნა. დამატებით დროში მოვლენები არანაკლებ დრამატულად განვითარდა. ჯერ იყო და ქუთაისელთა ლიდერმა მარკოზაშვილმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მასპინძლები მინდორზე 10 კაცით დარჩნენ, ორიოდე წუთში კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ლობჯანიძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ქუთაისელები კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდნენ. **გია გიგატაძის** შეგირდები მარცხს არ შეურიგდნენ და დამატებითი დროის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში კვლავ გაათანაბრეს: კუთხურის შემდეგ ვიტელებმა საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვიეს, **ბექა კაკუშაძემ** პენალტი ზუსტად შეასრულა და დამატებითი დროც ფრედ დასრულდა. გამარჯვებულის ვინაობა პენალტების სერიამ გამოარკვია. „საფეხბურთო ლატარიაში" „ტორპედო 2"-ს უფრო გაუმართლა, ქუთაისურმა გუნდმა პენალტების სერიაში 4:2 გაიმარჯვა და ფინალის საგზური მოიპოვა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

*P.S. ქუთაისის "ტორპედოს" ხელმძღვანელობამ ორივე გუნდში [illegible] ფეხბურთელებისთვის პრემიები დააწესა: მასპინძელთაგან მისი მფლობელი მეკარე მაქსიმე ქვილითაია გახდა, რომელმაც მატჩის შემდეგომ დაწინაურებული პენალტების სერიაში ითავა. "ვიტ ჯორჯიადან" კი ზაური [illegible] გამოარჩიეს. მოთამაშეები დააჯილდოვეს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოგოლი ცაავამ და "ბენდელას თასის" ორგანიზატორმა ქართლოს ქოჩორიძემ.*

# დინამო ფინალში გრიგალივით გაიჭრა




გუშინ დილმის საწვრთნელმა ბაზამ "ბენდელას თასის" ნახევარფინალს უმასპინძლა: თბილისის "დინამო 2"-მა გორის "ქართლი 2011" მიიღო.

შეიძლება ითქვას, რომ დინამოელებმა მეორე ლიგაში მოასპარეზე გორელთა გუნდს გუშინ გრიგალივით გადაუარეს. **რამაზ მუმლაძის** გაწვრთნილებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და გამანადგურებელი ანგარიშით 11:1 დაამარცხეს. გორელთა კარი ერთდროულად ექვსმა ფეხბურთელმა აილო: განსაკუთრებით თავი **ბუდუ ზივზივაძემ** გამოიჩინა, რომელმაც "პოკერი" შეასრულა, დუბლით გამოირჩა **ვატო ფოცხვერია**, თითო-თითო გაიტანეს **ნიკა კვეკვესკირმა, ლაშა პარუნაშვილმა, ბიძინა მახარობლიძემ** და **ბუბა რუხაძემ.**

**"დინამო2": სეფიაშვილი (46. ხაინდრავა) - სამხარაძე (46. კაკულია), გურეშიძე, კვეკვესკირი, ტვილდიანი - რეხვიაშვილი (46. მახარობლიძე), სარიშვილი (46. ჯიშკარიანი), პარუნაშვილი, არახამია (46. დიასამიძე) - ჩაფიძე (46. რუხაძე), ფოცხვერია (46. ზივზივაძე).**

მაშ ასე, გაირკვა ტურნირის ფინალისტები: "ბენდელას" სტადიონზე ერთმანეთს ტრადიციული მეტოქეების, თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის "ტორპედოს" სარეზერვო გუნდები დაუპირისპირდებიან. შეხვედრა 25 თებერვალს 14 საათზე დაიწყება.

მე-3 ადგილისთვის მატჩში "ვიტ ჯორჯია-2" გორის "ქართლს" 24 თებერვალს 14 საათზე "მცხეთა პარკზე" შეხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სუპერთასი


გორის დილა ემზადება...

# საბრძოლო განწყობა და სანახაობის მოლოდინი


...ზესტაფონიც
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

სუპერთასის მატჩის წინადღეს შეხვედრის მონაწილეებმა, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა "ზესტაფონმა" და თასის მფლობელმა "დილამ" "მიხეილ მესხზე" ივარჯიშეს.

16 საათზე სტადიონის საფარზე გორელები გავიდნენ. მათი მთავარი მწვრთნელის, ლიტველი **ვალდას ივანაუსკასის** გადაწყვეტილებით, "დილას" ვარჯიშის უმეტესი ნაწილი დახურული იყო და მსურველებს საწვრთნელი პროცესის ხილვის საშუალება მხოლოდ ბოლო 15 წუთის განმავლობაში მიეცათ.

17 საათზე "ზესტაფონის" ვარჯიში დაიწყო და ფეროელთა თავკაც **კახა კაჭარავას**, კოლეგისგან განსხვავებით, მედიისა და ქომაგებისთვის შეზღუდვები არ დაუწესებია. მეტოქეთა ვარჯიშები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა – როგორც მატჩის წინადღეს ხდება ხოლმე, გუნდები დიდად არ დატვირთულან და უმეტესად, კომბინაციებისა და სტანდარტული მდგომარეობის დახვეწაზე იმუშავეს.

დღეს ტრავმების გამო "ზესტაფონს" **თედორე გრიგალაშვილი** და **რატი წინამძღვრიშვილი** დააკლდებიან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდის ბანაკში ხალისიანი განწყობა შეინიშნებოდა. აშკარაა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ფეხბურთელები ოფიციალურ მატჩებს დანატრებული არიან.

უნდა ითქვას, რომ "მიხეილ მესხის" მოედნის საფარი საკმაოდ ხარისხიანად გამოიყურება და იმედია, ასეთივე ფეხბურთს ვიხილავთ. სეზონი საკმაოდ საინტერესო მატჩით უნდა განახლდეს და ვნახოთ, ვისთვის გამოდგება ტიტულის მომტანი 2013 წლის რიგით პირველი ოფიციალური შეხვედრა.

დღეს მატჩი 17 საათზე დაიწყება და სტადიონზე შესვლა თავისუფალი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## პრესკონფერენცია

# შანსები 50/50

## ფეხბურთი ყველას მოგვენატრა


ვალდას ივანაუსკასი (მარცხნივ) და კახა კაჭარავა
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

დღეს 2013 წლის პირველი ტიტული თამაშდება, საქართველოს ჩემპიონი და თასისი მფლობელი სუპერთასის აწევისთვის იბრძოლებენ თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეხვედრა 17 საათზე დაიწყება და დასწრება უფასოა.

მოკლედ, დღეს „ზესტაფონი" და „დილა" დაეჯახებიან ერთმანეთს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სუპერთასის საპრიზო ფონდისთვის 50 000 ლარი გამოყო, გამარჯვებული 30 000 ლარს მიიღებს, დამარცხებული - 20 000 ლარს.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ორივე გუნდმა ივარჯიშა, მოედანზე ჯერ გორის „დილა" გავიდა, ვარჯიში დახურული იყო, ჟურნალისტებს ბოლო 15 წუთი გაუღეს კარი, შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელის პრესკონფერენცია გაიმართა, მერე კი მოედანზე „ზესტაფონი" გავიდა, რომლის ვარჯიში ყველასთვის ღია იყო.

**კახა კაჭარავა,** „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი:

- როგორც იცით, თურქულ შეკრებაზე ვიყავით, ახლა კი სუპერთასის მატჩისთვის ვემზადებით. „ზესტაფონი" შარშან საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა, მას მერე გუნდი ათმა ფეხბურთელმა დატოვა. ეს „ზესტაფონი" ფაქტობრივად ახალი გუნდია ახალი ფეხბურთელებით. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი არ იბრძოლებს სუპერთასისთვის, ჩემპიონობა და საქართველოს თასისთვის. ჩვენი მოწინააღმდეგე კარგად დაკომპლექტებული გუნდია, სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „დილა" არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა მათ ნაცვლად არანაკლები ფეხბურთელები მიიწვიეს. დანარჩენი ხვალ გამოჩნდება, ვისაც უფრო გაუმართლებს, ის მოიგებს.

**- შანსებს მაინც როგორ შეაფასებდით?**

- წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, შანსები 50/50-ზეა. ახალი გუნდი ვართ, შეთამაშება გვჭირდება, თუმცა ამის გამო, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას არ გავურბივართ.

**- „ზესტაფონში" თქვენი მისვლის შემდეგ რამდენად არის მოსალოდნელი გუნდის სათამაშო სტილის შეცვლა?**

- ყველა მწვრთნელს საკუთარი ხელწერა აქვს. ისე კი, გუნდის სათამაშო სტილი იმის მიხედვით ყალიბდება, ფეხბურთელთა რა კონტინგენტიც ჰყავს. უწინდელი „ზესტაფონიდან" გუნდში 4-5 ფეხბურთელია დარჩენილი, დანარჩენები ახალგაზრდა მოთამაშეები არიან. იმისთვის ვმუშაობთ, რომ „ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების გარდა ევროსარბიელზეც ღირსეულად გამოვიდეს, ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება.

■ ■ ■

**ვალდას ივანაუსკასი,** „დილას" მთავარი მწვრთნელი:

- ყველას მოენატრა ფეხბურთი, დიდი პაუზა იყო და სეზონი სუპერთასით განახლდება. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ ორივე გუნდისთვის ეს პირველი ოფიციალური შეხვედრაა და ამ მატჩისთვის მეტოქეები თანაბარ პირობებში არიან. ალბათ ყველა ინტერესით ელის ამ შეხვედრას.

**- მეტოქეზე რას იტყოდით. რა ინფორმაცია გაქვთ „ზესტაფონზე"?**

- თურქეთში ორივე გუნდმა ერთად ვიმგზავრეთ, სავარჯიშო ფორმაც ერთი ფერის, ლურჯი გვაქვს. მეტოქეზე ვიცით ის, რომ მწვრთნელი საკუთარი კონცეფციით მივიდა გუნდში და ფეხბურთელებიც ამის მიხედვით შეარჩია.

**- „დილას" ვარჯიში რატომ იყო დახურული?**

- ერთი-ორი დახურული ვარჯიში ნორმალური რამეა, ჩვენ ჯერ არ გვაქვს საკუთარი ბაზა...

**დავით თავართქილაძე**

## სამზადისი

# სიონმა ფეხბურთელები შეინარჩუნა

**ბოლნისის "სიონი" თურქული შეკრებიდან დაბრუნდა. არმაზ ჯელაძის გაწვრთნილებმა წაუგებლად იასპარეზეს: 5 შეხვედრიდან 4 ფრედ ითამაშეს - ყაზახურ "ირტიშთან" (0:0), მოსკოვის "ტორპედოსთან" (0:0), ჩერნოგორიის "ედინსტვოსთან" (2:2) და მინსკის "დინამოსთან" (0:0), სერბეთის "რადს" კი 2:1 სძლიეს.**

**გუნდი უკვე საქართველოშია და სეზონის დაწყებამდე "ბენდელას" სტადიონზე მოემზადება.**

**რამდენად ნაყოფიერი იყო მოსამზადებელი ეტაპი? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე "სიონის" მთავარ მწვრთნელ არმაზ ჯელაძეს ვესაუბრეთ.**

**- როგორ შეაფასებდით "სიონის" მომზადების დონეს და განვლილ შეკრებას?**

- ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი ხარისხის თამაში ვაჩვენეთ. მთავარია, რომ გუნდის ბრძოლისუნარიანობა გამოჩნდა. ამის შედეგია, რომ ერთი მატჩიც არ წაგვიგია. ეს კარგია და კმაყოფილი ვარ. მაგრამ ჩვენ ხარისხი გვჭირდება, რომ ბრძოლასთან ერთად, ბურთი კარგად ვაგოროთ. ჯერჯერობით, ყველა ჩანაფიქრის განხორციელება ძნელია, მაგრამ შევეცდებით, ეს კომპონენტი რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გავაუმჯობესოთ.

თურქულ შეკრებაზე ფეხბურთელები საკმაოდ დავტვირთეთ და იმედია, ეს მძიმე პერიოდი რომ გადაივლის და მოთამაშეები ჩვეულ რეჟიმზე გადაერთვებიან, სიმსუბუქეს იგრძნობენ და უკეთ ათამაშდებიან.

- საკმაოდ ძლიერ გუნდებთან ხუთ შეხვედრაში სამი გოლი გავუშვით და დაცვით, ძირითადად, კმაყოფილი ვარ.

**- საინტერესო ახალწვეულები გყავთ, ისრაელის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი გალ საპირი და პოლონელი პაველ ჰაიდუჩეკი. მათ თავი როგორ გამოავლინეს?**

- ჯერ ორივე რეაბილიტაციის პერიოდს გადის. საკუთარი შესაძლებლობები უფრო ჰაიდუჩეკმა გამოავლინა, გუნდსაც უკეთ შეეწყო და სასარგებლო იყო. საპირიც საინტერესო მოთამაშეა, ტექნიკურია, მაგრამ კონდიციები აკლია. თუმცა, ფორმაში შევა და მიმაჩნია, რომ გუნდს წაადგება.

**- რას იტყვით ლადო ახალაიაზე?**

- ლადოს დიდი დრო გაუცდა და ამის მიუხედავად, არც მონდომება აკლდა და სათამაშო ფორმასაც უახლოვდება. საერთოდ, საქმისადმი არა მხოლოდ მისი



**- საკონტროლო შეხვედრებიდან არაერთგვაროვანი სურათი იქმნება. წაუგებელი სერია კარგია, მაგრამ 5 შეხვედრაში 4 გოლი შეტევის ფაზის პრობლემებზე ხომ არ მეტყველებს?**

- მთავარი ისაა, რომ თითქმის ყველა შეხვედრაში საკმაოდ ბევრი მომენტი შევქმენით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე, შედეგზე მეტად მოთამაშეების გასინჯვა გვსურდა და ყველა ფეხბურთელს თავის გამოჩენის შანსი მივეცით. ცხადია, შედეგიანობაზე გავლენას ესეც ახდენდა.

მაგალითად, "ედინსტვოსთან" გაცილებით მეტის გატანა შეგვეძლო, მაგრამ მეტოქემ უხეშობა რომ დაიწყო, ბიჭები ორთაბრძოლებს გავარიდეთ და გოლებსა და მოგებაზე კი არა, მატჩის მშვიდობიანად დასრულებაზე ვფიქრობდით. თანაც, 24 ფეხბურთელი წავიყვანეთ და თითქმის ყველას თავის გამოჩენის შანსი მივეცით.

**- ანუ შეტევაში პრობლემა არ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, შეტევაში გადასვლა ჩვენი ნაკლია, სწრაფად ბურთის ამოტანა და მეტოქის კართან მისვლა გვიჭირს. შესაძლოა, რომ დიდი დატვირთვების ფონზე, გუნდმა პოტენციალი ბოლომდე ვერც გამოავლინა. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე ეს დატვირთვები აუცილებელი იყო.

**- დაცვაზე რას იტყვით?**

დამოკიდებულებით ვარ კმაყოფილი, არამედ თითქმის ყველა მოთამაშით. საწყის ეტაპზე არც ველოდი, რომ ასეთი ერთსულოვანი, ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული გუნდი შეიკვრებოდა.

**- საქართველოსა და თურქეთში ჩატარებულ შეხვედრებში აშკარად გამოჩნდა, რომ კოკა მიკუჩაძის დაბრუნება წაგადგათ.**

- თურქეთში ორი გოლი გაიტანა და საერთოდაც, სასარგებლოდ თამაშობდა. საგაზაფხულო ეტაპზე "სიონის" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა. ძნელია წინასწარ ლაპარაკი, მაგრამ მჯერა, რომ ამოცანას შევასრულებთ და გულშემატკივრებს იმედს არ გავუცრუებთ. თურქეთში მომხდარი ფაქტიც მაიმედებს: ჩვენი თამაშები რომ ნახეს, ბოლოს საკმაოდ ბევრმა გუნდმა შემოგვთავაზა სპარინგი.

**- გუნდმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ალბათ, გუნდის ერთ-ერთი პრობლემა შეუთამაშებლობა იქნება.**

- ამას დრო სჭირდება, რადგან ძველი გუნდიდან მხოლოდ 10 კაცი დარჩა და ჯერჯერობით, ძნელია მოთამაშეთა შორის საჭირო ურთიერთგაგების დამყარება. ნელ-ნელა ამ პრობლემასაც მოევლება, რადგან გამოცდილი მოთამაშეები გვყავს და ერთმანეთს იოლად გაუგეს.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 60 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი**

**ოლეგ ბერულავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**
**დაკრძალვა 23. 02; 14 სთ-ზე. მისამართი: მარტვილი, სოფელი კურზუ.**

საქართველოს სუპერთასი

# უცნაურობა დაებედა...

...ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲖᲔ მეტი რომ ჰქვია, იმხელა პაუზა გამოდგა: თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ ჩვენთან საფეხბურთო სეზონი განახლდება! თანაც, განახლდება ერთობ საინტერესო მატჩით: საქართველოს 2012 წლის სუპერთასისთვის ქვეყნის ჩემპიონი „ზესტაფონი" და თასის მფლობელი „დილა" იბრძოლებენ. ჰო, ნუ გიკვირთ: დღეს სწორედაც რომ... წინა წლის ტიტული თამაშდება! თუმცა, საქართველოს სუპერთასის გათამაშებას თავიდანვე უცნაურობანი „დაებედა" და იშვიათზე-იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ „არასაფეხბურთო" დროსა თუ სიტუაციაში ტარდებოდა. არადა, ამ თემას უკვე იმდენჯერ შევეხეთ, უკვე უხერხულიცაა იმის თქმა, რომ თითქმის ყველგან სუპერთასის მატჩით... სეზონი იწყება! აი, ჩვენთან კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მხოლოდ და მხოლოდ, პირველი სამი გათამაშება ჩავატარეთ ზაფხულში; სამაგიეროდ, დანარჩენ შემთხვევებში აშკარად არასაფეხბურთო გარემოში ტარდებოდა ხოლმე და ამიტომაც იყო, რომ კინაღამ სახელწოდების შეცვლის „იდეაც" გაგვიჩნდა: ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა, რომ საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის პაექრობას „ზამთრის სუპერთასი" დარქმეოდა! თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ არცთუ პრესტიჟული ტიტულისათვის მებრძოლი გუნდების „დამსახურებაც" იყო, სუპერთასი სეზონის დასაწყისში (ანუ, ზაფხულში, კერძოდ, აგვისტოში, გნებავთ - ივლისის ბოლოს) რომ არ თამაშდებოდა. მიზეზად კი, რაღა თქმა უნდა, ევროტურნირებზე მონაწილეობა და, აქედან გამომდინარე, შემჭიდროებული გრაფიკი მოჰყავდათ. ანუ, მთლად ფეხბურთის ფედერაციასაც ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს სუპერთასი ზაფხულში რომ ვერ ტარდება. ისე, იმედი დავიტოვოთ, რომ წლეულს მაინც შეიცვლება სიტუაცია და საქართველოს 2013 წლის სუპერთასის მატჩი სწორედაც რომ წლევანდელ ზაფხულს, ახალი სეზონის დაწყების წინ ჩატარდება.



სუპერთასის ბოლო გათამაშების გამარჯვებული ზესტაფონი გახდა

...სუპერთასის ჩატარების იდეა გაზეთ „რეზონანსს" ეკუთვნოდა, მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ატარებდა, ამას 5-წლიანი პაუზა მოჰყვა, ვიდრე პროფესიული ფეხბურთის ლიგა არ აღადგენდა; მერე სპონსორებიც გამოჩნდნენ („ფოლკსვაგენი", „ვითიბი ბანკი") და სუპერთასის მონაწილეებს მატერიალური მოტივაციაც გაუჩნდათ. თუმცა, ამ გათამაშების პრესტიჟულობა ნელ-ნელა კლებულობდა: აბა, შარშან რომ ჩატარდა სუპერთასი, იმ მატჩს რა ფასი უნდა ჰქონოდა? შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 29 მაისს გამართულ შეხვედრაში, ტრადიციისამებრ, წინა წლის სუპერთასი თამაშდებოდა და ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ჩემპიონმაც („ზესტაფონმა") და თასის მფლობელმაც („გაგრამ"), ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობებით იასპარეზეს...

...საქართველოს სუპერთასს თავიდანვე უცნაურობა „დაებედაო", ზემოთ ვთქვით და მართლაც ასეა: პირველი გათამაშება „ისტორიული" იმითაც იყო, რომ ვიდრე მატჩი დაიწყებოდა, მეტოქეებმა... პენალტების სერია შეასრულეს! ანუ, თუ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდებოდა, გამარჯვებულად ის გუნდი გამოცხადდებოდა, მატჩისწინა (!) პენალტების სერიაში ვინც იყოჩაღებდა! საბედნიეროდ, თბილისის „დინამომ" ძირითად დროში უპრობლემოდ შეძლო „ბათუმის" დამარცხება და კიდევ უფრო საბედნიეროდ, ეს „ნოვაცია" არც ჩვენთან და არც სხვაგან აღარ დანერგილა.

დაბოლოს, ერთ საინტერესო ფაქტზეც: პირველი სუპერთასი 1996 წელს ჩატარდა და იმ მატჩის მონაწილე 4 ფეხბურთელი დღესაც აგრძელებს საფეხბურთო კარიერას! თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში 20 წლის **გივი დიდავა**, 19 წლის **ლევან კობიაშვილი** და 18 წლის **ალექსანდრე იაშვილი** ასპარეზობდნენ, ბათუმელთა გუნდში კი — 22 წლის **ამირან მუჯირი**. 17 წლის წინათ ჩატარებული იმ შეხვედრის კიდევ ერთ მონაწილეზეც გვინდა ვთქვათ; რამეთუ 1996 წელი მართლაც გამორჩეული იყო იმ დროისათვის 18 წლის **კახა კალაძისთვის**: საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა (კვიპროსთან ამხანაგურ შეხვედრაში), საქართველოს ჩემპიონიც გახდა და სუპერთასიც მოიგო!

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## ფაქტები, მოვლენები

■ წინა თერთმეტი გათამაშების გეოგრაფია ასეთია: საქართველოს სუპერთასის მატჩს სამჯერ უმასპინძლა ბათუმის სტადიონმა (იყო ასეთი ნაგებობა ამ ლამაზ ქალაქში), ასევე სამჯერ - თბილისის „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონმა, ორჯერ - ეროვნულმა სტადიონმა (ახლა „დინამო-არენა" ჰქვია), თითო-თითოჯერ კი - ქუთაისმა, გორმა და რუსთავმა.

■ საქართველოს სუპერთასზე გუნდების მონაწილეობის მაჩვენებელი ასეთია: თბილისის „დინამო" - 7 მონაწილეობა (5 გამარჯვება), „ბათუმი" - 3 (1), „ამერი" - 2 (2), „ზესტაფონი" - 2 (1), „მეტალურგი" - 2 (1), „ვიტ ჯორჯია" - 2 (1), „სიონი" - 1 (0), „ლოკომოტივი" - 1 (0), „ტორპედო" - 1 (0), „გაგრა" - 1 (0).

■ მწვრთნელებს შორის სუპერთასზე ყველაზე მეტი, 3 მატჩი **შოთა ჭეიშვილმა** („ბათუმი") ჩაატარა, ორ-ორჯერ მონაწილეობდნენ: **დავით ყიფიანი** („დინამო", „ტორპედო"), **კახა ცხადაძე** („დინამო", „სიონი"), **გიორგი ჩიხრაძე** („ამერი"), **ნოდარ აკობია** („დინამო", „ლოკომოტივი"); თითო-თითოჯერ: **მურთაზ ხურცილავა**, **ოთარ კორღალიძე**, **რაინერ ცობელი**, **კახა კაჭარავა** (ყველა - „დინამო"), **ანატოლი პისკოვეცი**, **თემურ მახარაძე** (ორივე - „მეტალურგი"), **გია გეგუჩაძე**, **გია ჭიაბრიშვილი** (ორივე - „ზესტაფონი), **მერაბ კოჭლამშვილი**, **გელა გომელაური** (ორივე - „ვიტ ჯორჯია"), **ზვიად ჯელაძე** („გაგრა"). ამათგან საუკეთესო შედეგი გიორგი ჩიხრაძეს აქვს - ორი მატჩი და ორი გამარჯვება. აი, ზვიად ჯელაძეს კი შარშან უნიკალური შანსი ჰქონდა, როგორც ფეხბურთელის, ასევე მწვრთნელის რანგში სუპერთასი რომ მოეგო...

■ წინა თერთმეტ გათამაშებაში ცამეტ ლეგიონერს უასპარეზია: **ინომოვს** (უზბეკეთი), **რამონს** (ბრაზილია), **ევოჩეს**, **ჩასემს**, **ჯუისს** (სამივე - კამერუნი), **აკუასაგას**, **ოვონოს**, **აკირემის** (სამივე - გაბონი), **კრშკოს** (სლოვაკეთი), **სპასოევიჩს** (ჩერნოგორია), **ედნილსონს** (პორტუგალია), **ოვონიკოკოს**, **ჯერემიას** (ორივე - ნიგერია).

■ არბიტრებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ **ლევან ფანიაშვილსა** და **ლაშა სილაგავას**, რომლებმაც ორ-ორჯერ იმსაჯეს სუპერთასის მატჩი, დანარჩენ შეხვედრებს სჯიდნენ: **ელგუჯა სილაგავა**, **პაატა დოგრაშვილი**, **თამაზ ლაცაბიძე**, **კახა მესხი**, **დავით ხარიტონაშვილი**, **გიორგი კიკაჩეიშვილი**, **გიორგი ვადაჭკორია**.

■ სუპერთასის ისტორიაში მხოლოდ 5 ფეხბურთელი გააძევეს მოედნიდან: **დავით სოლოღაშვილი** („ბათუმი"), **სანდრო იაშვილი** („დინამო"), **გიორგი ონიანი** („ლოკომოტივი"), **სერგი ორბელაძე** („ოლიმპი"), **ირაკლი კლიმიაშვილი** („ვიტ ჯორჯია").

■ ბომბარდირთა შორის **გრიგოლ დოლიძე** ლიდერობს: „ამერის" შემადგენლობაში ორჯერ იასპარეზა სუპერთასზე და 4 გოლი გაიტანა. დოლიძე ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც სუპერთასზე ჰეთ-თრიქი შეასრულა.

■ სუპერთასის აბსოლუტური რეკორდსმენია **გივი დიდავა**: საქართველოს 7-გზის ჩემპიონს სუპერთასზეც არანაკლებ ჩინებული შედეგი აქვს - 5 გამარჯვება! სამ-სამჯერ მოუგიათ სუპერთასი **გიორგი დავითნიძესა** და **დავით ბოლქვაძეს**; დღეის შემდეგ ანალოგიური მიღწევის შანსი აქვთ **შოთა ბაბუნაშვილს**, **რატი წინამძღვრიშვილს** (ორივე - „ზესტაფონი") და **ალექსანდრე კვახაძეს** („დილა") - დღევანდლამდე მათ აქტივში ორ-ორი გამარჯვებაა. აი, რაც შეეხება **გიორგი კახელიშვილს**, ის თავის მეოთხე სუპერთასის მატჩში ითამაშებს (თანაც, სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში), ოღონდ, მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვება.

## სუპერთასის ყველა მატჩი

### I გათამაშება

**დინამო – ბათუმი 4:0**

28.07.1996. ბათუმი. ცენტრალური. 7000 მაყურებელი

1:0 ა. იაშვილი (23), 2:0, 3:0 ყიზილაშვილი (52, 54), 4:0 ცქიტიშვილი (78)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ნ. ლობჟანიძე (75. დიდავა), კუდინოვი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, ანჩაბაძე (72. ინალიშვილი), კერძევაძე - ყიზილაშვილი, ა. იაშვილი (71. ხომერიკი)

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ბათუმი: ტოგონიძე - შანიძე (71. ი. მახარაძე), შეყილაძე, მ. მახარაძე, მინდაძე - ღლონტი, თორღაშვილი, ტულუში, ა. მუჯირი - უჯმაჯურიძე, დ. მახარაძე (54. ტრაპაიძე)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: კიკნაძე

არბიტრი: ე. სილაგავა (თბილისი)

### II გათამაშება

**დინამო – ბათუმი 4:1**

4.08.1997. ქუთაისი. ცენტრალური. 6000 მაყურებელი

1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27, პენალტით), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75, პენალტით), 4:1 ალექსიძე (85)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ნ. ლობჟანიძე, ზ. ჯელაძე (46. გუჩუა), ჩხაიძე (88. დავითნიძე) - გოგიჩაიშვილი (64. ალექსიძე), კიკნაძე, ცქიტიშვილი (46. გოგობერიშვილი), დიდავა - დ. მუჯირი (58. ხომერიკი), ა. იაშვილი (87. კგ. კვარაცხელია)

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

ბათუმი: ტოგონიძე - ი. მახარაძე (40. ფუტკარაძე), ასპინძელაშვილი, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე - ღლონტი, სიჭინავა, კანტიძე, სოლოღაშვილი - მაქაცარია (46. აფხაზავა), ჩუხუა (46. ყულეჯიშვილი)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: მუჯირი; ჩუხუა, სოლოღაშვილი

გაძევება: სოლოღაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### III გათამაშება

**დინამო – ბათუმი 1:2**

2.08.1998. ბათუმი. ცენტრალური. 5000 მაყურებელი

0:1 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 1:2 ტულუში (81)

დინამო: სოლოღაშვილი - ი. მახარაძე, გ. კვარაცხელია (62. სახვაძე), გუჩუა, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, დ. მუჯირი (66. ლ. მელქაძე), ალექსიძე - ხომერიკი (68. გ. შენგელია), აშვეთია.

მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

ბათუმი: ტოგონიძე - გოგიტიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვიილი, მინდაძე (44. აფხაზავა) - სიჭინავა, ვერემჩუკი, კანტიძე (71. მაქაცარია), ტულუში - გადელია (31. ღლონტი), მაჭუტაძე.

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: გუჩუა; კანტიძე

არბიტრი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### IV გათამაშება

**დინამო – ტორპედო 1:0**

29.02.2000. თბილისი. ეროვნული. 1500 მაყურებელი

1:0 წიტაიშვილი (16)

**დინამო:** გრიშიკაშვილი - შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ქემოკლიძე - ჯინჭარაძე, გუჩუა, სიჭინავა, სახვაძე (89. რუხაძე) - დათვაძე (80. ანჩაბაძე), წიტაიშვილი (90. ხუციშვილი)

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

**ტორპედო:** გრ. ჭანტურია - ამისულაშვილი, მახვილაძე (23. ასათიანი), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (76. ბობოხიძე) - ახვლედიანი, კვეტენაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე - იმედაძე (65. დ. ჯანაშია), გ. მეგრელაძე

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

გაფრთხილება: გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე

არბიტრი: კ. მესხი (ზუგდიდი)

### V გათამაშება

**დინამო – ლოკომოტივი 1:0**

14.09.2005. ბათუმი. ცენტრალური. 3000 მაყურებელი

1:0 ბობოხიძე (69)

დინამო: სტურუა - კ. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია - ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (88. ნავალოვსკი) - ლ. მელქაძე (59. ს. იაშვილი), ბობოხიძე (83. დ. გიგაური)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ლოკომოტივი: გრ. ჭანტურია - საჯაია, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი (75. დ. ფოფხაძე) - სეთურიძე, ქებაძე, ინომოვი (79. ა. ნოზაძე), სირაძე - რამონი (55. ალავერდაშვილი), კახელიშვილი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

გაფრთხილება: ალადაშვილი; გ. ონიანი, ა. ნოზაძე

გაძევება: იაშვილი, გ. ონიანი

არბიტრი ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### VI გათამაშება

**ამერი – სიონი 1:0**

1. 12. 2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 4000 მაყურებელი

1:0 დოლიძე (38)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (90. მჭედლიშვილი), დ. ბოლქვაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე - წინამძღვრიშვილი (85. სევასტოპულო), ტატანაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

სიონი: ბობლიაშვილი - კრბპური, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი - ვ. უგრეხელიძე (46. კვიტაიშვილი), ბაჯელიძე (63. შავგულიძე), ოქროპირიძე, ალავიძე - ევოჩე (80. ქარდავა), ჩასემი

მწვრთნელი: კახა ცხაჯაძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე, დიდავა, ქვაჩახია; ჩასემი, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

### VII გათამაშება

**ოლიმპი – ამერი 1:4**

9.12.2007. გორი. თ. ბურჯანაძე.

0:1 დოლიძე (29), 0:2 დოლიძე (65), 0:3 დოლიძე (71), 0:4 რ. გოცირიძე (88), 1:4 ყრუაშვილი (90)

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, აკუასაგა, მახვილაძე - კახელიშვილი, დევდარიანი, გეწაძე, სილაგაძე (73. ქებაძე), ნავალოვსკი (50. კოშკაძე) - რ. ჯიქია, დვალიშვილი (73. ყრუაშვილი)

მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (75. ალავიძე), დეკანოსიძე, დ. ბოლქვაძე (75. მესხი), დიდავა, გ. ჯელაძე - ტატანაშვილი (80. რ. გოცირიძე)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ორბელაძე; ელბაქიძე, ქვაჩახია, დიდავა, ჩიკვილაძე

გაძევება: ორბელაძე

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### VIII გათამაშება

**დინამო (თბ) – ზესტაფონი 1:0**

03. 12. 2008. თბილისი. მ. მესხი. 4000 მაყურებელი

1:0 ხმალაძე (90)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე - ოდიკაძე (78. შ. კაშია), დილმელაშვილი, ფირცხალავა, გველესიანი - მერებაშვილი (78. სპასოევიჩი), ვაწაძე

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - უ. ლობჟანიძე, შ. ღონღაძე (84. დაუშვილი), ს. თოდუა, მაკარიანი - ნ. კვასხვაძე (46. იონანიძე), გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, რ. ონიანი, ჩასემი, ბენაშვილი - გელაშვილი (65. ძარია).

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ვაწაძე, გ. კაშია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

### IX გათამაშება

**დინამო (თბ) – ვიტ ჯორჯია 1:2 (დ.დ)**

17. 12. 2009. რუსთავი. „ფოლადი". 3000 მაყურებელი

0:1 გ. დათუნაიშვილი (10), 1:1 თომაშვილი (56), 1:2 ფირცხალავა (119, საკუთარ კარში)

დინამო: ლორია - შ. კაშია, გ. კაშია, თომაშვილი, კაკუბავა - მამუჩიშვილი (110. ფირცხალავა), ვ. ნემსაძე (55. ვაწაძე) - ჯუისი (46. ხმალაძე), ედნილსონი, მერებაშვილი - აკირემი

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, დ. ლომაია, კვახაძე, ჯაფარიძე - ბეჟვაია, რაზმაძე (100. ვასაძე), გ. დათუნაშვილი, კლიმიაშვილი - ლიპარტია (91. კახელიშვილი), ვ. კვარაცხელია

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: გ. კაშია, ჯუისი, ვაწაძე; ლიპარტია, კვარაცხელია, ლომაია

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

### X გათამაშება

**ოლიმპი – ვიტ ჯორჯია 2:0**

21. 12. 2010. თბილისი. „ეროვნული". 500 მაყურებელი

1:0 მოდებაძე (30), 2:0 გეწაძე (54)

ოლიმპი: ბედიაშვილი - თ. ღონღაძე კვახაძე, რეხვიაშვილი, ჯაფარიძე - რაზმაძე, ქავთარაძე - დ. ბოლქვაძე (68. გ. ნუგზარის ძე ჭელიძე), ყაზაიშვილი (62. დობროვოლსკი), გეწაძე - მოდებაძე (82. ბერიაშვილი)

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ვიტ ჯორჯია: ძაძამია - ბეჟვაია, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - ვასაძე, მაისაშვილი - კლიმიაშვილი, ჯანელიძე, გურ. გურეშიძე (75. გიორგი გურეშიძე) - ზაქრაძე (68. კორიფაძე)

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილოი

გაფრთხილება: დობროვოლსკი, ჯაფარიძე; კლიმიაშვილი

გაძევება: კლიმიაშვილი

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

### XI გათამაშება

**ზესტაფონი – გაგრა 3:1**

29. 05. 2012. თბილისი. „მ. მესხი". 1000 მაყურებელი

0:1 ჯერემია (9), 1:1 ჭანტურიშვილი (24), 2:1 წინამძღვრიშვილი (50), 3:1 ოვონიკოკო (66)

ზესტაფონი: მამალაძე - თორ. გრიგალაშვილი, გაგოშიძე, რობაქიძე (66. ფირუზაშვილი), ჭანტურიშვილი - რაჟამაშვილი, ბერაია, ბაბუნაშვილი, შარიქაძე (70. გაჩეჩილაძე) - წინამძღვრიშვილი (62. ს. ლომია), ოვონიკოკო

მწვრთნელი: გია ჭიაბრიშვილი

გაგრა: ბეგაშვილი - თ. ყიშკარიანი, ჭეიშვილი, ყურულაშვილი, ხოჯაშვილი - ხუციძე, ნადირაძე, როსტიაშვილი (46. ყიფიანი) - ჯერემია, კვანტალიანი (75. ერისთავი), სარდალიშვილი (46. ლ. სეთურიძე)

მწვრთნელი: ზვიად ჯელაძე

გაფრთხილება: მამალაძე, ჭეიშვილი; ბეგაშვილი, ყიფიანი, ყურულაშვილი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# თქვენ მოჰკალით ბარსა?

## თუ მილანმა „ნოუ კამპზე“ გაძლო, ეს თანამედროვე ფეხბურთში დიდი ეპოქის დასასრულის დასაწყისი იქნება

აკი ამბობდა მასიმილიანო ალეგრი, „მილანი“ მსხვერპლი არ არის და ერთ მშვენიერ დღეს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია, მათ შორის, „ბარსელონასიცო“. ესეც ასე: "როსონერიმ" შეუძლებელი შეძლო და არა მარტო ამ წყვილის, არამედ მთლიანად ჩემპიონთა ლიგის აშკარა ფავორიტი „სან სიროზე“ ისეთი ანგარიშით დაამარცხა, რომ კატალონიური გრანდი საპასუხო მატჩის წინ, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არაკომფორტულ მდგომარეობაშია. როგორ გინდა, რომ „მილანის“ გამარჯვება (ვისაც არ უნდა ხვდებოდეს), უდიდეს სენსაციად შერაცხო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველა ლოგიკით სენსაცია იყო. დიდი და, რაც მთავარია, თამაშიდან გამომდინარე აბსოლუტურად დამსახურებული სენსაცია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი საშინაო მატჩი მოიგო და ისიც „ბარსას“ მოუგო! „ბარსელონამ“ კი ზედიზედ მეათე ოფიციალურ მატჩშიც ვერ შეინახა კარი მშრალად და მართალია, მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ, მაგრამ დღევანდელი გასახედიდან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კატალონიური გრანდი ვარდება... მერვედფინალიდან! და თუ მართლაც ასე მოხდა და „როსონერიმ“ „ნოუ კამპზე“ გაძლო, ეს თანამედროვე ფეხბურთში ერთი დიდი ეპოქის დასასრულის ნიშანი იქნება.



მილანთან ლეო მესი და დანი ალვეში ამაოდ დაშვრნენ

### მილანი–ბარსელონა 2:0

**გოლები:** 1:0 კ. პ. ბოატენგი (57), 2:0 მუნტარი (81)

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე, მექსე, საპატა, კონსტანტი - ამბროზინი, მონტოლივო, მუნტარი - კ. პ. ბოატენგი, პაცინი (75. ნიანგი), ელ შაარავი (88. ტრაორე).

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი (88. მასკერანო), ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (62. სანჩესი) - პედრო, მესი, ინიესტა.

**გაფრთხილება:** მექსე, ტრაორე - ბუსკეტსი, პიკე

**მაყურებელი:** 79 832

## რეაქციები

**მასიმილიანო ალეგრი („მილანის“ მთავარი მწვრთნელი):** *„ჩემმა გუნდმა დღეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვინმე წარმოიდგენდა იმას, რომ „ბარსელონა“ კარში ხეირიანად ერთხელაც ვერ დაგვირტყამდა? ცოტა მეტი დაკვირვება და ბოლოს მესამე გოლსაც გავიტანდით - სამწუხაროდ, ტრაორეს იმ მომენტში გამოცდილება არ ეყო. თუმცა 2:0-იც ისეთი ანგარიშია, რომელზეც ვოცნებობდით. მაგრამ საპასუხო მატჩი ძალიან რთული იქნება. „ბარსელონას“ „ნოუ კამპზე“ სასწაულების მოხდენა შეუძლია.“*

**რიკარდო მონტოლივო (მილანი):** *„შესანიშნავად ვითამაშეთ, პირველიდან ბოლო წუთამდე მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიყავით, რადგან ვიცოდით, რომ „ბარსას“ მხოლოდ ასეთი მიდგომითა და შემართებით თუ დავამარცხებდით. მწვრთნელის დავალებები ზედმიწევნით ზუსტად შევასრულეთ. თითოეული ჩვენგანი გმირია! მაგრამ „ბარსელონა“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნოუ კამპზეც“ ასე უნდა ვიბრძოლოთ.“*

**ჟერარდ პიკე (ბარსელონა):** *„საშინელი შედეგი მივიღეთ. განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში ვითამაშეთ. მეოთხედფინალში გასვლა ძალიან ძნელი იქნება. ფაქტია, რომ ჩვენს არენაზე აბსოლუტურად სხვანაირად უნდა ვითამაშოთ და თან „კამპ ნოუს“ მაგიის იმედად ვიყოთ.“*

## შემადგენლობები

„მილანს“ ისედაც არ ჰყავს გადასარევი შემადგენლობა და ამას საკადრო პრობლემებიც დაემატა: **მარიო ბალოტელის** ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს და მის გარდა, ალეგრის **დე იონგი, ნოჩერინო** და **ფლამინიც** აკლდნენ. „როსონერიმ“ 4-3-3 განლაგებით ითამაშა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მცველებს თვით ცენტრფორვარდი **ჯამპაოლო პაცინიც** ეხმარებოდა.

„ბარსამ“ კი მოედანზე საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანა - თუ არ ჩავთვლით **დავიდ ვილიას** არყოფნას, რომელსაც სასტარტოში ისედაც იშვიათად ათამაშებენ ხოლმე.

## გოლები

**1:0 ბოატენგი (57): მონტოლივომ** 30 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა და თანაგუნდელ **საპატას** სახეში (და არა ხელზე!) მოარტყა, რომლისგანაც ბურთი **ბოატენგს** მიუვიდა, ამ უკანასკნელმა კი 15 მეტრიდან ნახევარბრუნში გაისროლა და **ვალდესის** კარის მარცხენა დაბალი კუთხე დალაშქრა.

**2:0 მუნტარი (81):** ისევ მონტოლივოს ბრწყინვალე პასი, ამჯერად **ნიანგის** მისამართით, რომელმაც **ელ შაარავი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი დროულად დაინახა გაცილებით უკეთეს პოზიციაში მყოფი **მუნტარი**, რომელმაც დაახლოებით 11 მეტრიდან გაიტანა. „ბარსას“ დაცვა გათიშული და აბსოლუტურად უმაქნისი გახლდათ.

### გმირი

**რიკარდო მონტოლივო (მილანი)**

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას არა ერთი, არამედ რამდენიმე მილანელი იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ რიკარდო მონტოლივოს გამოვარჩევთ, რომელიც „როსონერის“ დაცვითი თუ შემტევი სტრატეგიის მთავარი დირიჟორი გახლდათ. თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო, დაღლილობა წამითაც არ დასტყობია, პასებსაც ჭკვიანურად ანაწილებდა და დაცვაშიც უნაკლო იყო. მონტოლივოსთან ერთად, გამორჩეულად კარგად ითამაშეს **ფილიპ მექსემ** და უბერებელმა **მასიმო ამბროზინიმ**.

### ანტიგმირი

**სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)**

ასეთი უნიათო და უიდეო **ფაბრეგასი**, დაგვეთანხმებით, იშვიათად გვინახავს. წესით, მოედნის ცენტრში ჩავისთან ერთად „ბარსას“ შეტევები უნდა ემართა და ნაცვლად ამისა, საერთოდ არ ჩანდა - გათიშული იყო. ფაბრეგასს ბურთი იშვიათად ჰქონდა და როცა ჰქონდა, წარმოუდგენელ ტექნიკურ შეცდომებს უშვებდა. კატალონიელთათვის სამწუხაროდ, იმედები ვერც მის ნაცვლად გამოსულმა **ალექსის სანჩესმა** გაამართლა. რომ არა ფაბრეგასის აბსოლუტური უნიათობა, ანტიგმირის სტატუსს **ლიონელ მესის** მივანიჭებდით, რომელიც ამას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ სესკზე მეტს ცდილობდა, თუმცა მასაც არაფერი გამოუვიდა.

## მსაჯი

**კრეიგ ტომსონი** ფაქტობრივად შეუმჩნეველი ფიგურა გახლდათ, რაც იმის დამსახურებაცაა, რომ მატჩი კორექტული გამოვიდა. ბოატენგის გოლის დროს მსაჯმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ვიდეოანალიზზე მშვენივრად ჩანს, რომ საპატას ბურთი ხელზე კი არა, სახეში მოხვდა. ტომსონს ერთადერთ შეცდომად მხოლოდ **ბუსკეტსის** გაფრთხილებას ჩავუთვლით.

## მწვრთნელები

როგორც მოსალოდნელი იყო, ალეგრიმ დაცვითი ტაქტიკა აირჩია. ამბობდნენ, მესის პერსონალურ მეურვეს მიუჩენსო, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. „მილანი“ პირველიდან ბოლო წუთამდე იმდენად სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობდა და იტალიელები ისე ზუსტად მიჰყვებოდნენ არჩეულ სტრატეგიას, რომ ალეგრის არც მეორე ტაიმში ჰქონდა რამე გამოსასწორებელი. „ბარსასთან“ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე **სილვიო ბერლუსკონიმ** ალეგრი საჯაროდ გააკრიტიკა და მის კომპეტენციაში ეჭვი შეიტანა, რაზეც „როსონერის“ თავკაცმა სილვიოს გუშინწინ ამომწურავი პასუხი გასცა.

**ჟორდი როურას** დიდი პატივისცემის მიუხედავად: „ბარსელონას“ მწვრთნელი არ ჰყავს და ვინც ფიქრობს, რომ არც სჭირდება, სწორედ „მილანთან“ მატჩი დაარწმუნებდა, რომ ცდება. თავისი სამწვრთნელო შესაძლებლობები დიდ ასპარეზზე **ტიტო ვილანოვასაც** დასამტკიცებელი აქვს და როურაზე რაღა უნდა ვილაპარაკოთ? ფაქტია, რომ როურამ მატჩის მიმდინარეობისას „ბარსას“ სასიკეთოდ ვერაფერი შეცვალა და არც სანჩესის გამოყვანამ უშველა. რაც უნდა კარგი გუნდი იყოს, მწვრთნელი „ბარსასაც“ სჭირდება.

## რაც თვალში მოგვხვდა

- ქაღალდზე „მილანის“ ტაქტიკა 4-3-3 იყო, სინამდვილეში კი, „როსონერი“ 4-5-1-ს თამაშობდა და ის ერთი ცენტრფორვარდიც არაერთხელ არმოჩნდა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. ალეგრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალე გადაწყვეტილება იყო დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზების ერთმანეთთან მჭიდროდ დგომა - რაც უფრო უახლოვდებოდნენ კატალონიელები **კრისტიან აბიატის** საჯარიმოს, მით უფრო კლებულობდა მანძილი „მილანის“ მცველებსა და ნახევარმცველებს შორის, რაც მესისა და კომპანიის წინააღმდეგ დაზღვევის საუკეთესო საშუალება გამოდგა.

- „ბარსას“ შეტევები უმეტესად „მილანის“ კარიდან 30 მეტრში მთავრდებოდა და სხვათა შორის, ეს მექსეს დამსახურებაცაა, რომელიც ძალიან ხშირად ამოდიოდა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, რითაც თავისიანებს რიცხობრივ უპირატესობას უქმნიდა და ასეთი მოქმედებებით კატალონიელთა არაერთი შეტევა ჩაშალა.

- ბურთიან ბარსელონელთან ყოველთვის ორი მილანელი მირბოდა და მათ უმეტეს შემთხვევებში მესამე აზღვევდა. შედეგად, ჩავი-ინიესტა-მესის საოცარი კომბინაციები არ შედგა.

- პირველ ტაიმში „ბარსელონამ“ ერთი სახიფათო მომენტიც ვერ შექმნა! კატალონიელებმა აბიატის კარში ხეირიანად პირველად 76-ე წუთზე დაარტყეს...

- „სან სიროს“ მოედნის საფარი არ იყო სამაგალითო მდგომარეობაში, თუმცა ყველამ წინასწარ ვიცოდით, რომ „მილანელები“ „ბარსასთან“ თამაშის წინ მინდორს არ მოუვლიდნენ და პირდაპირ ვთქვათ, რომ კატალონიელებს ეს ფაქტორი ალიბად არ გამოადგებათ. ამრიგად, ბარსელონელებს კომბინირება უჭირდათ. ამას დაემატა „მილანის“ უკანა ხაზის სრულყოფილი თამაშიც და შედეგი ლოგიკურია: აბიატის საქმე არ ჰქონია!

## დასკვნა

„მილანის“ გამარჯვება დამსახურებულია. მართალია, „როსონერიმ“ დაცვითი ფეხბურთი ითამაშა (როგორც ჩანს, „ბარსელონას“ წინააღმდეგ სხვა წამალი არ არსებობს), მაგრამ ფაქტია, რომ ესპანურ სუპერგრანდზე მეტი და უკეთესი საგოლე მომენტები შექმნა. ასეთი სუსტი „ბარსელონა“ ძალიან დიდი ხანია, არ გვინახავს.

---

### გალათასარაი–შალკე 1:1

**გოლები:** 1:0 ბურაქ ილმაზი (12), 1:1 ჯონსი (45)

**გალათასარაი (4-2-2-2):** მუსლერა - საბრი (83. უმუთ ბულუთი), სემიჰი, ნუნკეუ, რიერა - ფელიპე მელო, სელჩუკ ინანი - ჰამით ალთინთოფი (66. ებუე), სნეიდერი (46. ამრაბატი) - ბურაქ ილმაზი, დროგბა.

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი - ჯონსი, ნოიშტედტერი - ფარფანი, დრაქსლერი (84. ბარნეტა), მიშელ ბასტოსი - ჰუნტელაარი (75. პუკი).

**გაფრთხილება:** მუსლერა, ამრაბატი, ნუნკეუ, სელჩუკ ინანი - ჯონსი, კოლასინაცი, ჰიოგერი

**მაყურებელი:** 50 734

# იყო და არა იყო რა...

## ყველაფერი გელზენკირხენში გადაწყდება

„შალკე“ ბუნდესლიგაში საშინლად გამოიყურება, „გალათასარაი“ კი თურქეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და თანაც, თურქულმა გრანდმა იანვარში სნეიდერისა და დროგბას სახით ორი უმაღლესი კლასის ოსტატი დაიმატა. შესაბამისად, მთელი საფეხბურთო ევროპა „გალას“ იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ, როგორც გერმანელებს სჩვევიათ, „შალკემ“ სწორედ ასეთ მნიშვნელოვან მომენტში გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და თურქეთში ფრეს მიაღწია, რაც გელზენკირხენელთათვის ძალიან კარგი შედეგია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში არც ერთი მარცხი არ აქვს!

## რეაქციები

**ფათიჰ თერიმი („გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელი):** *„სწრაფი გოლის გატანა გვინდოდა და მიზანს მივაღწიეთ კიდეც, რაც იმის დამსახურებაა, რომ თამაში ძალიან კარგად, იდეალურად დავიწყეთ. სამწუხაროდ, პირველი ტაიმის მიწურულს შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ არ გვაპატია და დაგვსაჯა. მანამდე მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო, თუმცა მეორე ტაიმში „შალკესაც“ შეექმნა მომენტები. საერთო ჯამში, გაწონასწორებული თამაში გამოვიდა და სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ. გელზენკირხენში რთული თამაში გველის, მაგრამ მე მჯერა იმის, რომ მეოთხედფინალში გავალთ.“*

**ბურაქ ილმაზი (გალათასარაი):** *„პირველი ტაიმი ჩვენი იყო, ძალიან კარგად ვთამაშობდით და მეორე გოლიც უნდა გაგვეტანა. მეორე ნახევარში კი „შალკე“ გამოსწორდა, ჩვენ კი ველარ ვიდექით მოწოდების სიმაღლეზე. ვფიქრობ, რომ „შალკეზე“ უკეთესი გუნდი გვყავს და ლოგიკურად, მეოთხედფინალში ჩვენ უნდა გავიდეთ.“*

**იენს კელერი („შალკეს“ მთავარი მწვრთნელი):** *„აგრესიულები და მონდომებულები ვიყავით, რაც დაგვიფასდა კიდეც. გუნდური ფეხბურთი ვითამაშეთ და მთლიანობაში ჩემი ბიჭების ასპარეზობითაც კმაყოფილი ვარ და ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგითაც.“*

**ჯერმაინ ჯონსი (შალკე):** *„კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რადგან ამ სტადიონზე ფრის მიღწევა ძალიან ძნელია, ჩვენ კი მართლა კარგად ვითამაშეთ და ფრე დავიმსახურეთ. ცხადია, იყო შეცდომებიც და იმედია, რომ გამოვასწორებთ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს „შალკემ“ სულ სხვა სახე აჩვენა - იმაზე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ბუნდესლიგაში ვთამაშობთ ხოლმე.“*

### გმირი

**ჯერმაინ ჯონსი (შალკე)**

მოედანზე საუკეთესო უდავოდ **ჯერმაინ ჯონსი** გახლდათ - გელზენკირხენელთა საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც ძალიან ბევრი იშრომა, აგრესიულ თურქებს აგრესიითვე პასუხობდა და გელზენკირხენული კლუბისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გოლიც სწორედ მან გაიტანა. სწორედ ჯონსის დამსახურებაა ისიც, რომ „შალკეს“ მოედნის ცენტრი არ დაუთმია. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ მესამე გაფრთხილება მიიღო და საპასუხო მატჩში ვერ ითამაშებს.

### ანტიგმირი

**უესლი სნეიდერი (გალათასარაი)**

ამ მატჩმა ჰოლანდიელ გამთამაშებელს გვერდით ჩაუარა... **სნეიდერმა** შეტევაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა ხეირიანად - იმ მომენტში, როცა **ალთინთოფმა** ბურტი „შალკეს“ კარის ძელს მოარტყა. ანტიგმირად კი პირველ რიგში მაინც იმის გამო ვასახელებთ, რომ „გალათასარაის“ ფანები მისგან გაცილებით მეტს ელიან.

## დასკვნა

„შალკემ“ ურთულეს შეხვედრაში კარგად ითამაშა. მეტიც: მეორე ტაიმში გელზენკირხენელები უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ, მოიგებდნენ კიდეც. მიუხედავად ამისა, შანსებს მაინც 50/50-ზე ვაფასებთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი



ერნან ბარკოსი (მარჯვნივ) ანდრე სანტოსს ულოცავს

# ტრაგედია ბოლივიაში

**IV ჯგუფი. II ტური.**

**ველესი–დეპორტეს იკიკე 3:0**

**გოლები:** 1:0 ფ. ინსუა (25), 2:0 რესკალდანი (35), 3:0 პუჩი (69-საჯ. კარში).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პენიაროლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. ველესი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. ემელეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. დეპ. იკიკე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**V ჯგუფი. I ტური**

**სან ხოსე–კორინთიანსი 1:1**

**გოლები:** 0:1 გერერო (6), 1:1 საუსედო (61).

**VIII ჯგუფი. II ტური**

**უაჩიპატო–კარაკასი 1:3**

**გოლები:** 0:1 კურე (13), 0:2 ა. პენია (45), 0:3 ა. პენია (54), 1:3 ასევალი (64).

**ფლუმინენსე–გრემიო 0:3**

**გოლები:** 0:1 ბრუნო ვიეირა (33-საკ. კარში), 0:2 ანდრე სანტოსი (55), 0:3 ე. ვარგასი (69).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 2. კარაკასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. უაჩიპატო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. ფლუმინენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |

**ბომბარდირები:** 2 – ივან ალონსო (ნასიონალი), ე. ბენიტესი (ტოლუკა), ოლივერა (პენიაროლი), ვ. სანჩესი (ნასიონალი), უბილია (უნივერსიდად დე ჩილე), ა. პენია (კარაკასი).

ბოლივიის ქალაქ ორუროში, რომელიც ქვეყნის ორ დედაქალაქს, სუკრეს და ლა პასს შორის, 3 710 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, სტუმრად ლიბერტადორესის თასის მოქმედი ჩემპიონი და 2012 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი ჩავიდა. გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ „სან ხოსეს" ფეხბურთელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მათ გოლის გატანა მხოლოდ 61-ე წუთზე მოახერხეს, იქამდე კი დაწინაურება ბრაზილიელებმა შეძლეს. შეხვედრის მე-5 წუთზე, **ფაბიო სანტოსის** აქტიურობის შემდეგ, ბურთი **ხოსე პაულო გერეროს** მოუვიდა, რომელმაც მასპინძელთა მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. აქედან მოყოლებული, „წმინდანებს" („სან ხოსეს" მეტსახელია) ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ საოცრად თამაშობდა **კასიო** და დაუჯერებელ ბურთებს იგერიებდა. გაიშვიათებულმა ჰაერმა და წნევამ თავისი როლი მაინც ითამაშა და თამაშის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ უკვე კასიოც უძლური იყო – ბოლივიის ნაკრების წევრმა **კარლოს საუსედომ** წონასწორობა აღადგინა.

მეორე ტაიმში მოედანზე **ალეშანდრე პატო** და **რენატო აუგუსტო** გამოჩნდნენ, მაგრამ ბურთს ისევ მასპინძლები აკონტროლებდნენ, თუმცა მეტი გოლის გატანა ბოლივიელებმა ველარ შეძლეს და შეხვედრა ფრედ დასრულდა.

სამწუხაროდ, თამაში მშვიდობიანად (ლა პასიც მშვიდობას ნიშნავს) მაინც არ დამთავრებულა. შეხვედრის დროს, 14 წლის ბოლივიელ ახალგაზრდა გულშემატკივარს თავში პეტარდა მოხვდა, რის შედეგადაც ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, თამაშის დასრულებისთანავე, სამართალდამცავებმა 12 ბრაზილიელი ქომაგი დააკავეს. „კორინთიანსის" გულშემატკივრების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

განსხვავებით მეხუთე ჯგუფისგან, სხვა ჯგუფებში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. მოულოდნელი შედეგით დასრულდა ბრაზილიური დერბი რიო დე ჟანეიროში, სადაც ბრაზილიის 2012 წლის ჩემპიონმა, მოძლიერებულ „გრემიოს" უმასპინძლა. „გრემიოს" რიგებში სამი ახალწვეული გამოირჩა, გარდა ამისა, ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს **ელანომ** და **ზე რობერტომ** – ვეტერანებმა ოპონენტები პირწმინდად დაჩაგრეს და საკუთარ გუნდს სათამაშო უპირატესობა მოუპოვეს.

შეხვედრის 33-ე წუთზე, ელანოს კუთხურის შემდეგ, „გრემიოს" არგენტინელ ახალწვეულ **ერნან ბარკოსთან** ორთაბრძოლისას, „ფლუს" მცველმა **ბრუნო ვიეირამ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ბარკოსი ამის შემდეგაც აქტიური იყო და მეორე ტაიმში ორივე ბურთში მიიღო მონაწილეობა. ჯერ მისი დარტყმული უშნოდ მოიგერია **დიეგო კავალიერიმ**, რითაც „არსენალიდან" განათხოვრებულმა **ანდრე სანტოსმა** ისარგებლა და კლუბში თავისი პირველი გოლი გაიტანა, ამ მომენტიდან 14 წუთში კი ბარკოსმა საგოლე გადაცემა უკვე „ნაპოლიდან" განათხოვრებულ **ედუარდო ვარგასს** გაუკეთა, რომლის დარტყმულსაც „ფლუს" მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. აქვე აღვნიშნოთ, რომ დიეგო კავალიერი აშკარად მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი და სამივე მომენტში თუ არა, საკუთარი გუნდის გადარჩენა ორ ეპიზოდში მაინც შეეძლო. სამაგიეროდ, კარგი შეხვედრა ჩაატარა **დიდამ**, ვინც **ფრედის** სამი სახიფათო დარტყმა მოიგერია. მეორე ტაიმში ცვლილებაზე გამოსულმა **დეკომ** და **ტიაგო ნევესმა** ვერაფერი შეცვალეს და **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდმა პირველი ქულები აიღო.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაშიც. ვენესუელის „კარაკასმა", ვინც პირველ ტურში „ფლუმინენსესთან" წააგო, სტუმრად ჩილეს ჩემპიონ „უაჩიპატოს" მოუგო, თანაც ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა. 54-ე წუთისთვის სტუმრები უკვე 3:0-ს იგებდნენ, ჩილელებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს.

მერვე ჯგუფში ოთხივე გუნდს სამი ქულა აქვს და ადგილები ბურთების სხვაობის მიხედვით არის გადანაწილებული. ამ ჯგუფში მთელი ბრძოლა წინ არის და როგორც ჩანს, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა „ველეს სარსფილდმაც" – ტორნეო ინისიალის გამარჯვებულმა პირველ ტურში „ემელეკთან" წააგო, ამჯერად კი „დეპორტეს იკიკეს" უმასპინძლა და მეტოქე დიდი ანგარიშით გაანადგურა. აქტიურობდა **ფერნანდო გაგო**, მაგრამ მასპინძელთა ახალწვეულმა გოლის გატანა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, თავი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ყოფილმა ფეხბურთელმა **ფედერიკო ინსუამ** და ახალგაზრდა **ესეკილ რესკალდანიმ** გამოიჩინეს. მეორე ტაიმში, გაგოს დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმართა შემტევ ნახევარმცველ **ედსონ პუჩს** მოხვდა და რიკოშეტით **როდრიგო ნარანხოს** კარში აღმოჩნდა. სამბურთიანი სხვაობით მოგების გამო, „ველესმა" „ემელეკს" გადაასწრო და „პენიაროლს" კვალში ჩაუდგა.

### ანდერლეხტი

## სუარესი დარჩა, კანუ წავიდა



მატიას სუარესი

„ანდერლეხტის" ერთ-ერთი ლიდერის და ბელგიის 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელის, **მატიას სუარესის** ტრანსფერი მოსკოვის ცსკა-ში საბოლოოდ ჩაიშალა. 24 წლის არგენტინელი, რომელიც 2011/12 წლების სეზონის ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა, ბრიუსელურ კლუბში 2008 წელს გადავიდა და მას შემდეგ 115 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში სუარესს ჯერ არ უთამაშია, რისი მიზეზიც ის ტრავმაა, რომლის გამოც არგენტინელი მოსკოვურ გუნდში ვერ გადავიდა.

სუარესი კი შეინარჩუნეს, სამაგიეროდ ბელგიელებმა **კანუ** დაკარგეს. 25 წლის **რუბენილსონ დოს სანტოს და როჩა**, რომელმაც მეტსახელი **ნვანკვო კანუს** პატივსაცემად აიღო, კარიერას გროზნის „ტერეკში" გააგრძელებს. ჩეჩნურმა გუნდმა ფეხბურთელთან 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, „ანდერლეხტს" კი 3 მილიონ ევრომდე გადაუხადა.

### უიღბლო ფეხბურთელები

# როდესაც ქვედა დივიზიონი გიხმობს

**მსოფლიოში არიან ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა გუნდთან ერთად, უმაღლესი ლიგიდან გავარდნილან. არიან ისეთებიც, ვისაც უმაღლესი დივიზიონი, ერთი გუნდის რიგებში რამდენჯერმე დაუტოვებიათ და არის ისეთი, ვინც ზედიზედ ორი სეზონი მსოფლიო ფეხბურთის გრანდებში ითამაშა, მაგრამ...**

**ადალბერტო რომანი** „რივერ პლეიტის" პარაგვაელი ფეხბურთელია, რომელიც ამ გუნდში 2010 წელს, „ლიბერტადიდან" გადავიდა. პარაგვაული ფეხბურთის გრანდთან ერთად, რომანმა ქვეყნის ჩემპიონატი 4-ჯერ მოიგო, 2009 წელს კი ნაკრებშიც გამოიძახეს. ამის შემდეგ, ის მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა გრანდმა მიიწვია...

თითქოს ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ რომანის პრობლემები სწორედ არგენტინაში დაიწყო. „რივერმა" საშინელი სეზონი ჩაატარა და ისტორიაში პირველად, პრიმერა დივიზიონიდან გავარდა. ყველა სიკეთესთან ერთად, გულშემატკივრებმა ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ სწორედ პარაგვაელი ფეხბურთელი მიიჩნიეს. ამ და სხვა მიზეზების გამო, ადალბერტო გუნდიდან წავიდა, ოღონდ იჯარით და ბრაზილიას მიაშურა, სადაც... „პალმეირასში" ჩაირიცხა.

სეზონი ბრაზილიური გუნდისთვის შესანიშნავად დაიწყო: „პალმეირასმა" ბრაზილიის თასზე იმარჯვა და კოპა ლიბერტადორესის საგზური მოიპოვა, მაგრამ ჩემპიონატში გუნდს საქმეები ცუდად წაუვიდა და შედეგად, „პალმეირასი", ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, სერია A-დან გავარდა.

წარმოიდგინეთ, როგორი უიღბლო უნდა იყო, რომ ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში, სამხრეთ ამერიკული და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, მსოფლიო ფეხბურთის გრანდებში ითამაშო და ორივე ეს გრანდი, შენი იქ ყოფნის პერიოდში ლიგიდან გავარდეს! თანაც, თუ „პალმეირასს" ასეთი რამ ისტორიაში მესამედ დაემართა, „რივერი" პირველად და ალბათ უკანასკნელად გავარდა.

25 წლის ფეხბურთელი იანვარში „რივერს" დაუბრუნდა და არგენტინის ახალ ჩემპიონატში ორივე შეხვედრაში ითამაშა. საბედნიეროდ, ქვეყნის 33-გზის ჩემპიონმა ორივე მატჩი მოიგო და წელს გავარდნა, ალბათ არ დაემუქრება, თუმცა ვინ იცის, რომანი ხომ ისევ გუნდშია...

### ჰეთ თრიქი

კიდევ ერთი უცნაური ბედის ფეხბურთელი ესპანეთში თამაშობს და მისი შემთხვევა შესაძლოა ბევრი თქვენგანისთვის ცნობილია. ლაპარაკია **სერხიო გარსიაზე**, „ბარსელონას" აღზრდილ ფეხბურთელზე, რომელიც აგერ უკვე 3 წელია „ესპანიოლის" ღირსებას იცავს. 29 წლის ფეხბურთელს, რომელსაც ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები (2 თამაში) და 2008 წელს ევროპის ჩემპიონიც გახდა, კარიერის განმავლობაში სულ ხუთ კლუბში უთამაშია („ბარსელონა", „ლევანტე", „სარაგოსა", „ბეტისი" და „ესპანიოლი") და აქედან, მისი გუნდში ყოფნის პერიოდში, მხოლოდ კატალონიური გუნდები არ გავარდნილან!

2004/05 წლების სეზონში, გარსია „ბარსამ" „ლევანტეში" გაანათხოვრა, რომელმაც ჩემპიონატი მე-18 პოზიციაზე დაასრულა და პრიმერას დაემშვიდობა. ამის შემდეგ, ფორვარდი „სარაგოსაში" გადავიდა, სადაც პირველ ორ სეზონში გაუჭირდა, მესამე სეზონში კი ძირითადში დამკვიდრდა, ყველა შეხვედრაში ითამაშა და სეზონის ბოლოს ევროპის ჩემპიონატზეც მოხვდა. თითქოს იდეალური სურათია... არაფერიც, „სარაგოსამ" იმ ჩემპიონატში მე-18 პოზიცია დაიკავა და სეგუნდაში ჩაეშვა.

აქვე დავამატოთ, რომ იმ სეზონის დაწყების წინ, „სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებლად მოიაზრებოდა, რადგან გუნდში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობდა. თავად განსაჯეთ, 2007/08 წლების სეზონში, სერხიო გარსიას გარდა, არაგონული კლუბის ღირსებას იცავდნენ: მეკარე **სესარი**, მცველები **რობერტო აიალა, ხუანფრანი, კარლოს დიოგო, სერხიო**, ნახევარმცველები **პაბლო აიმარი, გაბი, ალბერტ სელადესი, პეტერ ლუქსენი, ანდრეს დალესანდრო, მათუზალემი**, ფორვარდები **რიკარდო ოლივეირა და დიეგო მილიტო**...

მომდევნო სეზონი, უკვე ევროპის ჩემპიონის რანგში, სერხიომ „ბეტისში" დაიწყო. ჩემპიონატში 9 გოლიც გაიტანა, რაც მისთვის დღემდე საუკეთესო შედეგია, მაგრამ „ბეტისი" 38-ე ტურის შემდეგ... მე-18 ადგილზე აღმოჩნდა და ლიგიდან გავარდა. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ, სერხიოს გადაბირებით არავინ დაინტერესდა. 2009/10 წლების სეზონი მან სეგუნდაში გაატარა და „ბეტისს" პრიმერას საგზურის მოპოვებაში დაეხმარა, რის შემდეგაც გუნდი ვალმოხდილმა დატოვა და „ესპანიოლს" მიაშურა.

პირველი ორი სეზონი უჩვეული გამოდგა, რადგან „ესპანიოლმა" მე-8 და მე-14 ადგილები დაიკავა, სამაგიეროდ წელს, ყველაფერი სერხიო გარსიასთვის ნაცნობი სცენარით ვითარდებოდა – კატალონიელები კატასტროფულ მდგომარეობაში იყვნენ და 13 ტურის შემდეგ, 9 ქულით ბოლო პოზიციას იკავებდნენ. ამის შემდეგ, „ესპანიოლის" ხელმძღვანელებმა გუნდში **ხავიერ აგირე** მოიყვანეს და გუნდი ერთიანად გარდაიქმნა. მექსიკელის მოსვლის შემდეგ, „ესპანიოლმა" პრიმერაში 11 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი, ისიც „ბარსელონასთან" წააგო, დანარჩენი 10 მატჩიდან კი 6 მოიგო, მათ შორის ბოლო 3 ზედიზედ.

ამჟამად, სერხიო გარსიას გუნდი მე-12 ადგილზეა და გასავარდნ ზონაში, მე-18 პოზიციაზე მყოფ „სელტას" 12 ქულით უსწრებს. მოკლედ, სერხიო გარსია კი ეცადა, მაგრამ ხავიერ აგირემ მას გეგმები აურია, ასე რომ, დიდი ალბათობით, მორიგი გუნდის გასაგდებად, გარსიას მოცდა მომავალ სეზონამდე მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ადალბერტო რომანი



სერხიო გარსია

ვარსკვლავი

# ბედნიერი ბრაზილიელი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ანდერსონი „ოლდ ტრეფორდზე“ უკვე მე-6 წელია თამაშობს. „პორტუდან“ ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე პლეიმეიკერის სახელით წამოვიდა, რისი დასტურიც იყო მასში გადახდილი 17 მილიონი ფუნტი. მისდა საუბედუროდ, „ეშმაკებში“ მან დღემდე ვერ მოახერხა იმ პოტენციალის ჩვენება, რასაც ფლობს. ფეხბურთელი სირთულეებზე ლაპარაკს არ გაურბის, მაგრამ აცხადებს, რომ ბრიტანული პრესის ბრალდება, თითქოს ის რამდენჯერმე ცდილობდა „იუნაიტედიდან“ გაქცევას, სიმართლეს არ შეესაბამება. ანდერსონმა ინტერვიუ საკლუბო არხს მისცა.


ტრავმებმა ანდერსონის პროფესიული განვითარება ძალიან შეაფერხა

- რაც ჩემზე იწერება, არ არის მართალი. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ მანჩესტერში ბედნიერი ვარ. ტრავმები მუდმივად მაწუხებდა, მაგრამ ღიმილი არასოდეს შემიწყვეტია. გუნდისთვის, რაც შემეძლო ყველაფერს ვაკეთებდი. თუკი ოდესმე წასვლას გადავწყვეტ, ჯერ ალექს ფერგიუსონს დაველაპარაკები. მასთან პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. „იუნაიტედიდან“ როცა მიდიხარ, არჩევანი, სად შეიძლება განაგრძო კარიერა ძალიან ცოტაა, რადგან ამ კლუბის დონე ძალიან მაღალია. „იუნაიტედში“ ტიტულებს აუცილებლად მოიგებ. მაგალითად მე პრემიერლიგა უკვე სამჯერ მაქვს მოგებული, ერთხელ ჩემპიონთა ლიგა, წაგებული მაქვს ამ ტურნირის ფინალიც და ამ დროს ყოველთვის გუნდთან ერთად ვიყავი. „იუნაიტედში“ ექვსი წელია ვთამაშობ, მაგრამ ვაღიარებ, რომ მაინც მიჭირს. დიახ, ამ გუნდში თამაში ძალიან ძნელია. ჩვენთან ბევრმა უმაღლესი კლასის ფეხბურთელმა ვერ ითამაშა, მაგალითად, ხუან ვერონმა, კლებერსონმა. მე კი როცა აქ გადმოვედი ძალიან პატარა ვიყავი და გუნდში ისეთი ფეხბურთელი დამხვდა კონკურენტი, როგორიც პოლ სქოულზი იყო. ცხადია, ამიტომაც შემექმნა პრობლემები. თუმცა პირველ სეზონში ასე თუ ისე გავუმკლავდი გამოწვევებს. მეორეში დროდადრო ვთამაშობდი, აი, შემდეგ კი ტრავმების ეპიდემია დამეწყო. როცა არაფერი მაწუხებს, ვიცი რა დონეზეც შემიძლია თამაში. სამწუხაროდ, ხშირად ხდება, როცა ორ ნაბიჯს წინ ვდგამ და მერე პრობლემების გამო სამით უკანდახევა მიწევს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინციდენტი

# თავდასხმა ლონდონელ ფანებზე, სერია №2

წუხელ ევროპალიგის პლეი ოფის შეხვედრაში „სტად დე ჟერლანზე“ „ლიონმა“-„ტოტენჰემს“ განმეორებით შეხვედრაში უმასპინძლა. ფრანგებმა ფეხბურთის დაწყებამდე ბევრად ადრე გადაწყვიტეს სტუმრებთან ანგარიშის გასწორება. ხუთშაბათს, გამთენიისას, ლონდონელ ფანებს ადგილობრივი ნილბიანი და ნაცისტურსიმბოლიკიანი ხულიგნები ქალაქის ერთ-ერთ ბარში (სახელად Smoking Dog) დაესხნენ თავს. მართალია, ადგილზე 150 ლონდონელი იმყოფებოდა, მაგრამ როგორც მოწმეები აცხადებენ, თავდასხმა მომენტალურად დაიწყო, ისროდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, მათ შორის სკამებს, თეფშებს, ქვებს. პაბში მყოფმა ინგლისელებმა ისლა მოახერხეს, რომ მაგიდები ამოატრიალეს და თავი შეაფარეს. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა. ამბულატორიული დახმარება სულ სამ ადამიანს დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ ეს ჩრდილოლონდონელთა თაყვანისმცემლებზე თავდასხმის პირველი ფაქტი არ არის. 20 ნოემბერს, რომში ამ მხრივ „ლაციოს“ ფანებმაც გამოიჩინეს თავი. ოღონდ მაშინ შედეგები უფრო მძიმე იყო. „ულტრასებმა“ ხუთი ადამიანი დანით დაჭრეს. „ბიანკააძურის“ ფანებმა „დეზებს“ არც სტადიონზე დააკლეს ხელი. სტუმართა შავკანიანი ფეხბურთელები რასისტული შეურაცხყოფის მსხვერპლნი გახდნენ. ამ ყოველივეს გამო უეფამ „ლაციო“ 120 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. ისევე როგორც რომში, თავდასხმა ამჯერადაც კარგად დაგეგმილი იყო. აი, რას აცხადებს ლიონური პაბის ინგლისელი მეპატრონე **დეივ ილსი**: „დარბაზში უამრავი ინგლისელი იჯდა. ისინი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას ადევნებდნენ



ბარი, სადაც ტოტენჰემის გულშემატკივრებს დაესხნენ თავს

თვალს. მოულოდნელად 50-მა ადამიანმა გარეთა ფასადის შუშებს ჯერ ქვები და შემდეგ მინის მსხვრევადი საგნები დაუშინა. ისინი სწრაფად გაიქცნენ, მაგრამ მალევე დაბრუნდნენ და იგივე გაიმეორეს. ოღონდ ამჯერად უფრო ცოტანი იყვნენ, ალბათ 20-25 კაცი. სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ. დახმარება სამ ადამიანს დასჭირდა. აქედან ერთს თავი ჰქონდა გატეხილი. ასეთი კატეგორიის ადამიანებთან შეხვედრა ძალიან საშიში ყოფილა. აქამდე არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს“. „გარდიანის“ მტკიცებით, ადგილობრივი კრიმინალური ჯგუფები ილსს წინასწარ აფრთხილებდნენ, რომ ინგლისელთა მასობრივ თავშეყრას არ დაუშვებდნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ფეხბურთი და ტექნოლოგიები

# პრემიერლიგა ემზადება


ინგლისელთა გოლი გერმანიის ნაკრების კარში, რომელიც არ ჩაითვალა

გასული წლის დეკემბერში პირველად ფეხბურთის ისტორიაში ფიფას ეგიდით გამართულ მატჩში „მონტერეისა“ და „ჩელსის“ შორის გოლის ფიქსაციის ელექტრონული სისტემა GoalRef გამოიყენეს. აღნიშნული სისტემა დამყარებულია ელექტრომაგნიტური ინდუქციის თვისებებზე. კარებზე მაგრდება სპეციალური ხელსაწყო, რომელიც მაგნიტურ ველს ქმნის, ბურთს კი გადამცემი აქვს ჩამონტაჟებული, რომელიც არბიტრს ნიშანს აძლევს, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მსგავსი სისტემა სახელად Hawk-Eye ჩოგბურთში 2006 წლიდან გამოიყენება. რამდენიმე წელიწადია, ის დანერგილია კრიკეტშიც. ვარაუდობენ, რომ მას მალე დანერგავენ ხელბურთშიც. GoalRef პირველად დანიის ხელბურთის უმაღლესი ლიგის თამაშზე გამოიყენეს ექსპერიმენტის სახით.

ორშაბათს ფიფამ დაადასტურა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულზე კონფედერაციათა თასზე სისტემებს ისევ საცდელ რეჟიმში გამოიყენებს. აი, ინგლისში კი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ გოლის ფიქსაციის ტექნოლოგია პრემიერლიგაში 2013/14 წლების სეზონის სტარტიდანვე დაინერგება. აქამდე ცნობილი იყო, რომ სიახლე წლის ბოლოს უნდა ამოქმედებულიყო. პრემიერლიგის წარმომადგენლები შარშან ზემოთ ხსენებულ კომპანიებს რამდენჯერმე შეხვდნენ. ტენდერში გასამარჯვებლად Hawk-Eye და GoalRef დღემდე იბრძვიან. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ აგვისტოსთვის ჩემპიონატის მასპინძელი ყველა სტადიონი მზად იქნება სისტემების გამოსაყენებლად. „პრემიერლიგა დიდი ხანია, რაც მხარს უჭერს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს ფიფას პარტნიორ ლიცენზირებულ კომპანიებთან. ვგეგმავთ, რომ ეს სისტემები, რაც შეიძლება სწრაფად დავნერგოთ. ერთადერთი პრობლემა იმ კომპანიის არჩევაა, ვისთანაც კონტრაქტი გაფორმდება“ – ვკითხულობთ ინგლისის პროფესიული ლიგის სპეციალურ განცხადებაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

მწვრთნელი

ეროვნული

# ფიურტმა ბიუსკენსი დაითხოვა

გუშინ „ფიურტის“ ხელმძღვანელებმა **მაიკ ბიუსკენსი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ ფიურტელები ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზე არიან და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ, ასეთი გაფაწყვეტილება მაინც მოულოდნელი იყო, რადგან ცოტა ხნის წინ „ფიურტმა“ გელზენკირხენში „შალკეს“ 2:1 მოუგო. თუმცა, „ფორტუნასთან“ განცდილი მარცხის (0:1) შემდეგ, ფიურტელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და შეფებმაც გადამჭრელი ზომა მიიღეს.

44 წლის ბიუსკენსი „ფიურტში“ 2009 წლის დეკემბრიდან მუშაობდა და არსებობის ისტორიაში ეს გუნდი პირველად გადაიყვანა გერმანიის საფეხბურთო ელიტაში. ახალი დამრიგებლის პოვნამდე „ფიურტს“ მოყვარულთა გუნდის მწვრთნელი, 41 წლის **ლუდვიგ პრაისი** უხელმძღვანელებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



## სიტის მორიგი გრანდიოზული გეგმა

„მანჩესტერ სიტის“ სატრანსფერო გეგმებზე წერა ამოუწურავი თემაა, რადგან „ქალაქელები“ ყოველთვის ვიღაცას უმიზნებენ, ეს ვიღაც კი, როგორც წესი, ვარსკვლავია. შესაბამისად გულშემატკივრის ინტერესიც მაღალია. „დეილი სტარის“ ინფორმაციით, მანჩესტერელთა სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** საზაფხულო გეგმები მოხაზა. „სიტი“ „დორტმუნდიდან“ 23 წლის **მარკო როისის** შეძენას 30 მილიონ ევროდ აპირებს, „სევილიას“ კი 27 წლის **ხესუს ნავასში** 35 მილიონს სთავაზობს. უკანასკნელს საკომპენსაციო თანხა კონტრაქტით აქვს განსაზღვრული. გამოცემა ვარაუდობს, რომ ინგლისის მოქმედ ჩემპიონებს ესპანელის ყიდვის მეტი შანსი აქვთ, რადგან ბუნდესლიგის გამარჯვებული არც ფინანსურ პრობლემებს უჩივის და არც როისი გეგმავს კლუბის შეცვლას, მით უფრო მსოფლიოს ჩემპიონატის სეზონში. ნავასისა და როისის გარდა ბეგირისტაინი აკვირდება **ედინსონ კავანის** (ნაპოლი), **ისკოს** (მალაგა), **ვიქტორ ვანიამას** (სელტიკი), **უილ ჰიუზს** (დერბი ქაუნთი). „სიტი“ შემადგენლობის განტვირთვასაც აპირებს. „ეტიჰადს“ **ედინ ჯეკო, სამირ ნასრი** და **სკოტ სინკლერი** დატოვებენ.

## ტანქლიფი იჯარით წავა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის საყრდენი ნახევარმცველი **რაიან ტანქლიფი** მიმდინარე სეზონში ძირითადი გუნდის განაცხადში ერთადერთხელ მოხვდა. სათამაშო პრაქტიკას ის ძირითადად დუბლებში იღებს. „იუნაიტედი“ ერთბაშად სამ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას და გამოუცდელ შუახაზელს სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს დებიუტში. **ალექს ფერგიუსონის** გადაწყვეტილებით, რაიანი სეზონის დარჩენილ ნაწილს ჩემპიონშიპის რომელიმე გუნდში იჯარით გაატარებს, ზაფხულზე კი კიდევ ერთი შანსი მიეცემა „ოლდ ტრეფორდზე“ თავის დასამკვიდრებლად. ბრიტანელი ჟურნალისტების ცნობით, მისი გადაბირება „ბარნლის“, „ბლექპულს“, „ბლექბერნსა“ და „ჰადერსფილდს“ სურთ.

## ბენ არფა ჯერ ადრეა

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ „ნიუკასლის“ 26 წლის ფრანგი ნახევარმცველი **ატემ ბენ არფა** ორთვიანი პაუზის შემდეგ მოედანს ევროპალიგის შეხვედრაში ხარკოვის „მეტალისტთან“ უნდა დაბრუნებოდა. ბოლო მომენტში **ალან პარდიუმ** ფეხბურთელი უკრაინაში აღარ წაიყვანა. სამაგიეროდ XXVII ტურში „საუთჰემპტონთან“ ის აუცილებლად იქნება განაცხადში. „სენტ ჯეიმს პარკზე“ „წმინდანებთან“ თამაშს შეძლებს **დავიდე სანტონიც**.

## კუევასი ჩელსიში

„ტრიბალფუტბოლის“ ცნობით, ჩილეური „ოჰიგინსის“ (სახელი ირლანდიურია და მას ესპანურად განსხვავებულად წარმოთქვამენ) 17 წლის ნახევარმცველი **კრისტიან კუევასი** ამ დღეებში ლონდონს ესტუმრება და „ჩელსისთან“ პროფესიულ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. ნიჭიერი სამხრეთამერიკელისადმი ინტერესზე ინფორმაცია 2-3 კვირის წინ გაჩნდა. კლუბებს მისი უარყოფა არც უცდიათ. როგორც ჩანს, მხარეებმა პირობებზე იოლად მოილაპარაკეს. რა უჯდება „ჩელსის“ ეს ტრანსფერი, ვერ გეტყვით. ფინანსურ დეტალებზე წყარო არაფერს წერს. გეტყვით იმასაც, რომ ასაკის მიუხედავად, კუევასს ჩილეს ახალგაზრდულ ნაკრებში იწვევენ. უპირატესად ის მარცხენა ფლანგზე ირჯება.

## 76:0 წასულების სასარგებლოდ

ინგლისელებს „არსენალის“ 8-წლიან მშრალ სერიაზე წერა არ ჰბეზრდებათ. გუშინდელმა „სანმა“ დაითვალა და აღმოაჩინა, რომ 2005 წლის შემდეგ „მეთოფეებისგან“ წასულმა ფეხბურთელებმა 76 ტიტული მოიგეს, მაშინ როცა ჩრდილოლონდონელებს მას მერე ყველაზე უმნიშვნელო წარმატებაც კი მხოლოდ ესიზმრებათ. ჩვენ მხოლოდ ჩამოგითვლით ფეხბურთელებსა და მათ წარმატებებს. 8 ტიტული - **ეშლი კოული, პატრიკ ვიეირა**; 7 – **ტიერი ანრი**; 5 - **ალექსანდრ ჰლები, ედუარდო**; 4 – **სესკ ფაბრეგასი, ლასანა დიარა, ხოსე რეიესი, სტივენ ოდონელი**; 3 – **კოლო ტურე**; 2 – **მატიო ფლამინი, გაელ კლიში, სამირ ნასრი, ჟილბერტო სილვა, ემანუელ ებუე, ენტონი სტოუკსი, მეტიუ კონოლი**; 1 – **სოლ კემპბელი, სებასტიან ლარსონი, ემანუელ ადებაიორი, ჯერმეინ პენანტი, ედუ, ლორენი, ფრან მერიდა, ფრანკ შიმეკი, ფრედი ლუნგბერგი, მარკ რენდალი**.

## იუნაიტედის პრობლემები

უძმეებზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ქუინზ პარკთან“ ელის შეხვედრა. **ალექს ფერგიუსონის** გუნდს საკადრო პრობლემები აქვს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „რეინჯერებს“ **უეინ რუნი** და **ფილ ჯონსი** ვერ დაეხმარებიან. პირველი გაციებულია და 4-5 დღეა არ ვარჯიშობს. 27 წლის თავდამსხმელმა სწორედ ამ მიზეზით გამოტოვა „რედინგთან“ ასოციაციის თასის 1/8-ფინალური შეხვედრა. რაც შეეხება 22 წლის უკანახაზელს, ფერგის ცნობით, მან მარტო „ქუინზ პარკთან“ კი არა, შესაძლოა, 5 მარტს „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო შეხვედრაც გამოტოვოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

სერია A

# კონტრაქტებს ითხოვენ და გაურბიან



მაურიციო ძამპარინის ფაბრიციო მიკოლი არ ეთმობა

**31 იანვრამდე კლუბების მესვეურთა მთავარი საზრუნავი ტრანსფერების გაჩარხვა იყო, დღეს კი წინა პლანზე ფეხბურთელებთან კონტრაქტების გახანგრძლივებაა, რაც რიგ შემთხვევებში არცთუ იოლი საქმეა - განსაკუთრებით მაშინ, თუ ზაფხულში ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება და უკეთეს გუნდში გადასვლის იმედი აქვს. ქვემოთ სწორედ ამ თემაზე გვექნება საუბარი...**

## ახალი კონტრაქტი მდუმარე მიკოლის

მიმდინარე სეზონში, **ფაბრიციო მიკოლის** ძირითადად თადარიგში უწევს ჯდომა და უკვე არაერთგზის ითქვა იმის შესახებ, რომ 33 წლის ფორვარდი ზაფხულში დატოვებს „პალერმოს". მით უმეტეს, მიკოლის კონტრაქტს სწორედ ზაფხულში გადის ვადა და ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება. ამ თემაზე თავად ფაბრიციომ ლაპარაკი არ ისურვა, სამაგიეროდ, კლუბის პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** გააკეთა განცხადება:

*„მიკოლი „პალერმოს" ლიდერია და მისი გაშვება აზრადაც არ მომსვლია. რამდენიმე დღეში. მას ახალ კონტრაქტს შევთავაზებთ და იმედია, მალევე შევთანხმდებით. მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიციო უკვე 33 წლისაა, მასთან 2-წლიანი ხელშეკრულების გაფორმება გვსურს. გვინდა, ფაბრიციომ კარიერა „პალერმოში" დაასრულოს და იმედია, ეს ასეც იქნება".*

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მიკოლი დუმს და ეს გარკვეულ ეჭვებს აღძრავს - ამბობენ, რომ ფაბრიციოს გადაბირება სერია A-ს ერთბაშად რამდენიმე გუნდს სურს და ეს მაშინ, როდესაც თვითონ „პალერმო" სერია B-ში დაქვეითების რეალური კანდიდატია. გამომდინარე აქედან, ეს დუმილი სრულიად გასაგებია.

## გაზრდილი ხელფასები ახალგაზრდა მილანელებს

თვალსა და ხელს შუა, ვეტერანებით გაძეძგილი „მილანი" ახალგაზრდული გუნდი გახდა... შეტევაში **მარიო ბალოტელი, სტეფან ელ შაარავი** და **მბაიე ნიანგი** მოქმედებენ, რომელთა ასაკი რომ შევკრიბოთ, 60-ს მივიღებთ. ახალგაზრდა ფეხბურთელები ლომბარდიელებს სხვა რგოლებშიც ჰყავთ და მაგალითისთვის **მატია დე შილიოს** მოყვანაც შეიძლება,

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „როსონერის" მესვეურები 18 წლის მბაიე ნიანგისა და 20 წლის მატია დე შილიოსთვის ახალ ხელშეკრულებებს ამზადებენ, საბოლოო გადაწყვეტილება კი თავად ფეხბურთელებმა უნდა მიიღონ. თუ დღემდე ისინი ნახევარ მილიონ ევროს იღებენ წელიწადში, ახალი კონტრაქტის თანახმად, მათი გასამრჯელო 800 000-მდე გაიზარდება. დე შილიომ უკვე გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ მისთვის ამ ეტაპზე მთავარი სათამაშო დროა და რადგან მასიმილიანო ალეგრისგან ნდობას გრძნობს, კონტრაქტს სიამოვნებით გაახანგრძლივებს. წესით და რიგით, იმავე პოზიციაზე უნდა იყოს ნიანგიც.

## პეროტა იმედოვნებს...

35 წლის **სიმონე პეროტა** იმედოვნებს, რომ „რომასთან" ხელშეკრულებას კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივებს, შემდეგ კი დაასრულებს კიდეც კარიერას: *„ჩემს კონტრაქტს ვადა ზაფხულში გადის და ჯერ ზუსტად არ ვიცი, რა იქნება მომდევნო სეზონში. 35 წლის ვარ და სხვადასხვა გუნდში ხეტიალის დრო აღარ მაქვს, თუ „რომას" მესვეურები ხელშეკრულებას კიდევ ერთი სეზონით გამიხანგრძლივებენ, სიამოვნებით დავრჩები და კარიერასაც „ჯალოროსიში" დავასრულებ. ამ საკითხზე შესაბამის პირებთან ვაპირებ დალაპარაკებას და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*



იტალიელ ჟურნალისტთა ვერსიით, ადემ ლიაიჩი „ინტერში" გადასვლის პერსპექტივამ დაადუმა

შეგახსენებთ, რომ სიმონე პეროტა „რომაში" 2004 წელს „კიევოდან" გადავიდა და მას შემდეგ, დედაქალაქური გუნდის მაისურით 235 შეხვედრა ჩაატარა. ამასთან, 35 გოლი აქვს გატანილი, რაც საყრდენის ნახევარმცველისთვის შესანიშნავი შედეგია. პეროტას იტალიის ეროვნულ ნაკრებში 48 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლი გატანილი. სიმონე მსოფლიოს ჩემპიონია, მიმდინარე სეზონი კი შესაძლოა ბოლო გამოდგეს მის საფეხბურთო კარიერაში.

## მაცდური შეთავაზება ლიაიჩს

„ფიორენტინას" შემტევმა **ადემ ლიაიჩმა** მიმდინარე სეზონში 17 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, რომელთაგან 2 გასულ ტურში, „ინტერთან" პაექრობაზე მოდის. შესაძლოა, ფანტასტიკური შედეგი არაა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადემი სიღრმიდან თამაშობს და არა ცენტრფორვარდის პოზიციაზე, თანაც მხოლოდ 21 წლისაა. საქმე იმაშია, რომ „ფიორენტინას" მესვეურებმა ადემთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტეს, მაგრამ თავად ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე მოცდას ამჯობინებს.

ლიაიჩის ფლორენციული კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდეა გათვლილი და „ვიოლას" მესვეურებს მისი კიდევ ორი სეზონით გახანგრძლივება სურთ. ამისთვის, ისინი მზად არიან მოთამაშეს ხელფასი გაუზარდონ და ახალი კონტრაქტი გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზონ. ამის შესახებ კომენტარი „ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა **დანიელე პრადემ** გააკეთა:

*„ადემი კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს, რაც სიმართლე გითხრათ, ძალიან მაკვირვებს. ჯერ ერთი, ფლორენციაში მას ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი და თანაც, მისი გადაბირების მსურველი კლუბებიც არ ჩანან. ამასთან, ახალი ხელშეკრულების მიხედვით, მისი ხელფასი 1/3-ით იზრდება და ესეც ჩვენი კეთილი ნება გახლდათ. ვნახოთ, ადემს კიდევ ცოტას ვაცდით და შემდეგ, შევეცდებით გავერკვეთ ვითარებაში".*

იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაფხულში ლიაიჩის გადაბირებას „ინტერის" მესვეურები შეეცდებიან და შესაძლოა, ფეხბურთელის დუმილიც ამას უკავშირდება. თუ ფლორენციელებს ეცოდინებათ, რომ 2014 წლის ზაფხულში ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება, მის ფასს ხელოვნურად ვერ გაზრდიან და უფასოდ შელევის შიშით, უკვე მომდევნო ზაფხულს იაფად გაასხვისებენ... შესაძლოა, ლიაიჩს სწორედ ასეთი გათვლა აქვს, ყველაფერი კი უახლოეს მომავალში გაირკვევა.



ინოკენტი ემეგარამ ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი ოთხი თამაშით დაიმსახურა

## ხანგრძლივი კონტრაქტი ემეგარას

ნიგერიული წარმოშობის შვეიცარიელი ფორვარდი **ინოკენტი ემეგარა** ამ ზამთარს ფრანგულმა „ლორიანმა" „სიენას" იჯარით მისცა და კონტრაქტში პუნქტი ჩაუდო, რომლის მიხედვითაც მისი გამოსყიდვა ტოსკანელებს 6.5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ემეგარას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კალჩოს მალე აუღო ალღო და გოლების გატანაც მყისვე დაიწყო. 23 წლის ფორვარდს ოთხ შეხვედრაში ამდენივე გოლი აქვს გატანილი, თამაშის მანერით კი ბევრს **ფილიპო ინძაგის** აგონებს, რადგან ისიც თამაშგარის ზღვარზე ირჯება. მოკლედ, ემეგარამ საფეხბურთო იტალია აალაპარაკა და როგორც „სიენას" მესვეურები აცხადებენ, ზაფხულში შვეიცარიელს აუცილებლად გამოისყიდიან - ამავე პოზიციაზეა „ბიანკონერის" მთავარი მწვრთნელი **ჯუზეპე იაკინიც**:

*„არ მეგონა თუ ემეგარა ასე სწრაფად დაიწყებდა გოლების გატანას, რადგან იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაცია იოლი არაა და ეს არაერთი ვარსკვლავის მაგალითზე ვიცით. მართალია, „სიენა" ტრანსფერებზე მილიონებს არასდროს ხარჯავდა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჯიბეზე ხელის გაკვრა ღირს. ვფიქრობ, ემეგარა აუცილებლად უნდა გადავიბიროთ და მასთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი გავაფორმოთ, რადგან მისი სახით ძალიან ძლიერი ცენტრფორვარდი დაგვემატა".*

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


ადმირ სულიჩი ფეხბურთელობისას

## დააკავეს მილანის აეროპორტში

გუშინ, მილანის აეროპორტში დააკავეს პიროვნება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ევროპოლის მიერ აგორებულ დიდ საფეხბურთო სკანდალთან და მატჩების ჩაწყობასთან.

აეროპორტ „მალპიენსაში" დააკავეს სლოვენიის მოქალაქე, ვინმე **ადმირ სულიჩი**. ინტერპოლი მიიჩნევს, რომ სინგაპურიდან ჩამოსული სულიჩი სინგაპურის საფეხბურთო კარტელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია.

ევროპოლის დოკუმენტაციის თანახმად, მატჩების ჩაწყობები გლობალურად სწორედ სინგაპურიდან იმართება და მას სათავეში **დან ტანი** უდგას.

ინტერპოლი მიიჩნევს, რომ სულიჩი უშუალოდ იყო დან ტანთან დაკავშირებული და მისგან ბრძანებებს იღებდა და ასრულებდა.

ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელსაც ოფიციალური წყარო არ ადასტურებს, სინგაპურიდან მილანში ჩაფრენილ თვითმფრინავში თვით დან ტანი იმყოფებოდა.

ევროპოლის მონაცემებით, სინგაპურიდან მანიპულაციები 15 ქვეყანაში ხდება. ამ საქმეზე უკვე 50 კაცია დაპატიმრებული.

ადმირ სულიჩი 31 წლისაა, ის ყოფილი ფეხბურთელია.

## სირიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ჩაცხრილეს

ტელეკომპანია BBC-ის ცნობით, დამასკოს სტადიონს ტყვიამფრქვევიდან ესროლეს, რის შედეგად ერთი ფეხბურთელი გარდაიცვალა.

დაიღუპა 19 წლის სირიელი ფეხბურთელი **იუსეფ სულეიმანი**, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიჭრა. ასეთი შედეგი მოჰყვა სირიაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის მორიგ დაპირისპირებას.

„ტიშრინის" სტადიონზე „ალ-ვათჰბა" და „ალ-ნვაირი" მატჩისწინა მოთელვაზე იყვნენ გამოსულები. იუსეფ სულეიმანი „ალ-ვათჰბაში" თამაშობდა და უკვე სირიის ახალგაზრდულ ნაკრებში იწვევდნენ. სამოქალაქო ომმა სირიაში უკვე ათასობით ადამიანი შეიწირა.


იუსეფ სულეიმანი

რეალი

# ანჩელოტი გადაწყვეტილია?

## სამეფო კლუბს მოურინიოს შემცვლელი ნაპოვნი ჰყავს

ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „პარი სენ-ჟერმენის" იტალიელი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** ზაფხულიდან მადრიდის „რეალის" თავკაცი გახდება.


კარლო ანჩელოტი

წყაროს ცნობით, „რეალის" წარმომადგენლები უშუალოდ ანჩელოტის შეხვდნენ, რადგან ამ სპეციალისტს აგენტი არ ჰყავს და სიტყვიერ შეთანხმებასაც მიაღწიეს.

ეს არ ყოფილა ანჩელოტის და „რეალის" პირველი შეხვედრა. გამომდინარე აქედან, „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობას კარგა ხანია, გადაუწყვეტია მისი დანიშვნა **ჟოზე მოურინიოს** ნაცვლად.

ამ ინფორმაციამდე, ესპანური პრესა იუწყებოდა, რომ **ფლორენტინო პერესმა** და ჟოზე მოურინიომ მიაღწიეს შეთანხმებას - ზაფხულში პრეზიდენტი პორტუგალიელს 10 მილიონ ევროს გადაუხდის კომპენსაციის სახით და ჟოზეც ინგლისში სამუშაოდ გადაბარგდება.

### რეალი ისკოს და კარვახალს ყიდულობს

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ რადგან ჟოზე მოურინიო „რეალში" არ რჩება, კლუბის მომავალ ტრანსფერებზე თავად ფლორენტინო პერესი ზრუნავს.

კლუბის პრეზიდენტს ორი ახალგაზრდა ფეხბურთელის დამატება სურს, ესენია: ლევერკუზენის „ბაიერის" მარჯვენა მცველი, **დანიელ კარვახალი** და „მალაგას" ნახევარმცველ **ისკო**.

კარვახალი 21 წლისაა და ის გერმანიაში სწორედ „რეალის" სარეზერვო გუნდიდან გადავიდა, „სამეფო კლუბის" აღზრდილია. მადრიდელებს მისი უკან გამოსყიდვის უფლება კონტრაქტის მიხედვით აქვთ.

ისკო „ვალენსიას" აღზრდილია და შარშან გადავიდა „მალაგაში". მან ევროპის „გოლდენ ბოის" პრიზი მიიღო 2012 წელს.

კლასიკო




# ელ კლასიკო მექაში!

## რეალი და ბარსელონა მუსლიმანთა წმინდა ქალაქში ითამაშებენ

ესპანური ფეხბურთის კლასიკო მადრიდის „რეალსა" და „ბარსელონას" შორის... მუსლიმანთა წმინდა ქალაქ მექაში გაიმართება.

მართალია, ამის შესახებ ოფიციალური შეთანხმება მიღწეული არ არის, მაგრამ საუდის არაბეთში უკვე ტრიალებს სარეკლამო კლიპი, სადაც გულშემატკივრებს „რეალსა" და „ბარსელონას" შორის ამხანაგურ მატჩს ჰპირდებიან.

ეს მატჩი ახალი ჩქაროსნული რკინიგზის გახსნას უნდა მიეძღვნას მედინასა და მექას შორის (450 კილომეტრი). რკინიგზას 12 ფირმისგან შემდგარი ესპანური კონსორციუმი აშენებს და მას უკვე ეწოდა „უდაბნოს მაგისტრალი" (ან „პილიგრიმების მაგისტრალი"). პროექტის ბიუჯეტი 6,7 მილიარდი ევროა და მშენებლობა 2016 წელს დასრულდება - „რეალის" და „ბარსელონას" დაპირისპირებაც იმ დროისთვის გაიმართება.

ევროპალიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

**რუბინი (რუსეთი)-ატლეტიკო (ესპანეთი)** 0:1 (I მატჩი 2:0)
გოლი: 0:1 ფალკაო (84)
გაძევება: ნავასი (89. რუბინი)

**დნიპრო (უკრაინა)-ბაზელი (შვეიცარია)** 1:1 (0:2)
გოლები: 1:0 სელეზნიოვი (76-პენ), 1:1 შარი (81-პენ)
გაძევება: კალინიჩი (63. დნიპრო), ფ. ფრაი (76. ბაზელი)
შენიშვნა: ჯაბა კანკავა (დნიპრო) სათადარიგო იყო

**გენკი (ბელგია)-შტუტგარტი (გერმანია)** 0:2 (1:1)
გოლები: 0:1 ბოკა (45), 0:2 გენტნერი (59)

**ლაციო (იტალია)-გლადბახი (გერმანია)** 2:0 (3:3)
გოლები: 1:0 კანდრევა (10), 2:0 ა. გონსალესი (33)

**ლიონი (საფრანგეთი)-ტოტენჰემი (ინგლისი)** 1:1 (1:2)
გოლები: 1:0 გონალონი (17), 1:1 დემბელე (90)

**მეტალისტი (უკრაინა)-ნიუკასლი (ინგლისი)** 0:1 (0:0)
გოლი: 0:1 ამეობი (64-პენ)

**კლუჟი (რუმინეთი)-ინტერი (იტალია)** 0:3 (0:2)
გოლები: 0:1 გუარინი (22), 0:2 გუარინი (45), 0:3 ბენაზი (88)

**ბენფიკა (პორტუგალია)-ლევერკუზენი (გერმანია)** 2:1 (1:0)
გოლები: 1:0 ჯონი (60), 1:1 შიურლე (75), 2:1 მატიჩი (77)

**სტიაუა (რუმინეთი)-აიაქსი (ჰოლანდია)** 2:0 პენ 4:2 (0:2)
გოლები: 1:0 ლატოვლევიჩი (38), 2:0 ჩირიჩესი (76)

**ჩელსი (ინგლისი)-სპარტა (ჩეხეთი)** 1:1 (1:0)
გოლები: 0:1 ლაფატა (17), 1:1 აზარი (91)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი)-ბატე (ბელარუსი)** 1:0 (0:0)
გოლი: 1:0 ბარონი (45-პენ)
გაძევება: ბაგა (20. ბატე)

**ჰანოვერი (გერმანია)-ანჟი (რუსეთი)** 1:1 (1:3)
გოლები: 1:0 პინტო (70), 1:1 ლ. ტრაორე (98)

**ლივერპული (ინგლისი)-ზენიტი (რუსეთი)** 3:1 (0:2)
გოლები: 0:1 ჰალკი (19), 1:1 სუარესი (28), 2:1 ალენი (43), 3:1 სუარესი (59)

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ლევანტე (ესპანეთი)** 0:1 (0:3)
გოლი: 0:1 მარტინსი (9)

**პლზენი (ჩეხეთი)-ნაპოლი (იტალია)** 2:0 (3:0)
გოლები: 1:0 კოვარიკი (51), 2:0 ტედი (74)

**ბორდო (საფრანგეთი)-დინამო (უკრაინა)** 1:0 (1:1)
გოლი: 1:0 დიაბატე (41)





თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში

# ახალი კადრების ჩემპიონატი

## თაობა ისევ კარგი მოდის

გუშინ დიღმის ძიუდოს აკადემიაში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის, რომელშიც თავდაპირველად 50, 60, 74 და 96-ის ფალავნებმა იასპარეზეს. ტურნირი ფრიად წარმომადგენლობითი აღმოჩნდა - მხოლოდ გუშინ 124 სპორტსმენი გამოვიდა. სხვათა შორის, ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრებაა ნაკრების ახალი სამწვრთნელო შტაბის - **გიორგი გოგშელიძის, ოთარ თუშიშვილისა** და **დავით ოთიაშვილისთვის.**

ახალი ხელმძღვანელობის მოსვლას თაობათა ცვლის პროცესიც დაერთო. ამიტომ დიღომში ელოდნენ ბევრი ახალი სახის გამოჩენას და მოლოდინიც გამართლდა - თითქმის ყველა წონაში სრულიად უცნობები გამოჩნდნენ, თუ არ ჩავთვლით ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსულ ფალავნებს - **გიორგი პასიკაშვილს** (50), **ტარზან მაისურაძეს** (74), **შოთა ფარტენაძეს** და **რაუფ შაკულ-ოღლის** (ორივე - 60). ამათგან პირველი სამი ფინალში გავიდა, რაც ადასტურებს, რომ მშვენივრად იასპარეზეს, თუმცა ოქროს მოპოვება მხოლოდ ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ფარტენაძემ შეძლო. თუმცა ეს გასაგებიცაა - ახალ ასაკში დამკვიდრებას ადაპტაციაც სჭირდება, ფარტენაძე კი იმათზე ერთი წლით ადრე გადმოვიდა ახალგაზრდებში.

ახალი სახეები მართლაც ბლომად გამოჩნდნენ და რაც მთავარია, საკმაოდ მაღალ დონეზეც წარმოაჩინეს თავი. ცხადია, მათ ჯერ აკლიათ საერთაშორისო შეჯიბრებების გამოცდილება, თორემ გუშინდელმა დღემ ნამდვილად ჩაგვისახა იმის იმედი, რომ ნიჭიერი თაობა კვლავაც მოდის და უცხოეთში თავს არც ეს ახალი ნაკრები შეირცხვენს. **ნიკა ტატუაშვილი** (50), **ლაშა გიგაშვილი** (74), **ირაკლი გოგობერიშვილი, გიორგი შამათავა** (ორივე - 60) - კარგი, ყურადღებამისაქცევი და აღსანიშნავი ფალავნები სხვებიც ბლომად იყვნენ (თუნდაც იგივე შაკულ-ოღლი, რომელიც ტრადიციულად, კარგად გაისარჯა), მაგრამ ამ ოთხეულს განსაკუთრებით გამოვარჩევთ. ცალკე საუბრის თემაა 96 კილოგრამი, სადაც ჭაბუკთა ნაკრების დონეზეც კი მთლიანად უცნობი მოჭიდავეები გამოვიდნენ წინა პლანზე. ერთ-ერთი მათგანი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის - **ლუკა კურტანიძის** შვილი **ნოდარ კურტანიძეა**, რომელიც მამის წონაში ცდილობს დამკვიდრებას, თუმცა მისგან განსხვავებით, ამჯერად მესამეზე დარჩა.

ოჯახური ტრადიციები ვახსენეთ და ნიკა ტატუაშვილს მამა - მსაჯი და მწვრთნელი **ზურაბ ტატუაშვილი** ავარჯიშებს. ამ წონის ფინალი ნიკასა და პასიკაშვილს შორის ერთ-ერთი გამორჩეულად დაძაბული და საინტერესო იყო. ორივე მოჭიდავე ძალიან სწრაფია, ფრიად ტექნიკური და სხარტიც, რამაც ლამაზი სანახაობა განაპირობა. პირველი პერიოდი პასიკაშვილის უპირატესობით წარიმართა, რომელმაც სწრაფად მოახერხა მეტოქის ჩოქბჯენში ჩაყვანა, რასაც დატრიალებაც მიაყოლა - 3:0 მის სასარგებლოდ. ტატუაშვილი დანებებას სულაც არ აპირებდა და დაბალი ნახტომით ფეხში შესვლა დაუპირა, მაგრამ პასიკაშვილიც მომზადებული დაუხვდა და კიდევ ერთხელ ჩაიყვანა ლეიბზე, რასაც მალე მორიგი ქულა მიაყოლა - 5:0. ამ დროს პერიოდის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და იქნებ მისი მხრიდან ტაქტიკურ დათმობადაც ჩანდა ერთი ქულის დაკარგვა, მაგრამ იმ ეპიზოდში ნურც ტატუაშვილს დავუკარგავთ ბრძოლის წყურვილს და შემართებას, რომლის ძალითაც წარმატებით შევიდა ფეხში - 1:5.

მეორე პერიოდში ტატუაშვილს გამარჯვებაში ეშმაკური ფანდი წაეხმარა - მეტოქე ცრუმანევრით მოძრაობაზე დაიჭირა და დაბლა ჩაიყვანა, მაგრამ იერიში არ შეწყვიტა და იქვე ორქულიანი ტრიალიც მიაყოლა. დამატებით დროშიც ლამის ანალოგიური კომბინაციით 3:0 იმარჯვა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

დაძაბული გამოდგა 74-ის ფინალიც მაისურაძესა და გიგაშვილს შორის. გიგაშვილმა კარგი შეხვედრები კი მოიგო, მათ შორის - გოგობერიშვილთანაც, რომელმაც მართლაც ძლიერად იჭიდავა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრის ფავორიტად მაინც მაისურაძე მიიჩნეოდა. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი ხომ უფრო გამოცდილია, თუმცა გიგაშვილმა ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენა და მეტოქე ყველა ასპექტში დაჩაგრა. ჯერ იყო და თავიდან მაისურაძე კი ეკვეთა და ფეხის ჩახვევით სცადა მისი გადაგდება, მაგრამ მეტოქემ უფრო მეტად ჩაუხლართა ფეხი, ორმხრივ ჯაჯგურში დაუძვრა კიდეც და იქით დაატრიალა. მალე ამას კიდევ ერთი ქულა მიაყოლა ჩოქბჯენში ჩაყვანით, ხოლო მეორე პერიოდში წილისყრის შემდეგ ფეხიდან აყვანილიც გაექცა და წრიდან გაყვანით მომგებიანი ქულა მიიღო.

60 კილოგრამის ფინალში ფარტენაძე მთელი თავით აღემატებოდა **მიხეილ მამუკაშვილს** და, შეიძლება ითქვას, იოლად მოუგო. ჩემპიონი ფიზიკურადაც ჯობდა მეტოქეს და მეორე პერიოდში ამ კომპონენტის გამოყენებით ჯერ ქულის მოპოვება მოახერხა, მერე კი ბეჭებზეც დააწვინა.

96 კილოგრამი ქუთაისელთა შინაურ ასპარეზად იქცა - ფინალში რიონისპირელები გავიდნენ. პაექრობა **გიორგი კაკაურიძის** უპირატესობით დაიწყო - პირველი პერიოდის უქულოდ დამთავრების შემდეგ მისი ფერის ბურთულა **როლანდ ანდრიაძემ** ამოიღო, რაც გამოიყენა და წრიდან გაყვანით ერთი ქულაც მოიპოვა. მეორე პერიოდშიც ილეთი მან დაიწყო და უნდა შეჰკვროდა, მაგრამ ანდრიაძე დაუსხლტა და წრიდან გაიყვანა, რასაც მალე სამქულიანიც მიაყოლა და ამ პერიოდში 4:0 იმარჯვა. კაკაურიძეს კიდევ ერთხელ მიეცა გამარჯვების შანსი, როცა დამატებით დროში 1:0 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა - შეხვედრის მიწურულს მეტოქემ ფიზიკური ძალით აჯობა და წრიდან გაიყვანა, რაც ბოლო ქულის წესით მის გამარჯვებას ნიშნავდა.

ამ წონაში კარგად იჭიდავა მესამეზე გასულმა **გიორგი ნაცვლიშვილმაც**, რომელმაც განსაკუთრებით ბრინჯაოსთვის შეხვედრაში დაგვამახსოვრა თავი **გიორგი მსახურაძესთან**. დამატებით დროში ნაცვლიშვილი აგებდა, მაგრამ მშვენიერი სარმით უზადო 3-ქულიანი გდება შეასრულა, თუმცა, რატომღაც ეს გდება მეტოქის ბანაკმა გააპროტესტა, მაგრამ უშედეგოდ. ბრინჯაოს მედალოსანთა შეხვედრაში უკვე თავად ნაცვლიშვილი დამარცხდა კურტანიძესთან, რომელმაც ძალისმიერი და დაკვირვებული ჭიდაობით იოლად იმარჯვა.

დღეს ტურნირში დარჩენილი ოთხი წონის ფალავნები გამოვლენ და ახალი მედალოსნები გამოვლინდებიან.



### კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. ნიკა ტატუაშვილი; 2. გიორგი პასიკაშვილი (ორივე - თბილისი); 3. კახა ირემაძე, გიორგი ფარტენაძე (ორივე - აჭარა).

**60 კგ.** 1. შოთა ფარტენაძე (აჭარა); 2. მიხეილ მამუკაშვილი (საგარეჯო); 3. რაუფ შაკულ-ოღლი (ქარელი), გიორგი შამათავა (ფოთი).

**74 კგ.** 1. ლაშა გიგაშვილი; 2. ტარზან მაისურაძე (ორივე - თბილისი); 3. ირაკლი გოგობერიშვილი (ამბროლაური), გიორგი ქვათაძე (საჩხერე).

**96 კგ.** 1. როლანდ ანდრიაძე; 2. გიორგი კაკაურიძე (ორივე - ქუთაისი); 3. ნოდარ კურტანიძე, გიორგი ნაცვლიშვილი (ორივე - თბილისი).

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

# მარცხიანი დასაწყისი

თეირანში გუშინ დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც წარუმატებლად გამოდის შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე ჩვენი ნაკრები - მათ 2:5 წააგეს აშშ-თან, 0:7 - ირანთან და მხოლოდ ბულგარეთს სძლიეს - 6:1.

ამერიკელებთან ჩვენგან **მალხაზ ქურდიანმა** (60) და **თედორე ებანოიძემ** (96) გაიმარჯვეს - პირველმა ოლიმპიურ პრიზიორ **ლუის სკოტ კოლემანს** აჯობა, მეორემ - **ჯეიმს ბერგმანს. გივი დავიდოვი** (55) **ობენსონ ბლანკთან** დამარცხდა, **მალხაზ ზარქუა** (66) - **ბრენტ მეტკალფთან, იაკობ მაქარაშვილი** (74) - ოლიმპიურ ჩემპიონ **ჯეიმზ ბაროუზთან,** ვინც წინასწარი განცხადებების მიუხედავად, მაინც დააყენეს ნაკრებში. **ნოდარ ეგაძემ** (84) **მაქსველ ასკრენთან** წააგო, **თორნიკე ხიდეშელმა** (120) - **ტერველ დლაგნევთან.**

მეორე შეხვედრაში ქართული შვიდეული სულაც მშრალი ანგარიშით დამარცხდა აშკარად მოგებაზე დაგეშილ ირანთან, რომელმაც ჯგუფში უკვე ყველა შეხვედრა მოიგო და დღეს ფინალში ასევე მასავით უდანაკარგოდ მოასპარეზე რუსეთს შეხვდება. ამ შეხვედრაში ჩვენმა მწვრთნელმა **ალექსანდრე კახნიაშვილმა** ცვლილებაც განახორციელა - ებანოიძის მაგივრად **ბექა ჭელიძე** აჭიდავა, თუმცა ამან ვერაფერში არგო. ამის გამო იყო თუ სხვა რამ მიზეზით, ბულგარეთთან შემადგენლობაში ისევ ებანოიძე დააბრუნა.

ბულგარელებთან ჩვენგან მხოლოდ ქურდიანი დამარცხდა, დანარჩენებმა კი იმარჯვეს მათსავით სათადარიგოებთან. ჩვენი არ იყოს, თეირანში უძლიერესი შემადგენლობით არც ისინი ჩასულან. უძლიერესი კი არა, 84-ში მონაწილეც არ ჰყავთ და ტურნირში კაცნაკლულნი გამოდიან.

ჯგუფებში ბოლო - V წრის შეხვედრები დღეს გაიმართება. ჩვენები იაპონელებს ხვდებიან, რომლებსაც ასევე ერთი მოგება აქვთ. თუ აშშ ბულგარეთთან დამარცხდება (რაც თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ძნელი წარმოსადგენია), ხოლო ჩვენები გაიმარჯვებენ, მაშინ ამერიკელებს მოგებებით დაეწევიან. როგორც გითხარით, უკვე გაირკვა ფინალური წყვილი, დანარჩენები კი დღეს გამოვლინდებიან. ტურნირზე უკვე გაიმართა უდაოდ უპრინციპულესი ორთაბრძოლა - ირანმა აშშ-ს 6:1 სძლია. ამ პაექრობაში ამერიკელთაგან ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯორდან ბაროუზმა კი იჭიდავა, მაგრამ ირანელებმა ლონდონურ ფინალში მისი მეტოქე - **საიდ სადეგ გოუდარზი** აღარ დააყენეს და მის ნაცვლად **აბას ეზატოლა აკბარიზარინკოლაეი** აჭიდავეს, მაგრამ ამერიკელმა იმასთანაც უპრობლემოდ იმარჯვა.

თავად ტურნირი საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობს - მოჭიდავეებმა სოკ-ის მისამართით პლაკატი გამოფინეს, რომლითაც შეახსენებენ მას, რომ ჭიდაობის გარეშე არც ერთი ოლიმპიადა არ ჩატარებულა. ამით ისინი სოკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც ჭიდაობა, შესაძლოა, 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამიდან ამოიღონ.

**ირაკლი თავაძე**



მსოფლიოს თასის მონაწილეები სოკ-ის განზრახვას აპროტესტებენ

სამთო თხილამურობა



# ჩვენ და მსოფლიო

ავსტრიის საკურორტო ქალაქ შლადმინგში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე სამთო-სათხილამურო სპორტში საქართველოს ნაკრების ხუთი წევრი მონაწილეობდა - **ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ჯაბა გელაშვილი, სოსო ჯაფარიძე** და **ალექსი ბენიაიძე.**

13-17 თებერვალს გამართულ ჩემპიონატში, ქართველ მოთხილამურეთა შორის საუკეთესო შედეგი ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების მონაწილე - **იასონ აბრამაშვილმა** აჩვენა, რომელმაც სლალომში 32-ე ადგილის დაკავება შეძლო და მცირედი დააკლდა საუკეთესო 30-ეულში მოსახვედრად.

ქართველთაგან ჩემპიონატში პირველი ნინო წიკლაური ჩაერთო, რომელმაც ქალთა სლალომში ჯამში 62-ე ადგილი დაიკავა, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა სლალომში მოახერხა ჯაბა გელაშვილმაც.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას ქართული საღამო მოეწყო. შლადმინგში ქართულ კუთხეს მსოფლიოს სხვადასხვა სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელები და მოთხილამურეები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, იტალიელი **ალბერტო ტომბა**, ავსტრიისა და ამერიკის სათხილამურო ფედერაციების პირველი პირები. ვახშამზე საქმიანი საუბრებიც გაიმართა, დაიგეგმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

შეხვედრებიდან გამომდინარე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა - **ლევან ყიფიანმა**, გამოთქვა იმედი, რომ სამომავლოდ სამთო-სათხილამურო სპორტში სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან ერთად დაიგეგმება მწვრთნელების გადამზადება, მოეწყობა ერთობლივი შეკრებები და თბილისი საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლებს.

ლევან ყიფიანთან ერთად, საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას მსოფლიო ჩემპიონატზე სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი - **გიორგი რამიშვილი** და ფედერაციის გენერალური მდივანი - **გიორგი ცაგარელი** წარმოადგენდნენ.

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**

ზამთრის ფესტივალი

# უსიამოვნო ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვიეს

1997 წელს სუნდსვალში (შვედეთი) ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე **ვახტანგ მურვანიძემ** ფიგურულ ციგურაობაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, მსგავს შეჯიბრებებში ჩვენებურთაგან მედალი სხვა არავის მოუპოვებია. ეს უსიამოვნო ტრადიცია, ეტყობა, არც ბრაშოვში (რუმინეთი) მე-11 ფესტივალზე დაირღვევა. ფიგურულად მოციგურავე **არმენ აგაიანმა** თანატოლთა შორის რამდენიმე ტურნირში წარმატებით იასპარეზა, აი, ბრაშოვში კი მოკლე პროგრამით მხოლოდ 39,97 ქულა დაიმსახურა და დღეს თავისუფალი პროგრამით ასპარეზობის წინ მე-13 ადგილზეა. პირველ-მესამე ადგილებს კი ადიან პიტკეევი (რუსეთი, 58,61), იაროსლავ პანიოტი (უკრაინა, 57,10) და გრეჰამ ნიუბერი (დიდი ბრიტანეთი, 48,90) იყოფენ.

პარალელურ გიგანტურ სლალომში ცდიდა ძალებს სნოუბორდისტი **გიორგი წამალაიძე,** რომელიც 37-ე ადგილით დაკმაყოფილდა. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1. ვლადისლავ შკურიხინი (რუსეთი), 2. ოსკარ კვიატოვსკი (პოლონეთი), 3. ჯურ რეტუჟიკი (სლოვენია).

სლალომში ოთხი ქართველი სამთო მოთხილამურე გამოდიოდა. სამწუხაროდ, ვერც ისინი მიუახლოვდნენ ათეულს. სხვებზე უკეთ ჩვენი დელეგაციის მედროშე **ნიკოლოზ კოზანაშვილი** გამოვიდა - 1.41,37-ით მე-20 ადგილი დაიკავა. 22. **შოთა ნათაძე** (1.42,59), 23. **სანდრო ოგბაიძე** (1.42,67), ხოლო **სოსო ჯაფარიძემ** დისტანცია ვერ ჩაამთავრა. კვარცხლბეკზე ავიდნენ სლოვენიელები - შტეფან ჰადალინი (1.31,69), ალიაზ დვორნიკი (1.32,23) და ფრანგი ელი გატიე (1.32,80).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# მეტოქეებს ნახევარი ქულით უსწრებს



დავით ჯოჯუა

როშფორში (საფრანგეთი) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. მე-7 ტურში **დავით ჯოჯუამ** ერთპიროვნულად დაწინაურებულ კარენ გრიგორიანს სძლია და 5,5 ქულით ლიდერს გაუთანაბრდა. დაზავდნენ სამველ ტერ-საჰაკიანი - ანდრეი ისტრატესკუ, ალექსეი ბარსოვი - ვლად-კრისტიან იანუ, დანიელ პულვეტი - ადრიან დემუტი, **თორნიკე სანიკიძე** - ნად-ტიტუს პეტრე. დრაგან ბარლოვმა ალექსანდრუ მანეას, ხოლო კორე აკშაირაჯმა ჩი-მინ ნგუენს აჯობა.

შვიდი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით გათამაშების ცხრილს დავით ჯოჯუა და კარენ გრიგორიანი ედგნენ სათავეში. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 6 მოჭადრაკე ჩამორჩებოდა. გუშინ მეწინავეთა პარტიები ასე დამთავრდა: ანდრეი ისტრატესკუ - დავით ჯოჯუა 0:1, კარენ გრიგორიანი - კორე აკშაირაჯი 0.5:0.5, ქუენთინ ლოსიე - სამველ ტერ-საჰაკიანი 0:1, ვლად-კრისტიან იანუ - დრაგან ბარლოვი 1:0. გაიმარჯვა თორნიკე სანიკიძემაც - შავი ფიგურებით დანიელ პულვეტს სძლია და 5 ქულა მოაგროვა.

ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით ჯოჯუა დაწინაურდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტერ-საჰაკიანი, გრიგორიანი და იანუ, აკშაირაჯსა და ნიკოლაი ნინოვს 5.5-5.5 ქულა აქვთ. საპრიზო ადგილების ბედი დღეს სწორედ ამ პარტიებში გადაწყდება: ჯოჯუა-ტერ-საჰაკიანი, იანუ-გრიგორიანი, აკშაირაჯი-ნინოვი.

**ვაჟა დანელია**

# პირველი მარცხი

ისლანდიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. **სოფიკო გურამიშვილი** შავი ფიგურებით ალექსანდრ იპატოვს (თურქეთი) დაუპირისპირდა. შუა თამაშში მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და პირველი მარცხი იწვნია. მეწინავეთა დუელი კი ასე დამთავრდა: ბართოშ სოჩკო (პოლონეთი) - ანიშ გირი (ჰოლანდია) 0.5:0.5, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) - ერვინ ლამი (ჰოლანდია) 1:0, ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) - ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა) 0.5:0.5, იუ იანი (ჩინეთი) - იური შულმანი (აშშ) 1:0, სტეინ გრეტარსონი (ისლანდია) - უესლი სოუ (ფილიპინები) 0.5:0.5, პაველ ელიანოვი (უკრაინა) - ალოიზას კვეინისი (ლიტვა) 1:0, გჟეგორჟ გაიევსკი (პოლონეთი) - ანდრეუ მური (შოტლანდია) 1:0, იუ ვეი (ჩინეთი) - დინ ლიჟენი (ჩინეთი) 0.5:0.5.

ამდენად, ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ვაშიე-ლაგრავი, იუ იანი, ელიანოვი და გაიევსკი დაწინაურდნენ.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი





# ლიდერი ისევ დამარცხდა

გუშინ 1996-1997 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობაზე A ჯგუფში მეორე ტურის ორი მატჩი გაიმართა: დასავლეთის ნაკრებმა ჯგუფის ლიდერ აღმოსავლეთის ნაკრებს ოთხი ბურთის სხვაობით (29:25) მოუგო, ხოლო „რუსთავმა" გორის „კულას" 36:26 სძლია.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებს გამოეთიშა



სოფიო შაფათავა

ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მონაწილეობს. გუშინ წყვილთა პაექრობაში რუს მაია მელნიკოვასთან შეამხანაგებული (ისინი ტურნირზე მესამე ნომრად იყვნენ განთესილი) მაია კაციტაძისა (რუსეთი) და დარია ლებეშევას (ბელარუსი) დუეტთან სამ სეტში დამარცხდა - 6:4, 3:6, 6:10.

ერთეულთა თანრიგში, როგორც გაუწყეთ, შაფათავა მე-8 ნომერია. სტარტზე ჩვენებურმა კსენია გაიდარჟის (რუსეთი) აჯობა - 6:4, 6:2, მეორე წრეში ანა კოვალს (რუსეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# მხოლოდ ერთი ვაკანტური ადგილი

დასასრულს უახლოვდება წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი, რომელმაც მერვედფინალის მონაწილეები უნდა გამოავლინოს. თუმცა 15 გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია, მეთექვსმეტეს შესარჩევის ბოლო ტური გამოავლენს **C ჯგუფში.** ჩვენთვის გულდასაწყვეტი ის არის, რომ პლეი ოფში არ იქნება საქართველოს სამგზის ჩემპიონი "ლიგამუსი-თბილისი", არადა, დიდი შანსი ჰქონდა, მომდევნო რაუნდში გასულიყო, რადგან ჰოლანდიის "შუურმანი" და გერმანიის "ვასპო-98" ის გუნდები არ არის, რომელთა თუნდაც შინ დამარცხება შეუძლებელი ყოფილიყო. საქართველოს ჩემპიონი მეტოქეებთან პაექრობებში მხოლოდ ქულას დასჯერდა, რამაც გათამაშების ცხრილის ფსკერს ვერ ააცილა. მართალია, ჩვენი წყალბურთელები 27 თებერვალს ბოლო მატჩს უნგრეთის "ეგერთან" თბილისში გამართავენ, მაგრამ თუნდაც გამარჯვება, რაზეც ამ ეტაპზე მხოლოდ ოცნება შეიძლება, ჩვენს გაჭირვებას ვერ უშველის.

**A ჯგუფში** 27 თებერვალს ასევე ითამაშებენ: "სპარტაკი" (ვოლგოგრადი)-"ვულიაგმენი" (საბერძნეთი), "ვასპო-98" (გერმანია)-შუურმანი" (ჰოლანდია). ბოლო ტურის მიუხედავად, მერვედფინალისტები ცნობილია. **"ვულიაგმენი"**-24 (121:46), **"ეგერი"**-21 (119:60), **"სპარტაკი"**-21 (95:58), **"შუურმანი"**-9 (58:105), "ვასპო-98"-4 (41:102), "ლიგამუსი"-1 (54:121).

**B ჯგუფშიც** ოთხივე მერვედფინალისტის ვინაობა გარკვეულია. შვეიცარიის "კრეიცლინგენი", შესარჩევ ტურნირს, ალბათ, უქულოდ და ბოლო ადგილზე დაასრულებს.

"დუბროვნიკი" (ხორვატია)-21 (119:35), "ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი)-15 (101:63), "ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი)-12 (72:56), "მონპელიე" (საფრანგეთი)-6 (65:100), "კრეიცლინგენი" (შვეიცარია)-0 (50:153).

27 თებერვალს ითამაშებენ: "დუბროვნიკი"-"ცრვენა ზვეზდა", "კრეიცლინგენი"-"ოლიმპიაკოსი".

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ **C ჯგუფშია** ერთი ადგილი ვაკანტური. აქ უპირობო ლიდერია ესპანეთის "ბარსელონეტა", რომელსაც 18 ქულა (67:43) აქვს. პირველადგილოსანს რვა ქულით ჩამორჩება მე-2 ადგილზე მყოფი ყაზანის "სინთეზი" (67:63). 9-9 ქულა მოაგროვეს იტალიის "ბრეშამ" (63:64) და საფრანგეთის "მარსელმა" (72:84). 7 ქულით ბოლო ადგილზეა ნოვი სადის "ვოივოდინა (51:60), მაგრამ 27 თებერვალს სერბები შინ ეთამაშებიან "ბრეშას". მოგების შემთხვევაში "ვოივოდინა" მერვედფინალში გავა, შეჯიბრებას კი "მარსელი" დაემშვიდობება, რადგან იტალიელებთან უარყოფითი ბალანსი აქვს. ნოვი სადში მატჩი ფრედ თუ დამთავრდება, ფლეი ოფში ფრანგები გავლენ.

**D ჯგუფში** ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: "ბეტონი" (უნგრეთი)-18 (70:49), "პარტიზანი" (ბელგრადი)-16 (59:42), "გალათასარაი" (თურქეთი)-10 (52:53), "ორადეა" (რუმინეთი)-6 (69:85), "შპანდაუ-04" (გერმანია)-3 (53:74). ბოლო ტურში აუტსაიდერი გერმანელები ლიდერებს გაუწევენ მეტოქეობას, თუმცა გამარჯვებაც ვერ აძლევთ ხელს, რადგან რუმინელებთან ორრაუნდიან პაექრობაში ბურთების უარყოფითი ბალანსი აქვთ. 27 თებერვალს ამ ჯგუფში "გალათასარაი" "პარტიზანს" უმასპინძლებს.



**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ქართველები NBA-ში



მარცხნიდან: ჯეიმსი, სმიტი, ფაჩულია და ჰორფორდი

# რა დაავალა მწვრთნელმა ზაზას მაიამისთან შეხვედრისას?

## ფაჩულია ხუთეულს დაუბრუნდა

„ოლსტარის" გამო NBA-ის გუნდებმა ერთი კვირა დაისვენეს. **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსმა" თამაშები 19 თებერვალს განაახლა და „მილუოკის" შინ ოვერტაიმში 113:111 სძლია. ამავე გუნდების შეხვედრა, ოღონდ მილუოკში მეორე დღეს შედგა და ამჯერადაც გამარჯვება ბრუკლინელებს დარჩათ - 97:94. შენგელია „ნეთსის" თავკაცმა **პი ჯეი კარლესმომ** ზემოთ ნახსენებ შეხვედრებში განაცხადში არ შეიყვანა.

20 თებერვალს დაასრულა დასვენება **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ", რომელსაც „მაიამის" სახით სერიოზული მეტოქე ერგო. ჯეიმსი-უეიდის გუნდი აღმოსავლეთის კონფერენციის ლიდერია და ეს სტატუსი ატლანტაში უნდა გაემართლებინა.

ჯორჯიელთა დამრიგებელმა **ლარი დრიუმ** სასტარტო ხუთეულში **კაილ კორვერის** ნაცვლად ზაზა ფაჩულია გაამწესა. როგორც შემდეგ მწვრთნელმა ახსნა, ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ლებრონ ჯეიმსისთვის სივრცე შეეზღუდა: **კრის ბოში ელ ჰორფორდს** უნდა ჩაებარებინა, **ლებრონ ჯეიმსი - ჯოშ სმიტს,** ხოლო ფაჩულიას დაცვაში ყოველგვარი სივრცე უნდა შეევსო.

ქართველი ცენტრი თამაშში აქტიურად ჩაერთო და ექვს წუთში 2 ქულასთან ერთად 4 მოხსნა ჩაიწერა. „ჰოქსის" კალათბურთელებმა „მწვერვალს" მესამე პერიოდში მიაღწიეს, რომლის საწყის 9 წუთში ზაზა მოედანზე იყო და როცა მწვრთნელმა შეცვალა მისი გუნდი 67:59-ს იგებდა, მეოთხე პერიოდს კი ათქულიანი უპირატესობით შეხვდა.

„მწვერვალზე" ასულ ატლანტას ფეხი მეოთხე პერიოდში დაუცდა და საოცარი სისწრაფით ქვემოთ დაეშვა - „მაიამიმ" 13:0 მოიგო და სამი ქულით დაწინაურდა (76:73). „ქორებმა" ფლორიდელების შეჩერება ველარ შეძლეს და 103:90 დამარცხდნენ.

ჯორჯიელთაგან ყველაზე მეტი, 27 ქულა ელ ჰორფორდმა ჩააგდო, ხოლო მაიამელთაგან ორმაგი დუბლით ლებრონ ჯეიმსი გამოირჩა - 24 ქულა, 11 მოხსნა.

„ატლანტა ჰოქსს" 29 გამარჯვება აქვს (23 მარცხი) და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა. მას ოთხი მოგებით გაასწრო და მეხუთე პოზიციაზეა „ბრუკლინ ნეთსი". „მაიამის" 37 მატჩი აქვს მოგებული. შეგახსენებთ, რომ რეგულარული ეტაპი აპრილში დასრულდება და პლეი ოფში კონფერენციების რვა-რვა საუკეთესო გუნდი გავა.

**ატლანტა-მაიამი 90:103**

**ზაზა ფაჩულია:** 25 წუთი, 4 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 1 ფოლი.

| I პერიოდი | | |
|---|---|---|
| 10:41 | 3-4 | ფოლი: 1 |
| 10:14 | 4-4 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:03 | 6-6 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 9:03 | 6-8 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ) |
| 8:38 | 6-8 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:27 | 6-8 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 8:25 | 6-8 | შეცდომა: 1 |
| 8:18 | 6-8 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 7:41 | 6-8 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 6:18 | 10-8 | კორვერმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 6:41 | 32-29 | ჯონსონი შეცვალა |
| 5:22 | 38-31 | ორქულიანი: 4ქ |
| 0:04 | 43-48 | ტოლივერმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 9:48 | 47-50 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 9:41 | 47-52 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ) |
| 5:24 | 56-59 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 3:06 | 59-67 | ჯონსონმა შეცვალა |
| 0:18 | 63-72 | სმიტი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:33 | 74-73 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 8:49 | 76-73 | ჩაჭრა: 1 (ჯეიმსს აართვა) |
| 8:49 | 76-73 | ჰარისმა შეცვალა |

**მილუოკი-ბრუკლინი 94:97**

*თორნიკე შენგელიას არ უთამაშია*

**ვაჟა სიმონიშვილი**





ევროლიგა

| მაქაბი (ისრაელი)-მონტეპასკი (იტალია) | 92:61 |
|---|---|

ვიქტორ სანიკიძე (მონტეპასკი): 16 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა.

ინტერვიუ დევიდ ობრაიანთან

# სწორი მიდგომით მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია

**საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელი ლაშა ხურციძე ერთი თვის წინათ დუბლინში IRB-ის შტაბბინას სტუმრობდნენ. ამასთან ერთად ჩვენი რაგბის ხელმძღვანელები ირლანდიის რაგბის კავშირსაც ეწვივნენ და ქართული რაგბის ერთ-ერთ საჭირბოროტო პრობლემაზე, მსაჯობის თემაზე ისაუბრეს. გადაწყდა, შეიქმნას სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც დახმარებას სწორედ ირლანდიის რაგბის კავშირი გაგვიწევს. ამ პროგრამის შექმნისა და მისი განხორციელებისთვის საფუძვლის შესამზადებლად თბილისში ირლანდიის რაგბის კავშირის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე დევიდ ობრაიანი გვეწვია, რომელსაც მიმდინარე და მომავლის გეგმებზე ვესაუბრეთ.**


დევიდ ობრაიანი

- ამჟამად მიმდინარეობს მსაჯთა განვითარების პროგრამის შემუშავება. ეს ოთხ-ხუთ დღეში არ მოხერხდება. ამას ცოტა ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება. გვინდა, ამ ახალი პროგრამით ორი-სამი სეზონის განმავლობაში ვიმუშაოთ და ნახავთ, რომ ოთხ-ხუთ წელიწადში ქართველი მსაჯები სულ სხვა დონეზე იქნებიან.

ამჟამად სემინარებს ვატარებთ, ვხედავ, რომ არის დეტალები რომლებიც განვითარებულია, მაგრამ ამასთან ერთად, არსებობს რიგი გარემოებები, რაც მეტ მუშაობას, დახვეწას მოითხოვს.

**- თქვენ გარკვეული წარმოდგენა ქართველი მსაჯების კვალიფიკაციაზე უკვე გექნებათ. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, რათა ვითარება გამოსწორდეს?**

- რა თქმა უნდა, ინფორმაცია ქართველი მსაჯების შესახებ მაქვს. ვხედავ ძალიან ბევრ დადებითს, მაგრამ მთავარია, თუ რას ფიქრობენ მსაჯების მუშაობაზე მორაგბეები, კლუბების ხელმძღვანელები და რას ფიქრობენ თუნდაც თავად მსაჯები ერთმანეთზე. როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი დამოკიდებულებაა, რომ მსაჯობა არავის უნდა. ეს ის ცუდი სიმპტომია, რომელიც აქამდე ვითარდებოდა. ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, ერთ ღამეში არ შეიცვლება. მაგრამ სწორი და ახლებური მიდგომით, მდგომარეობის შეცვლა სავსებით შესაძლებელია.

კლუბებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში თვითონაც უნდა შეიტანონ წვლილი. თვითონ კლუბებმა უნდა შეცვალონ მსაჯების მიმართ დამოკიდებულება, ის კი არა და თვითონ უნდა მოგვაწოდონ კადრები ალსაზრდელად. მათ უნდა გაითავისონ, რომ მაღალი დონის მსაჯობა და რაგბის განვითარება ქვეყანაში მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. კარგი მსაჯობის პირობებში, ბევრად მეტი კარგი მორაგბე გაიზრდება.

შეიძლება თქვან, რომ კარგი მსაჯობა ორი ან სამი პროცენტით ზრდის უკეთეს მოთამაშეებს, მაგრამ თუ გავიხსენებთ 2007 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებების თამაშს, თქვენს გუნდს მოსაგებად სწორედ ეს ორი-სამი პროცენტი დააკლდა. ასე რომ, ყველა ნიუანსს რაგბიში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- ცნობილია, რომ ახალგაზრდა მოთამაშეების პროგრესისთვის საჭიროა რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო მატჩებში მიიღონ მონაწილეობა. იგივე ხომ შეიძლება ითქვას მსაჯებზეც. ახლახან ქართველ მსაჯთა ბრიგადამ ერთა თასის გათამაშების მატჩი განსაჯა საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის. ვფიქრობთ, ამ მსაჯებს თუნდაც ექვსი ერის თამაშების გაძღოლაც შეუძლიათ...**

- დიახ, გეთანხმებით მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი მოვალეობას. გიორგი ამირხანაშვილი მართლაც მაღალი დონის მსაჯია. მან რამდენიმე დღის წინათ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების შეხვედრაც განსაჯა ლონდონის „ვოსფსის“ გუნდთან და იქაც ბრწყინვალედ გაისარჯა. მას მსაჯობის თავისებური ხედვა აქვს, რადგან პარალელურად მწვრთნელიც არის და ეს ხელს უდავოდ უწყობს.

ცხადია, კარგი იქნებოდა წვრთნის მიზნით მათი საერთაშორისო თამაშებით დატვირთვა, მაგრამ ისე გამოვა, რომ მხოლოდ ორი-სამი მსაჯისთვის ვზრუნავთ. არადა ჩვენი მიზანია, შევქმნათ სისტემა, რომელიც ბევრ კარგ მსაჯს გაზრდის. ამჟამად სწორედ იმის გარკვევას ვცდილობთ, რომელი სისტემა იქნება უკეთესი. ის აუცილებლად უნდა იყოს ისეთი, რომელიც ქართულ რეალობას კარგად მოერგება.

**- საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ახსენეთ და არ შემიძლია არ გკითხოთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე ჩვენმა ახალგაზრდა მორაგბეებმა?**

- საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მათი კარგი თამაშით გაოცებული ვიყავი. ვიცი, რომ ქართული რაგბი პროგრესირებს და ჩემთვის მათი გარჯა მოულოდნელი არ იყო. მინდა ხაზგასმით ალვნიშნო, რა კარგად ცვლიდნენ ჭაბუკი ქართველი მორაგბეები თამაშის სტილს. როცა სჭირდებოდათ მორკინალებით უტევდნენ, როცა უკანა ხაზის ამოქმედება იყო საჭირო, ამას უმალვე ახერხებდნენ.

ყველაზე თვალში საცემი კი ქართველი მორაგბეების თავდაჯერებულობა იყო. მომეწონა უკანა ხაზის ხელდახელ ბურთაობა და 14-იარდიანი არეკნი.

მინდა, მატჩის არბიტრის კარგი ქმედებებიც გამოვყო. ის მოედანზე ფაქტობრივად არ ჩანდა. მსაჯის გადაწყვეტილებებს თამაში არ გაუფუჭებია. პირიქით, მსაჯმა ყველაფერი ისე გააკეთა, რომ ბურთაობა ლამაზი და ლაზათიანი გამოსულიყო.

**- ევროპის ერთა თასის გათამაშებაში 9 მარტს თბილისში ესპანეთის ნაკრებს ვმასპინძლობთ, რომელსაც ირლანდიელი მსაჯების ბრიგადა განსჯის სტიუარტ გაფკინის ხელმძღვანელობით...**

- ცხადია, გაფკინს კარგად ვიცნობ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მისი კვალიფიკაციის შესახებ საუბარზე თავს შევიკავებ. თავად სტიუარტს კი ვეტყვი, რომ თამაშის წინ გემრიელ ქართულ კერძებს ნუ მიირთმევს, თორემ მინდორზე ძალიან გაუჭირდება.

**- უკვე თქვით, რომ თბილისში, „შევარდენის სანაკრებო ბზაზე“, რომელიც იმავდროულად სარაგბო აკადემიაცაა, სემინარებს ატარებთ. გვიამბეთ ამის თაობაზე დეტალურად.**

- ორშაბათს სემინარი მსაჯთა მწვრთნელებს ჩავუტარე. ამ ადამიანებმა სამომავლოდ ქართველი მსაჯები უნდა ალზარდონ. უახლოეს სემინარს კი მსაჯებს ჩავუტარებ. საუბარი გვექნება სამ ძირითად ელემენტზე. ესენია მსაჯობა რაკის დროს, შერკინების დროს და თამაშის კონტროლი და კომუნიკაცია. თუ ამ კომპონენტებს მსაჯი კარგად აითვისებს, მერე სხვა დანარჩენის სწავლა პრობლრმური ალარ არის. აი, ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვართ და ძალიან მიხარია, რომ მსაჯობის მსურველთა შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა.


მსაჯი გიორგი ამირხანაშვილი

ერთა თასი


საქართველო-რუსეთი. 2012 წელი

# ბორჯღალოსანთა ძირითადში ერთი ცვლილებაა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს დილით ჩარტერული რეისით რუსეთის საკურორტო ქალაქ სოჭში გაემგზავრა. „ბორჯღალოსნები“ ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგ ტურში, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა, რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.**

ჩვენი ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა**, წინა ტურში პორტუგალიასთან მატჩში მოთამაშე ძირითად შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა. შერკინების კვაჭის პოზიციაზე **ირაკლი ნატრიაშვილი** (ბრივი) ითამაშებს. **შალვა მამუკაშვილმა** (არმია) კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ხუთი ცვლილებაა სათადარიგოთა შორის. პორტუგალიასთან შეხვედრაში განაცხადში არ იყვნენ **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი), **ლაშა ლომიძე** (მონპელიე), **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი) და **ბექა წიკლაური** (ლოკომოტივი). მათ, შესაბამისად, **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი), **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი), **ბექა ბიწაძე** (არმია) და **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) შეცვალეს.

საბრძოლო რაზმი გააცხადა რუსეთის ნაკრების უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმაც**. წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ საქართველოს ნაკრების წინაალმდეგ არ ითამაშებდნენ ძმები **გრიგორი** და **ვალერი ცნობილაძეები**, სამაგიეროდ, სათადარიგოთა შორის მოხვდა მოსკოვის „სპარტაკის“ მეორეხაზელი **ვასილ კვერნაძე**.

ძირითად შემადგენლობაში არიან ლეგიონერები, გარემარბი **ვასილი არტემევი** (ნორსჰემპთონი) და მეორეხაზელი **კირილ კულემინი** (ლონდონ ველში).

შეგახსენებთ, რომ მატჩი სოჭში, ხვალ თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

### რუსეთი-საქართველო

#### საქართველო

15. ლაშა ხმალაძე, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. შალვა მამუკაშვილი, 17. ვასილ კაკოვინი, 18. დავით ქუბრიაშვილი, 19. ლაშა ლომიძე, 20. ვიქტორ კოლელიშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. დავით კაჭარავა, 23. ბექა წიკლაური.

#### რუსეთი

15. იგორ კლუჩნიკოვი, 14. ვასილი არტემევი, 13. დიმიტრი გერასიმოვი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. მიხაილ ბაბაევი, 10. სერგეი იანუშკინი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. ალექსეი ვოლკოვი, 2. მაქსიმ ტიმოშუკი, 3. ანდრეი იგრეცოვი, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. კირილ კულემინი, 6. ანდრეი ტემნოვი, 7. პაველ ბუტენკო, 8. ვიქტორ გრესევი.

16. ანდრეი პოლივალოვი, 17. ევგენი პრონენკო, 18. ინოკენტი ზიკოვი, 19. პაველ კვერნაძე, 20. არტიომ ფატახოვი, 21. ალექსეი შერბანი, 22. სერგეი სუგრობოვი, 23. სერგეი ტრიშინი.

### ესპანეთი-რუმინეთი

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მესამე ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესპანეთისა და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირება ხიხონში. „ლომებს“, რომლებსაც სტარტზე თითო წაგება და ფრე აქვთ, აუცილებლად მოგება სჭირდებათ, რათა მსოფლიოს თასზე გასვლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი შეინარჩუნონ.

წინაალმდეგ შემთხვევაში, გათამაშების კალენდრიდან გამომდინარე, ისინი პირველივე წრის დასრულებისთანავე შეიძლება უშანსოდ დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ რუმინეთთან მატჩის შემდეგ, ესპანელები თბილისში გვეწვევიან. ბოლო ტურის მატჩს კი შინ გამართავენ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან, პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან.

ესპანელთა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ბრაის ბევინმა** „სტეუარისთან“ საასპარეზოდ გუდში დააბრუნა ცხრა ნომერი **პაბლო ფეიხოო**, რომელიც ამჯერად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. „ლომების“ რიგებში გამოჩნდა ახალი მორაგბე, ბასკური „ბიარიცის“ გარემარბი **ხულიო გოია**. საქართველოს ჩემპიონის „არმიას“ პირველხაზელი **დავით გურგენიძე** სათადარიგოთა შორისაა.

სამი ცვლილებაა რუმინელთა შემადგენლობაში. გუნდს დაუბრუნდნენ ძმები **პეტრე და ვალენტინ ურსაკეები**. ხიხონში არ ითამაშებს ყველაზე გამოცდილი მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა**, ის **დანიელ კარპომ** შეცვალა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +21 | 8 |
| 2. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +17 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -11 | 4 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 5. ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 6. პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -19 | 1 |

**III ტური. 23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიუსტონის დაუჯერებელი რევანში

რაჟონ რონდოს გარეშე ზედიზედ შვიდი მატჩის მოგების შემდეგ, "ბოსტონს" მოსალოდნელი ჩავარდნა დაეწყო. ახლა ამ გუნდს ბოლო ოთხ მატჩში სამი წაგება აქვს. "ლეიკერსი" კი პირველ მატჩს თამაშობდა თავისი მფლობელის **ჯერი ბასის** გარდაცვალების შემდეგ.

იმ თამაშით, რომელიც **დოკ რივერსის** შეგირდებმა აჩვენეს, მათ მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე ნახევარში სტუმრებმა მხოლოდ 44 ქულა დააგროვეს. განსაკუთრებით "გამოიჩინა" თავი **პოლ პირსმა**, რომელმაც დიდი შესვენებისთვის 23 ქულა დააგროვა, მეორე ნახევარში კი მხოლოდ... სამი. საფინალო სირენამდე რვა წუთით ადრე მატჩის ბედი გარკვეული იყო, რადგან სხვაობა 22 ქულას შეადგენდა. "ბოსტონმა" დიდი ყურადღება დაუთმო **კობი ბრაიანტის** ნეიტრალიზაციას, მაგრამ იმ დღეს "ლეიკერსის" სხვა მოთამაშეები ბრწყინავდნენ. 13-დან 10 ბურთი ჩააგდო და 24 ქულა დააგროვა **დუაიტ ჰოვარდმა**, 16 მოხსნა მიითვალა **კლარკმა**, **ნეშმა** კი ფენომენალური სიზუსტე აჩვენა – შვიდიდან ექვსი ზუსტი ტყორცნა.

■ ■ ■

"ოკლაჰომამ" კინალამ მესამე მატჩი მოუგო ამ სეზონში "ჰიუსტონს". შეხვედრის დასრულებამდე დაახლოებით შვიდი წუთი რჩებოდა, როცა **ტაბო სეფელოშამ** (მცველმა, რომელიც ძირითადად დაცვაში თამაშზეა კონცენტრირებული, 28 ქულა დააგროვა და 10-დან ექვსი სამქულიანი ჩააგდო) შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში და მისი გუნდის უპირატესობა 14 ქულამდე გაიზარდა. ამ მომენტში ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ მასპინძლები შეძლებდნენ ასეთი ჩამორჩენის გაბათილებას, მაგრამ "რაკეტებმა" დარჩენილი დრო 29:12 მოიგეს და გამარჯვება გამოსტაცეს ფავორიტს.

ეს სასწაული მოახდინა "ოკლაჰომას" ყოფილმა მოთამაშე **ჯეიმს ჰარდენმა**, რომელმაც 19-დან 14 ტყორცნა ჩააგდო (რვიდან შვიდი სამქულიანი) და შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა – 46 ქულა, რასაც 8 მოხსნა და 6 შედეგიანი პასი დაემატა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის **ჯერემი ლინსაც**, რომლის ორი სამქულიანი მატჩის ბოლოს გადამწყვეტი აღმოჩნდა (სულ გამთამაშებლის ანგარიშზე 28 ქულა, 8 პასი და 6 მოხსნა მოდის). მასპინძლებს კარგად გამოუვიდან **კევინ დურანტის** წინააღმდეგ დაცვაში თამაში. მართალია, ფორვარდმა მეორე სამმაგი-დუბლი შეასრულა (16 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი), მაგრამ თამაშიდან 13-ჯერ ისროლა და 9 ბურთი ააცილა მიზანს.



ჰიუსტონმა სასწაული მოახდინა

■ ■ ■

თავი შეირცხვინა "ნიუ იორკ ნიქსმა", რომელმა 34 ქულა წააგო "ინდიანასთან". სტუმრების სასტარტო ხუთეულმა მატჩი სარგებლიანობის "-103" მაჩვენებლით დაასრულა, მთლიანად გუნდმა კი 28-დან მხოლოდ 5 სამქულიანი ჩააგდო, პირწმინდად დათმო ფარქვეშ ბრძოლა (39-54) და მეტოქის 21 შეცდომიდან მხოლოდ 19 ქულა მოიპოვა. სხვა კომენტარს ეს მატჩი არ საჭიროებს.

■ ■ ■

გუშინდელ მიმოხილვაში ვწერდით, რომ "ტორონტომ" მოუმატა თამაშს და პლეი ოფში მოხვედრის შანსი მიიღო. ეს **რუდი გეის** დამსახურებაა, რომელიც კარგად მოერგო ახალ გუნდს. გუშინ, გეის ტორონტოში ეწვივნენ მისი ყოფილი თანაგუნდელები "მემფისიდან".

გეის ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაში არ გამოუვიდა -15-დან მხოლოდ 5 ბურთი ჩააგდო და 5 შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, "ტორონტოს" ჰქონდა წარმატებული სერიის განვრცობის შანსი. მაგალითად, სირენამდე სამი წუთით ადრე ანგარიში თანაბარი იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს, **რენდოლფმა** და **კონლიმ** სტუმრების 8:1 გაქცევა უზრუნველყვეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია რენდოლფის თამაში. მართალია, მან 17-დან მხოლოდ ოთხი ბურთი მოათავსა კალათში, მაგრამ 17 ქულითა და 18 მოხსნით მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა.

**ტორონტო–მემფისი 82:88**

14:19, 18:24, 25:23, 25:22

ტ: ანდერსონი (19), ჯონსონი (16+5 მოხსნა), გეი (13+9 მოხსნა), ლოური (12+7 მოხსნა).

მ: რენდოლფი (17+18 მოხსნა), კონლი (17+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (12+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პრინსი (11).

**შარლოტი–დეტროიტი 99:105**

25:28, 31:27, 20:22, 23:28

შ: უოკერი (24), სეშენსი (18+6 მოხსნა+8 პასი), მალენსი (15+6 მოხსნა), ჰენდერსონი (13+7 მოხსნა+5 პასი), კიდ-გილკრისტი (11+6 მოხსნა+3 დაფარება).

დ: ნაიტი (21+5 პასი), მონრო (19+7 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), კალდერონი (17), სტაკი (12+7 მოხსნა).

**კლივლენდი–ნიუ ორლეანი 105:100**

20:20, 23:21, 25:28, 37:31

კ: ირვინგი (35+5 მოხსნა+7 პასი), უეიტერსი (16), მაილზი (11), გი (10), ზელერი (10), ტომპსონი (9+13 მოხსნა).

ნ-ო: რობერტსი (17), ლოპესი (15), ვასკესი (13+8 პასი), სმიტი (12+6 მოხსნა), დევისი (12), რიჩარსი (11), ამინუ (4+10 მოხსნა).

**ინდიანა–ნიუ იორკი 125:91**

30:18, 44:26, 28:22, 23:25

ი: ჯორჯი (27+8 მოხსნა), უესტი (18+9 მოხსნა), სტივენსონი (14+5 მოხსნა), ჰილი (10+5 პასი), ჰენსბრო (10+5 მოხსნა).

ნ-ი: ჩენდლერი (19+11 მოხსნა), ენტონი (15+6 მოხსნა), კოუპლენდი (13), ფელტონი (12), ნოვაკი (11+6 მოხსნა).

**ატლანტა–მაიამი 90:103**

17:24, 32:21, 24:18, 17:40

ა: ჰორფორდი (27+9 მოხსნა), კორვერი (12+7 მოხსნა), სმიტი (10+9 მოხსნა+9 პასი), ჯონსონი (10).

მ: ჯეიმსი (24+6 მოხსნა+11 პასი+4 ჩაჭრა), უეიდი (20+3 ჩაჭრა), ბატიე (17), ალენი (15), ჩელმერსი (14).

**მილუოკი–ბრუკლინი 94:97**

29:21, 25:21, 22:26, 18:29

მ: ჯენინგსი (31+11 პასი), ელისი (14+5 პასი), ილიასოვა (12+12 მოხსნა), სანდერსი (12+13 მოხსნა+5 დაფარება), დანლივი (10+6 მოხსნა).

ბ: უილიამსი (23+8 პასი), უოტსონი (17+6 პასი+3 ჩაჭრა), ბლეტჩი (12+12 მოხსნა).

**ჰიუსტონი–ოკლაჰომა 122:119**

36:29, 21:33, 30:30, 35:27

ჰ: ჰარდენი (46+8 მოხსნა+6 პასი), ლინი (29+6 მოხსნა+8 პასი), პარსონსი (17+6 მოხსნა+5 არიეპტ), აშიქი (9+10 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (28+10 მოხსნა+8 პასი), სეფოლოშა (28+5 მოხსნა), დურანტი (16+12 მოხსნა+11 პასი), იბაკა (16+7 მოხსნა+5 დაფარება), მარტინი (15).

**მინესოტა–ფილადელფია 94:87**

35:25, 21:16, 20:26, 18:20

მ: პეკოვიჩი (27+18 მოხსნა), უილიამსი (17+8 მოხსნა), კირილენკო (15+5 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), რუბიო (11+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა).

ფ: ტერნერი (17+6 მოხსნა), ჰოლიდეი (16+5 პასი+5 ჩაჭრა), უილკინსი (13), რაიტი (10).

**დალასი–ორლანდო 111:96**

42:30, 17:23, 24:29, 28:14

დ: მერიონი (17+8 მოხსნა), ბრენდი (17+5 მოხსნა), კარტერი (14+8 პასი), მაიო (13), ნოვიცკი (12+9 მოხსნა), ჯეიმსი (12).

ო: აფლალო (21+7 პასი+5 მოხსნა), ჰარკლესი (20+8 მოხსნა), ვუჩევიჩი (16+13 მოხსნა), ნიკოლსონი (10+7 მოხსნა), რედიკი (10).

**ლეიკერსი–ბოსტონი 113:99**

36:27, 28:28, 26:21, 23:23

ლ: ჰოვარდი (24+12 მოხსნა), ბრაიანტი (16+7 პასი), ჯეიმისონი (15+5 მოხსნა), კლარკი (14+16 მოხსნა), ნეში (14+7 პასი), უორლდ პისი (12), ბლეიკი (10+5 პასი).

ბ: პირსი (26+5 პასი), ლი (20), გრინი (15+7 მოხსნა), გარნეტი (12), ტერი (10).

**გ. სტეიტი–ფინიქსი 108:98**

33:26, 24:23, 28:27, 23:22

გ-ს: ტომპსონი (28+8 მოხსნა), ჯეკი (21), კარი (20+11 პასი), ლი (19+11 მოხსნა+5 პასი), ლენდრი (10+6 მოხსნა), ბოგუტი (7+11 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება).

ფ: დრაგიჩი (20+10 პასი+5 ჩაჭრა), ო'ნილი (17+12 მოხსნა), დადლი (15+5 პასი), სკოლა (14+10 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 51 | 37 | 14 | 72.5 |
| 2. ნიუ იორკი* | 51 | 32 | 19 | 62.7 |
| 3. ინდიანა* | 54 | 33 | 21 | 61.1 |
| 4. ბრუკლინი | 55 | 33 | 22 | 60.0 |
| 5. ჩიკაგო | 53 | 31 | 22 | 58.5 |
| 6. ატლანტა | 52 | 29 | 23 | 55.8 |
| 7. ბოსტონი | 54 | 28 | 26 | 51.9 |
| 8. მილუოკი | 53 | 26 | 27 | 49.1 |
| 9. ფილადელფია | 52 | 22 | 30 | 42.3 |
| 10. ტორონტო | 55 | 22 | 33 | 40.0 |
| 11. დეტროიტი | 56 | 22 | 34 | 39.3 |
| 12. კლივლენდი | 54 | 17 | 37 | 31.5 |
| 13. ვაშინგტონი | 52 | 15 | 37 | 28.8 |
| 14. ორლანდო | 54 | 15 | 39 | 27.8 |
| 15. შარლოტი | 54 | 13 | 41 | 24.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 55 | 43 | 12 | 78.2 |
| 2. ოკლაჰომა* | 54 | 39 | 15 | 72.2 |
| 3. კლიპერსი* | 56 | 39 | 17 | 69.6 |
| 4. მემფისი | 53 | 35 | 18 | 66.0 |
| 5. დენვერი | 55 | 34 | 21 | 61.8 |
| 6. გ. სტეიტი | 54 | 31 | 23 | 57.4 |
| 7. იუტა | 55 | 31 | 24 | 56.4 |
| 8. ჰიუსტონი | 56 | 30 | 26 | 53.6 |
| 9. ლეიკერსი | 55 | 26 | 29 | 47.3 |
| 10. პორტლენდი | 54 | 25 | 29 | 46.3 |
| 11. დალასი | 53 | 24 | 29 | 45.3 |
| 12. მინესოტა | 51 | 20 | 31 | 39.2 |
| 13. ნიუ ორლეანი | 55 | 19 | 36 | 34.5 |
| 14. საკრამენტო | 55 | 19 | 36 | 34.5 |
| 15. ფინიქსი | 55 | 18 | 37 | 32.7 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.0 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 28.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 26.6 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.5 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 23.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.7 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 21.1 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.0 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 21.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.8 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.5 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.5 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.5 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.1 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.8 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.4 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 9.9 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.6 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.4 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.1 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.6 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.4 |
| ხოსე კალდერონი (დეტ) | 7.2 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.9 |
| მონტა ელისი (მილ) | 1.9 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.9 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.3 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.8 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.3 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.1 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.0 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 1.9 |
| ჯაველ მაკგი (დენ) | 1.9 |

# სტივმა მეჯიქს გაუსწრო


სტივ ნეში

გუშინ, „ბოსტონ სელტიქსთან“ შეხვედრაში „ლეიკერსის“ გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** შვიდი შედეგიანი პასი შეასრულა, რითაც ლიგის ყველა დროის ასისტენტებს შორის ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** გადაასწრო. ახლა, „ლეიკერსის“ გამთამაშებელი მეოთხე ადგილზეა ასოციაციის ისტორიაში შედეგიანი გადაცემების რაოდენობით.

კანადელს მესამე ადგილამდე ორასზე ნაკლები პასი აშორებს. ამისთვის მას დაახლოებით 20-30 თამაში დასჭირდება.

**ტოპ-ათეული**

| | |
|---|---|
| 1. ჯონ სტოქტონი | 15 806 |
| 2. ჯეისონ კიდი | 12 004 |
| 3. მარკ ჯექსონი | 10 334 |
| 4. სტივ ნეში | 10 144 |
| 5. მეჯიქ ჯონსონი | 10 141 |
| 6. ოსკარ რობერტსონი | 9 887 |
| 7. აიზია ტომასი | 9 061 |
| 8. გერი პეიტონი | 8 966 |
| 9. როდ სტრიკლენდი | 7 987 |
| 10. ანდრე მილერი | 7 788 |

# ძმები ერთად იქნებიან

ორი გაცვლა განხორციელდა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი **ტომას რობინსონი**, რომელიც 2012 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩიეს, „ჰიუსტონში“ გადავიდა სათამაშოდ. მის გარდა, „რაკეტებმა“ მიიღეს „მეფეების“ შემტევი მცველი **ფრანსისკო გარსია** და მსუბუქი ფორვარდი **ტაილერ ჰონეკუტი**.

თავის მხრივ, „ჰიუსტონიდან“ „საკრამენტოში“ გადავიდნენ ფორვარდი **პატრიკ პატერსონი**, ცენტრი **კოლ ოლდრიჩი** და მცველი **ტონი დაგლასი**.

■ ■ ■

„ჰიუსტონი“ კიდევ ერთ ტრეიდში იყო ჩართული. მისი ფორვარდი **მარკუს მორისი** „ფინიქსში“ გაცვალეს 2013 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანზე. ასე რომ, მორისი, რომელიც NBA-ში მეორე სეზონს ატარებს, „ფინიქსში“ თავის ტყუპ ძმას - **მარკიფ მორისს** შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ მარკუსი 2011 წლის დრაფტზე მე-13 ნომრად აირჩიეს, მარკიფი - მე-14 ნომრად.



ძმები მორისები

● გოლფი

# ქალი-ობობა

ავსტრალიაში ქალთა პროფესიული ტურნირის დროს, უსიამოვნო ისტორია შეემთხვა შვედ გოლფისტ **დანიელა ჰოლმკვისტს**.

ის მონაწილეობდა იღებდა ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირში. ერთ მომენტში სპორტსმენმა ფეხის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო. ჰოლმკვისტმა ძირს დაიხედა და დაინახა ობობა, რომელიც „შათი ქვრივის“ კლასს განეკუთვნება. ასეთი ობობას შხამს ერთ საათში, სისხლში მოხვედრის შემდეგ, ზრდასრული ადამიანის მოკვლა შეუძლია.

თვითმხილველებმა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს. თუმცა, 24 წლის დანიელამ თავად გახსნა ჭრილობა გოლფის ბურთის სადგამით და შხამი გამოდევნა იქამდე, სანამ ის ორგანიზმში მოხვდებოდა. ამის შემდეგ, გოლფისტმა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გააგრძელა თამაში.

თავად ჰოლმკვისტმა იუმორით აღიქვა მომხდარი. „ტვიტერზე“ მან საკუთარ თავს „ქალი-ობობა“ უწოდა და დაამატა, რომ ეს უკეთესია, ვიდრე „ქალი-კენგურუ“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


ლინდი რაფი

# დათხოვნა 15 წლის შემდეგ

გუშინ, „ბაფალო სეიბრზის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პოსტიდან დაითხოვა მთავარი მწვრთნელი **ლინდი რაფი.** განთავისუფლების საბაბი გახდა გუნდის სუსტი სტარტი ახალ რეგულარულ ჩემპიონატში. „სეიბრზმა“ 17 მატჩიდან 11 წააგო და 13 ქულით მე-13 ადგილი უკავია აღმოსავლეთ კონფერენციაში. სეზონის ბოლომდე „ბაფალოს უხელმძღვანელებს **რონ როლსტონი**, რომელიც „სეიბრზის“ ფარმ-კლუბში - „როჩესტერ ამერიკენში“ მუშაობდა.

რაფმა „ბაფალო“ 1997 წლის 21 ივლისს ჩაიბარა და ამ გუნდთან ერთად 1165 მატჩის ჩატარები მოასწრო. ის გახდა მეორე მწვრთნელი ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგების ისტორიაში, ვინც ამდენი ხანი უწყვეტად იმუშავა ერთ კლუბში. რაფზე უფრო დიდი ხანია მოღვაწეობს NBA-ის კლუბ „სან ანტონიო სპურსში“ **გრეგ პოპოვიჩი** (1996 წლიდან).

1999 წელს, ლინდი რაფმა „ბაფალო“ სტენლის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ იქ მისმა გუნდმა „დალას სტარზთან“ წააგო. 2005-06 წლების სეზონის შედეგების მიხედვით, რაფი NHL-ის საუკეთესო მწვრთნელად გამოაცხადეს.

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღის პირველ ვარსკვლავად დასახელდა „ფილადელფიას“ ჩეხი ფორვარდი **იაკუბ ვორაჩეკი,** რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა „პიტსბურგთან“ შეხვედრაში. ვორაჩეკი ბოლო ერთი კვირაა ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენს. მაგალითად, „ფილადელფიას“ წინა შეხვედრაში მან ოთხი საგოლე პასის შესრულება შეძლო.

დღის მეორე ვარსკვლავია რუსი გოლკიპერი **სემიონ ვარლამოვი.** „კოლორადოს“ მეკარემ „სენტ ლუისთან“ მატჩში „შათაუტი“ შეასრულა. მესამე ვარსკვლავის სტატუსი კი „ლოს ანჯელესის“ ფორვარდმა **ჯეფ კარტერმა** მიიღო. მან „კალგარისთან“ მატჩში ორ გოლში (1+1) მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

„ანაჰაიმმა“ ახალი კონტრაქტი გააფორმა 30 წლის მეკარე **ვიქტორ ფასტთან,** - იტყობინება TSN. ხელშეკრულება ორწლიანია, რომლის დროსაც მეკარე 5.8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

წლევანდელ სეზონში ფასტმა ცხრა მატჩი ჩაატარა და არც ერთი არ წაუგია.

**პიტსბურგი–ფილადელფია 5:6**

**2:2, 0:1, 3:3**

**გოლები:** 1:0 ნისკანენი-2 (ლეტანგი-9), 2:0 მალკინი-4 (მარტინი-8, ჯ. ნილი-4), 2:1 გროსმანი-1 (ნუბლი-4, კუტურიე-5), 2:2 სიმონდსი-5 (ბრიერი-4), 2:3 ვორაჩეკი-4 (სიმონდსი-6, ბ. შენი-10), 2:4 ვორაჩეკი-5 (ქობურნი-4, ჟირუ-9), 3:4 ტაილერ კენედი-2 (მარტინი-9, ორპიკი-3), 3:5 სიმონდსი-6 (ტელბოტი-4, ჟერვე-1), 4:5 ჯ. ნილი-12 (მალკინი-16, კროსბი-18), 5:5 ბ. სატერი-4 (მარტინი-10, კუკი-4), 5:6 ვორაჩეკი-6 (ჟირუ-10).

**კოლორადო–სტ ლუისი 1:0 (ო)**

**0:0, 0:0, 0:0, 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. ჯონსი-2 (ჰანვიკი-1).

**კალგარი–ლოს ანჯელესი 1:3**

**1:2, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-4 (კოპიტარი-6, სკუდერი-2), 1:1 ბროდი-1 (იგინლა-9, ჰუდლერი-6), 1:2 ტ. ლუისი-1 (ჯ. კარტერი-2, სკუდერი-3), 1:3 ჯ. კარტერი-8 (მ. რიჩარდსი-6, კლიფორდი-6).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მონრეალი* | 16 | 11 | 4 | 1 | 23 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 16 | 9 | 3 | 4 | 22 |
| 3. კაროლინა* | 14 | 8 | 5 | 1 | 17 |
| 4. პიტსბურგი | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 5. ბოსტონი | 13 | 9 | 2 | 2 | 20 |
| 6. ტორონტო | 17 | 10 | 7 | 0 | 20 |
| 7. ოტავა | 17 | 9 | 6 | 2 | 20 |
| 8. ტამპა ბეი | 15 | 8 | 6 | 1 | 17 |
| 9. რეინჯერსი | 15 | 8 | 6 | 1 | 17 |
| 10. ფილადელფია | 18 | 8 | 9 | 1 | 17 |
| 11. ვინიპეგი | 15 | 6 | 8 | 1 | 13 |
| 12. აილენდერსი | 16 | 6 | 9 | 1 | 13 |
| 13. ბაფალო | 17 | 6 | 10 | 1 | 13 |
| 14. ფლორიდა | 15 | 4 | 7 | 4 | 12 |
| 15. ვაშინგტონი | 15 | 5 | 9 | 1 | 11 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 16 | 13 | 0 | 3 | 29 |
| 2. ანაჰაიმი* | 15 | 12 | 2 | 1 | 25 |
| 3. ვანკუვერი* | 15 | 8 | 3 | 4 | 20 |
| 4. ნეშვილი | 17 | 8 | 4 | 5 | 21 |
| 5. სტ. ლუისი | 17 | 9 | 6 | 2 | 20 |
| 6. სან ხოსე | 15 | 8 | 4 | 3 | 19 |
| 7. ფინიქსი | 16 | 8 | 6 | 2 | 18 |
| 8. დალასი | 16 | 8 | 7 | 1 | 17 |
| 9. დეტროიტი | 16 | 7 | 6 | 3 | 17 |
| 10. ლოს ანჯელესი | 15 | 7 | 6 | 2 | 16 |
| 11. მინესოტა | 15 | 7 | 6 | 2 | 16 |
| 12. კოლორადო | 15 | 7 | 7 | 1 | 15 |
| 13. ედმონტონი | 15 | 6 | 6 | 3 | 15 |
| 14. კალგარი | 15 | 5 | 7 | 3 | 13 |
| 15. კოლამბუსი | 16 | 4 | 10 | 2 | 10 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 25 (12+13) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 25 (7+18) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 22 (10+12) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 22 (9+13) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 22 (4+18) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 21 (5+16) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 20 (11+9) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 20 (4+16) |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 19 (6+13) |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 19 (4+15) |

**გოლი**

| | |
|---|---|
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 12 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 12 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 11 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 10 |
| დევიდ კლარკსონი (აილ) | 10 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 10 |
| ჯეიმს ვან რიმსდიკი (ტორ) | 9 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 9 |
| პატრიკ ბერგლუნდი (სტ. ლ) | 9 |

**პასი**

| | |
|---|---|
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 18 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 18 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 16 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 16 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 15 |

სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბიორგენის მეცხრე ოქრო

იტალიის კურორტ ვალ-დი-ფიემში გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო სათხილამურო სპორტში. უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, სპორტსმენები მედლებს გაითამაშებენ თხილამურებით რბოლაში, სათხილამურო ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში.

გუშინ მორბენლებმა აიღეს სტარტი - გამოვლინდა გამარჯვებული ქალთა და მამაკაცთა ინდივიდუალურ სპრინტში. წინა ჩემპიონატზე, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაიმართა, სპრინტერები თავისუფალი სტილით ასპარეზობდნენ, ახლა კი სპორტსმენებს კლასიკური სტილით უნდა ერბინათ.

გუშინდელ ტრასას თამამად შეიძლება ეწოდოს - სამთო. დისტანცია საკმაოდ რთული იყო და მისი გავლა ძალიან ძნელი აღმოჩნდა მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერებისთვის. აქ არ ყოფილა ისეთი სიტუაცია, როცა ერთი სპორტსმენი თავიდანვე წინ გადის და ბოლომდე ინარჩუნებს პირველობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებს შორის გამარჯვებული გახდა ლეგენდარული ნორვეგიელი **მარიტ ბიორგენი**, რომლის მთავარი კონკურენტი იყო პოლონელი **იუსტინა კოვალჩიკი.** თუმცა ეს უკანასკნელი ფინალის დროს დაეცა და თავად გამოთიშა საკუთარი თავი მედლებისთვის ბრძოლას. ოქროსთვის ბრძოლაში ბიორგენი იოლად გაუსწორდა შვედ **იდა ინგემარსდოტერს**, რომელმაც ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია სახელოვან ნორვეგიელს.

32 წლის ბიორგენისთვის ეს არის მეცხრე ოქრო მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ასევე მის ანგარიშზეა სამი ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო. 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მარიტმა სამი გამარჯვება მოიპოვა.

**სპრინტი. ქალები**

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორვეგია) - 3:16.6; 2. **იდა ინგემარსდოტერი** (შვედეთი) - +2.3; 3. **მაიკენ კასპერსენ ფალა** (ნორვეგია) - +3.7; 4. **კატია ვისნარი** (სლოვენია) - +4.6; 5. **სტინა ნილსონი** (შვედეთი) - +4.9; 6. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლონეთი) - +6.3.

■ ■ ■

მამაკაცთა შეჯიბრებაში ყველაფერი იმ დაპირისპირებამდე დავიდა, რომელიც ვანკუვერის ზამთრის თამაშებზე ვიხილეთ. მაშინაც სპრინტი კლასიკური იყო და ოქროს მედალი რუსმა **ნიკიტა კრიუკოვმა** მოიპოვა, ნორვეგიელი **პეტერ ნორტუგი** კი მესამე ადგილზე გავიდა.

ამჯერად ოქრო კრიუკოვმა და ნორტუგმა გაითამაშეს, რის შემდეგაც, რუსეთის წარმომადგენელმა თავის ოლიმპიურ ტიტულს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალიც დაუმატა. ნორტუგი მეორეზე გავიდა, ბრინჯაო კი კანადელ **ალექს ჰარვის** ერგო. პირველ და მესამე ადგილებს შორის დროში სხვაობა 0.8 წამს შეადგენდა.


მარიტ ბიორგენი

მედლის გარეშე დარჩა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, შვედი **ემილ იონსონი**, რომელიც მეოთხე მივიდა ფინიშთან.

**სპრინტი. კაცები**

1. **ნიკიტა კრიუკოვი** (რუსეთი) - 3:30.4; 2. **პეტერ ნორტუგი** (ნორვეგია) - +0.3; 3. **ალექს ჰარვი** (კანადა) - +0.8; 4. **ემილ იონსონი** (შვედეთი) - +2.6; 5. **პოლ გოლბერგი** (ნორვეგია) - +9.2; 6. **ეირიკ ბრანდსდალი** (ნორვეგია) - +27.1.

სკანდალი

# თავად ყოფილა დასაჭერი


პილტონ ბოთა

გამომძიებელ **ჰილტონ ბოთას**, რომელიც პარალიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონ **ოსკარ პისტორიუსის** საქმეს იძიებს, მკვლელობის მცდელობაში წაუყენეს ბრალი, - ამის შესახებ იტყობინება სააგენტო „ფრანს-პრესი“.

გუშინ, გაგრძელდა სასამართლო პროცესი პისტორიუსის საქმეზე, რომელიც თავისი შეყვარებულის **რივა სტინკამპის** მკვლელობაშია ბრალდებული. სხდომის წინ ცნობილი გახდა, რომ თავად ბოთას წინააღმდეგ არის წამოყენებული ბრალდება, არადა, გამომძიებელს სასამართლოზე ჩვენება უნდა მიეცა.

2009 წელს, ბოთამ და კიდევ ორმა პოლიციელმა ტაქსის ცეცხლი გაუხსნეს, რომელშიც იმ მომენტში შვიდი ადამიანი იმყოფებოდა. სწორედ მაშინ, გამომძიებლის წინააღმდეგ აღიძრა საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით, მაგრამ მალე დაიხურა.

ჯერჯერობით უცნობია, გააგრძელებს თუ არა გამომძიებელი პისტორიუსის საქმეზე მუშაობას. ცნობილია, რომ ის არის პირველი ადამიანი, რომელიც ყველაზე ადრე მივიდა სპორტსმენის სახლში მკვლელობის შემდეგ.

კრივი

# ტრაგედია რინგზე

ამერიკელი მოყვარული მოკრივე **ჯერემია მოენი** საავადმყოფოში გარდაიცვალა რინგზე მიღებული ტრავმების შემდეგ. ბრძოლაში, რომელიც Golden Gloves-ის სერიის ეგიდით გაიმართა, 29 წლის სუპერმძიმეწონოსანი პირველივე რაუნდში დაეცა რინგზე. მოკრივე სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იქ გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. როგორც სპორტსმენის ბიძამ **მაიკ სუინიმ** განაცხადა, ადრე ჯერემიას თავის სერიოზული ტრავმები ჰქონდა, მათ შორის ტვინის შერყევა.

მოენი რამდენიმე დღე უგონო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. *„ის შესანიშნავი მოკრივე იყო, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი ადამიანი“*, - ამბობს სუინი, რომელიც 12 წლის ასაკიდან ზრდიდა დაობლებულ ჯერემიას.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის დასრულების შემდეგ, მოენმა მოკრივის კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა რინგზე. გასულ წელს მოენი Golden Gloves-ის სერიის ჩემპიონი გახდა ჩრდილოეთ დაკოტას შტატში.

მოკრივის მწვრთნელ, **ედი ობრეგონის** თქმით, მის შეგირდს თითქოს არ მიუღია სერიოზული დარტყმა, მაგრამ რაუნდებს შორის შესვენებისას, მოულოდნელად გონება დაკარგა. მეტოქე მოენზე გაცილებით ახოვანი და ფიზიკურად ძლიერი იყო.

სხვათა შორის, მაიკ სუინიმ განაცხადა, რომ მოენმა დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მის ორგანოებს ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენებენ. ბიძის თქმით, მოკრივის ოჯახისთვის ასე უფრო იოლი იქნება მომხდარის გადატანა.


ჯერემია მოენი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# ლებრონი: მინდა ყველა დროის საუკეთესო ვიყო

**„ყველა ვარსკვლავის უქმეების“ დროს, ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე მათთვის საინტერესო კითხვები დაესვათ NBA-ის ვარსკვლავებისთვის. პრესის წარმომადგენლებმა საკონფერენციო დარბაზში ყველაზე დიდხანს „მაიამი ჰიტის“ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი შეაყოვნეს და პირველ რიგში შეეხნენ იმ თემას, რომელიც „ოლ სტარის“ წინ წარმოიშვა და მასზე კომენტარი გააკეთა ყველა დროის უდიადესმა კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ლებრონ ჯეიმსსა და კობი ბრაიანტს შორის და საბოლოოდ, უპირატესობა ლეიკერსელს მიანიჭა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კობის უფრო მეტი ტიტული აქვს მოგებული. როგორც აღმოჩნდა, ჯორდანის ამგვარმა პასუხმა ლებრონზე გარკვეულწილად იმოქმედა, ამიტომაც პირველ შეკითხვას მეტად აღელვებულმა უპასუხა...**







- ნუთუ შეიძლება ნიჭის შესახებ მხოლოდ საჩემპიონო ტიტულებით მსჯელობა? – აღშფოთებას ვერ მალავდა ჯეიმსი. - ჩარლზ ბარკლის არც ერთი ტიტული არ აქვს. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ის ცუდი მოთამაშე იყო?! ბილ რასელი კი 11-ჯერ გახდა ჩემპიონი, რაც ხუთით მეტია ჯორდანის ტიტულების რაოდენობაზე. მე იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ამ პრინციპით მაიკლი უარესი კალათბურთელია, ვიდრე რობერტ უორი, რომელსაც უფრო მეტჯერ აქვს მოგებული ჩემპიონობა.

**- ბრაიანტმა თქვა, რომ “ერთი ერთზე” თამაშში იოლად დაგამარცხებთ.**

- ო'ქეი (სიცილი დარბაზში).

**- NBA-ის ფინალის წინ პერსონალურად ვარჯიშობდით ლეგენდარულ ჰაკიმ ოლაჯუონთან. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

- საოცარი გამოცდილებაა – როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე და ეს ყველაფერი დამეხმარა გავმხდარიყავი ის კალათბურთელი, როგორიც ახლა ვარ. ოთხი დღე, ორ-ორჯერ ვვარჯიშობდით. ეს დაუვიწყარი იყო.

**- ახლა რაზე მუშაობთ?**

- ახალს არაფერს ვამუშავებ, მხოლოდ საბრძოლო დონის შენარჩუნებით ვარ დაკავებული. ვარჯიშებისთვის დიდი დრო არ მრჩება, ამიტომაც უქმე დღეებში მივდივარ არენაზე ბურთის სასროლად. მაგრამ მზადება - ეს არ არის მხოლოდ ძველი სიმაღლეების შენარჩუნება. სეზონებს შორის შესვენებებისას სატრენაჟორო დარბაზში ვიმყოფები და საკუთარ სხეულს არ ვზოგავ.

**- “მაიამი” ვარსკვლავურ უქმეებს ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა – შვიდმატჩიანი მოგებათა სერიით. რა არის საჭირო იმისთვის, რომ გუნდმა ასეთ დონეზე ჩაატაროს რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი და დაიცვას ტიტული?**

- უბრალოდ გავაკეთოთ ის, რაც ვიცით. კარგად დაცვა, მოედანზე ურთიერთგაგება, ერთმანეთის ნდობა, შეტევაში ბურთის გათამაშება იქამდე, სანამ არ ვიპოვით სროლისთვის იდეალურ პოზიციას... და არ უნდა დავუშვათ შეცდომები. დღევანდელი გუნდი არ არის იმაზე ძლიერი, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონატი მოიგო. მაგრამ იმ გუნდს სამი-ოთხი თვით მეტი ჰქონდა მოსამზადებლად, რადგან ნაკრები ზაფხულში არ თამაშობდა.

**- ამჟამად, კალათბურთი ჯორდანის ბატონობის შემდეგ, ახალ ეპოქაში შედის. გრძნობთ იმას, რომ ამ ეპოქას შეიძლება თქვენი სახელი დაერქვას?**

- არა, რადგან არ შემიძლია ამაზე მსჯელობა, როცა თავად ვარ პროცესის მონაწილე. გაიხსენეთ ჩემი დრაფტი: მე, დი-უეიდი, კრისი, მელო (2003 წლის დრაფტის პირველ ხუთეულში აირჩიეს ჯეიმსი, დუეინ უეიდი, კრის ბოში და კარმელო ენტონი). ოდესღაც, როცა კარიერის დასრულების დრო დადგება, მინდა, ლიგაში შესამჩნევი კვალი გვქონდეს დატოვებული იმისთვის, რომ მუდმივად გაგვიხსენონ.

**- რა განსხვავებაა დღევანდელ და იმ ლებრონ ჯეიმსს შორის, რომელიც პირველად გამოჩნდა “ყველა ვარსკვლავის მატჩში”?**

- როდის იყო ეს? 2005 წელს? ახლა უკეთ ვთამაშობ, შემიძლია ნებისმიერი პოზიციიდან შეტევა. იმ წლებში საერთოდ არ ვთამაშობდი ფარისკენ ზურგსუკან მდგომი, ახლა ეს შემიძლია. ეს ცოდნა და გამოცდილება ყოველი ახალი მატჩის შემდეგ მოდის, განსაკუთრებით პლეი ოფის შეხვედრების დროს. ასე რომ, მთავარია – სწავლა გააგრძელო. მე მინდა ამ პროცესის გაგრძელება. მინდა ყველა დროის უდიადესი კალათბურთელი გავხდე. და ამისთვის მონდომებას არ დავიშურებ. გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- დღეს თქვენ მისაბაძი მაგალითი ხართ ბევრი ბავშვისთვის. როგორ გრძნობთ თავს ამ სტატუსში?**

- ეს შესანიშნავია. ჩემს მდგომარეობაში ყოფნა და ბავშვებისთვის იმედის მიცემა - ეს არის საუკეთესო რამ, რასაც მე ვაკეთებ. თუნდაც იმიტომ, რომ შესანიშნავად მახსოვს, თავად როგორ ვიზრდებოდი. ბავშვობაში ყოველთვის ეძებ ვინმეს, ვინც შენ თვალწინ სუპერგმირი გახდება. ჩემთვის ასეთი სუპერგმირები იყვნენ ბეტმენი, ტრანსფორმერები და მაიკლ ჯორდანი. როცა მათ ვუყურებდი, ვფიქრობდი: მეც მინდა ასეთი გარდასახვა შემეძლოს ან ვიფრინო, როგორც ამას მაიკლ ჯორდანი აკეთებს-მეთქი. ახლა, რა თქმა უნდა, ბავშვობის კერპების მიმართ გატაცება შემცირდა, მაგრამ ბავშვებისთვის აღმაფრენის მიცემა, მათთვის მაგალითად ყოფნა – ჩემთვის ძალიან ძვირფასი მომენტია.

**- ლებრონის შესახებ ფილმი რომ გადაიღონ, რომელ მსახიობს ისურვებდით თქვენი როლის სათამაშოდ?**

- არ ვიცი. ალბათ, ამ სიაში პირველ ადგილზე დავაყენებდი უილ სმიტს. ის საკმარისად არის განვითარებული ფიზიკურად.

**- სამაგიეროდ, სიმაღლე არ ჰყოფნის.**

- მაგრამ ამისთვის კამერა არსებობს. მისი დახმარებით, ის შეიძლება გამოვაჩინოთ 206 სანტიმეტრი სიმაღლის მამაკაცად. უილი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია. ასე რომ, ჩემი არჩევანი მას ეკუთვნის.

**- გადაეცით თუ არა თქვენი საკალათბურთო ნიჭი ვაჟს?**

- არ ვარ დარწმუნებული. მაგრამ მცდელობა არის – იქნებ შემდეგ შვილს აღმოაჩნდეს ეს ნიჭი.

**- მიჩნეულია, რომ ამერიკაში ნაკრები ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე NBA. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ნაკრებში თამაშისგან?**

- შესანიშნავი. სამ ოლიმპიადაზე მითამაშია. ეს ძალიან საინტერესო გამოცდილებაა. სიამოვნება მივიღე, როცა ოკეანის გაღმა ჩემი ქვეყანა წარმოვადგინე.

**- სეზონებს შორის შესვენებისას სპეციალურად მუშაობდით სროლების სიზუსტეზე?**

- არა.

**- მაშინ რით ახსნით ამ პროგრესს?**

- უკეთესი გავხდი როგორც კალათბურთელი და ამან გავლენა იქონია სროლის პროცენტზე. მე კარგად ვიცნობ ჩემს შესაძლებლობებს მოედანზე, დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და დღეისთვის ვგრძნობ, რომ არ არსებობს ტყორცნა, რომელიც შეიძლება ვერ ჩავაგდო.

**- შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთის ის დონე, რომელსაც ახლა აჩვენებთ, საუკეთესოა თქვენს კარიერაში?**

- ეფექტურობის მხრივ თუ ვიმსჯელებთ, ბევრს მიაჩნია ასე. საერთოდ, ჩემს კარიერაში იყო რამდენიმე კარგი მატჩი (იცინის). მაგრამ ჩვენ მიმდინარე მომენტის მომსწრენი ვართ, ამიტომაც რთულია მსჯელობა იმაზე, რა იქნება შემდეგ. შესაძლოა, ასე ეფექტურად მართლაც არასოდეს მითამაშია.

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სიოგნდალი-სანდეფიორდი | 0:1 |
| სტრიომსგოდსეტი-სპარტაკი | 2:3 |
| ულ კისა-ეიდსვოლდი | 2:4 |
| ფრემი-ფრემადი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| გლადბახი II-ფორტუნა II | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ფენერბაჰჩე-ბარსელონა | 60:99 |
| მაკაბი-მონტეპასკი | 92:61 |
| ბამბერგი-უნიკახა | 65:68 |
| ჟალგირისი-პანათინაიკოსი | 73:78 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ჩეხ. მედვედი-ფლენსბურგი | 29:29 |
| სავეჰოფი-სელიე | 24:29 |
| დინამო (მნ)-ბარსელონა | 28:30 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სიბირი | 5:0 |
| მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი | 3:4 (ო) |
| ტრაქტორი-ბარისი | 3:4 (ო) |
| აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 5:1 |
| ლოკომოტივი-სევერსტალი | 2:1 |
| დინამო (მ)-სლოვანი | 3:2 (ო) |
| სკა-ატლანტი | 7:0 |
| ცსკა-ლევი | 3:2 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-რუსენბორგი | 5:3 |
| ვოლერენგა-სპარტა | 8:3 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 2:1 |
| სტრიერნენი-ტონსბერგი | 9:1 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 0:4 |
| **[illegible]** | |
| აიკ-ფერიესტადი | 3:2 (ბ) |
| ვექსიო-ლულეო | 0:2 |
| ლინჩოპინგი-მოდო | 1:0 |
| ტიმრა-ჰ371 | 1:2 |
| შელეფტეო-ბრიუნესი | 9:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მარსელი** | |
| ტიპსარევიჩი-ტურსუნოვი | 6:7, 2:6 |
| სიმონი-ბაუტისტა | 6:3, 6:1 |
| დელ პოტრო-ლოდრა | 3:6, 7:6, 7:5 |
| ბენეტო-იანოვიჩი | 6:7, 3:6 |
| **ATP. მემფისი** | |
| კუბოტი-რასელი | 2:6, 4:6 |
| ისტომინი-ჰიუიტი | 6:1, 6:2 |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| მონტანიესი-დელ ბონისი | 1:6, 4:6 |
| ალმაგრო-კუზნეცოვი | 7:6, 6:2 |
| ფონინი-ტრუნგელიტი | 7:5, 6:2 |
| რამოსი-ლ. მაიერი | 6:3, 7:6 |
| რობრედო-შვარცმანი | 6:3, 6:1 |
| **WTA. დუბაი** | |
| ვინჩი-სტოსური | 6:2, 6:4 |
| პეტროვა-ერანი | 4:6, 6:0, 3:6 |
| ვოზნიაცკი-ბარტოლი | 4:6, 6:1, 6:4 |
| კვიტოვა-ა. რადვანსკა | 6:2, 6:4 |
| **WTA. მემფისი** | |
| ფლიპკენსი-რიბარიკოვა | 7:6, 5:7, 3:6 |
| ლისიცკი-მლადენოვიჩი | 6:3, 6:3 |
| ჰემპტონი-ერაკოვიჩი | 5:7, 2:6 |
| ფოგელი-უოტსონი | 6:1, 6:2 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| არუაბარენა-პენეტა | 6:3, 4:6, 6:0 |
| კადანტუ-მრდესა | 4:6, 6:3, 6:4 |
| ორმაეჩეა-სკიავონე | 2:6, 6:3, 7:6 |
| იანკოვიჩი-დუკე მარინო | 6:3, 6:2 |

● TV პროგრამა

**22 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბორდო-დინამო.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბენფიკა - ლევერკუზენი
**14:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. რუბინი - ატლეტიკო
**16:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლაციო - გლადბახი
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი - ტოტენჰემი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ფრაიბურგი-აინტრახტი (LIVE).
**01:30** ჩემპიონთა ლიგი მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ზენიტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-სან ანტონიო.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარასენი-რასინგი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:15** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 1984-85 წლები.
**20:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:00** NBA ACTION.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VIII ტური. ეფესი-ცსკა (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბრუკლინი.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 10 | (მზე) |
| ქუთაისი | 3 | 15 | (მზე) |
| ბათუმი | 5 | 17 | (მზე) |
| ფოთი | 4 | 15 | (მზე) |
| ზუგდიდი | 1 | 15 | (მზე) |
| გორი | -4 | 12 | (მზე) |
| თელავი | -1 | 10 | (მზე) |
| სიღნაღი | 0 | 9 | (მზე) |
| გუდაური | -13 | 0 | (მზე) |
| ბაკურიანი | -8 | 4 | (მზე) |
| ბორჯომი | -5 | 10 | (თოვლი) |
| მესტია | -9 | 8 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2184 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6555 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5359 |
| 100 რუსული რუბლი | 5. 5091 |

● პარალიმპური სპორტი

# ხელმეორედ დაიბადა

ბრიტანეთის პარალიმპური ასოციაციის თავმჯდომარემ მხედველობა დაიბრუნა თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით.

**ტიმ რედიში** 17 წლიდან მოყოლებული ვერაფერს ხედავდა. მოცურავეს მხედველობა 31 წლის ასაკიდან გაუუარსედა. ამის მიზეზი გახდა პიგმენტური რეტინიტი - ავადმყოფობა, რომელიც აზიანებს თვალის ბადურაში ფოტორეცეპტორებს. შვიდი წლის შემდეგ, რედიში საბოლოოდ დაბრმავდა. ამასთან, სპორტსმენი აგრძელებდა გამოსვლას პარალიმპურ თამაშებზე და არაერთხელ გახდა ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი.

ბრიტანელს თავისი მედლები არასოდეს უნახავს, მაგრამ ჩატარებული ოპერაციის შემდეგად, მან ეს მოახერხა. ასევე დაიწყო შუქის აღქმა, კარისა და ფანჯრის ჩარჩოების კონტურის გარჩევა და საათზე დაკვირვების შემდეგ, დროც სწორად დაასახელა.

ექიმებმა რედიშს თვალის ბადურაში ჩაუდგეს შუქზე მგრძნობიარე მიკროჩიპი. ეს ამბავი ყველაზე მეტად ყოფილი სპორტსმენის 55 წლის მეუღლესა და მის ორ ვაჟს გაუხარდათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ტიმ რედიში

# როცა ფანქარით იღიმის

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში მეტად პოპულარული იყო კარიკატურები. ამას თავისი ახსნა აქვს - მაშინ, გაზეთში ფოტოების დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, თუმცა ნელ-ნელა ტექნიკაც განვითარდა და ხელით ნახატი ილუსტრაციები ფოტოებმა ჩაანაცვლა.

გავიდა დრო და დღეს ფოტოსურათებს თავისი ადგილი აქვს, კარიკატურებს - თავისი. უცხოურ პრესაში დიდი ყურადღება ექცევა ამა თუ იმ თემის გაშარჟებას - ნახატის საშუალებით იუმორისტულად გადმოცემას.

ახლა უფრო კონკრეტულად: სპორტულ გაზეთებში კარიკატურები 90-იანი წლების ბოლოს მომრავლდა და მათი ავტორი **ზაალ სულაკაური** იყო. როგორც თავად მითხრა, სპორტული თემატიკის ნაშრომები პრესაში და საიტებზე აქვს მიმობნეული. მათგან რამდენიმეს დღევანდელ „ტაიმლაინში“ გთავაზობთ.

*- პატარაობაში სპორტის არაერთ სახეობაზე დავდიოდი: ფეხბურთზე, ალპინიზმზე, მძლეოსნობაზე, მაგრამ ახლა ჩემი სპორტი ხატვაა. როგორც ფეხბურთელები ზრუნავენ კარიერაში წინსვლაზე, ისევე ვზრუნავ სამხატვრო კარიერაზე,* - გვითხრა ზალიკომ, რომელსაც ასევე უყვარს მაგიდის ჩოგბურთი და ბოლო დროს შეუყვარდა ბოულინგი:

*- ბოულინგის ცენტრში პირველად რომ მივედი, ორ ცდაში დავშალე... ალბათ, იმიტომ, რომ მხატვარ კაცს, თვალით გაზომვა არ მიჭირს.*

ქართველი კარიკატურისტის ფეხბურთელებთან დამოკიდებულება მისი ნაშრომებიდან კარგად ჩანს. საინტერესოა, რამდენად ხშირად ახერხებს საგულშემატკივროდ სიარულს.

*- ფეხბურთზე სულ სამჯერ ვარ ნამყოფი. გაგიკვირდებათ და სამივე შემთხვევაში მოვიგეთ. მეგობრები ხშირად მეპატიჟებიან, წამოდი, გამარჯვებაში დაგვეხმარეო, მაგრამ დროის სიმცირის გამო ამას ვერ ვახერხებ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**





ზინედინ ზიდანი და მარკო მატერაცი


გიორგი ასანიძე


რონალდო








დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608